ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

8 აგვისტოდან!
3ფ[ფკბ სფჯ,ფ4
+
ფუფნფ რჰბცნბ
* კფჰბ




cfvif,fsb7 @! fudbcnj7 @)!@ 1198 (5888) afcb5 #) stshb

# ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილს დებატებში იწვევს გვ. 3



## ნაციონალური მოძრაობის" სიის 1-ელი ნომერი დავით ბაქრაძე იქნება, პრემიერობის კანდიდატი კი — ვანო მერაბიშვილი გვ. 3





## ნინო ბურჯანაძე: კარგი იქნებოდა, ოპოზიციას ერთიანი ფრონტით ებრძოლა" გვ. 4



## ხიდაშელი იორმუღანლოს ინციდენტზე რეაგირებას ითხოვს გვ. 2

## ივანიშვილი ჩვენთან დებატებს თავს იმიტომ არიდებს, რომ ჩვენი ეშინია"


გვ. 2


გვ. 2

## სოსო ცინცაძე: ბურჯანაძესთან შეხვედრით ივანიშვილი მოგებული დარჩება"

## რუსეთმა სააკაშვილის პრეზიდენტობისას ყველაფერს მიაღწია გვ. 5



## ბიძინა გუჯაბიძე: მერაბიშვილს თავისივე სოფელში დავამარცხებ!" გვ. 3




გვ. 6

## ვაჟა ბერიძის აზრით, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" ადამიანური რესურსი ამოეწურა

## მიხეილ სააკაშვილი: როგორ შეიძლება ხალხი წაყვეს მას, ვინც მოდის ნგრევის პროგრამით" გვ. 4

ISSN 1987-9385

**2** ცესკოში პოლიტიკური პარტიების და საარჩევნო ბლოკების რეგისტრაცია დასრულდა

**3** ქართულ ოცნებას" ცესკომ საარჩევნო ნომრად 41 ნომერი მიანიჭა

**5** მამუკა კაციტაძე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას შეხვდა

**6** კომპენსაცია უკვე 14 ათასმა კახელმა მიიღო

# ხიდაშელი იორმუღანლოს ინციდენტზე რეაგირებას ითხოვს

კოალიცია „ქართული ოცნების“ საგარეჯოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, თინათინ ხიდაშელი უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე, გიგა ბოკერიას სოფელ იორმუღანლოში 17 აგვისტოს მომხდარ ინციდენტზე დაუყოვნებლივ რეაგირებას სთხოვს. მან ბოკერიას ამისკენ დღეს გამართულ ბრიფინგზე მოუწოდა.



ხიდაშელის თქმით, ლაპარაკია იორმუღანლოს ბაზარში მომხდარ ინციდენტზე, სადაც იგი წინასაარჩევნო კამპანიას მართავდა.

ინციდენტის ინიციატორნი ამავე სოფლის საკრებულოს წევრის ვაჟი და გამგებლის დისშვილები არიან. ისინი ფსევდო „ინფო-9“-ის ჟურნალისტს დაესხნენ თავს, რომელიც ნამდვილი „ინფო-9“-ის ჟურნალისტი ეგონათ. თუმცა სამართალდამცავებმა თავდამსხმელების ჩვენების საფუძველზე „ქართული ოცნების“ აქტივისტები, მისი საარჩევნო შტაბის წევრები: მუბარიკ მამედოვი და ნათიკ სულეიმანოვი დააკავეს. ხიდაშელის ინფორმაციით, აქტივისტთაგან ერთი შემთხვევის ადგილზე საერთოდ არ იმყოფებოდა, მეორე კი მხოლოდ მოჩხუბრებს აშველებდა. მათ თბილისის საქალაქო სასამართლომ 18 აგვისტოს 15-დღიანი პატიმრობა შეუფარდა.

ხიდაშელის განცხადებით, მან ინციდენტის გამოძიების მოთხოვნით საჩივარი იორმუღანლოს პოლიციაში 17 აგვისტოსვე შეიტანა და ჩხუბის ამსახველი ვიდეომასალა უწყებათაშორის კომისიასა და საერთაშორისო ირგანიზაციებშიც გაგზავნა. თუმცა ფაქტს რეაგირება ამ დრომდე არ მოჰყოლია.

ხიდაშელმა პრესკონფერენციაზე იორმუღანლოში მომხდარი ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალაც წარმოადგინა. მისი განმარტებით, ვიდეომასალა კარგად ასახავს, თუ როგორ დაესხნენ თავს ჩხუბის ინიციატორები ფსევდო „ინფო 9“-ის წარმომადგენლებს, რომლებიც ნამდვილი „ინფო 9“-ის ჟურნალისტები ეგონათ.

„იქ იყო ცემა და ფიზიკური შეურაცხყოფა. ისინი ჩემზეც იწევდნენ, თუმცა სამწუხაროდ, აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი ვიდეომასალა ჩვენ არ გვაქვს. ამ ხელისუფლების პირობებში კი იმის დამტკიცებაც ძნელია, რისი ამსახველი მასალაც გვაქვს. მოვუწოდებთ გიგა ბოკერიას და უწყებათაშორის კომისიას, არ გაბედონ გამგებლებმა და მათმა შვილებმა ჩვენი საარჩევნო შეხვედრების ჩაშლა, რადგან ჩვენ კამპანიას გავაგრძელებთ და სრული პასუხისმგებლობა ადგილობრივ პოლიციას და პირადად გიგა ბოკერიას დაეკისრებათ“, — განაცხადა თინათინ ხიდაშელმა.

მისივე ინფორმაციით, იორმუღანლოში ხელისუფლებისადმი ხალხის სიბრაზის ხარისხი ძალიან მაღალია, რადგან მათ მიმდინარე წლის მარტში საძოვრები გაუყიდეს.

მისივე ინფორმაციით, კოალიციის ადგილობრივი შტაბის დაკავებული წევრებისათვის 15-დღიანი პატიმრობის განაჩენი დღეს სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდება.

მედიანიუსი

# ცესკოში პოლიტიკური პარტიების და საარჩევნო ბლოკების რეგისტრაცია დასრულდა

19 აგვისტოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციაზე განაცხადების მიღება დასრულდა.

ცესკოს ცნობით, 2012 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის დარეგისტრირდა ორი საარჩევნო ბლოკი; ესენი არიან: „გიორგი თარგამაძე — ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“ (ბლოკში ერთიანდებიან პარტიები — „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ და „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“) და „ბიძინა ივანიშვილი — ქართული ოცნება“ (ბლოკში ერთიანდებიან — პ/გ „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“, „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, პ/გ „ჩვენი საქართველო თავისუფალი დემოკრატები“ და პ/გ „ეროვნული ფორუმი“).

ცესკოში გრძელდება პარტიების რეგისტრაციის პროცესი. განაცხადები რეგისტრაციაზე სულ — 41-მა პოლიტიკურმა გაერთიანებამ შეიტანა. დღეისათვის ცესკოში უკვე 29 პოლიტიკური პარტიაა რეგისტრირებული, 8-ს კი უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

ამასთან, ცენტრალური საარჩევნო კომისია დაინტერესებული მხარეებისთვის აღწერს საარჩევნო ბლოკებისთვის რიგითი ნომრის მინიჭების პროცედურას.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 119-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად „თუ არჩევნებისთვის საარჩევნო ბლოკი შექმნეს ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიებმა, ბლოკის წესდებაში მათ უნდა მიუთითონ, რომელი პარტიის რიგითი ნომრით ისარგებლებენ“, ხოლო „ყველა სხვა საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი გამოვლინდება წილისყრით“.

ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, იმისათვის, რომ საარჩევნო ბლოკმა დაიტოვოს მასში შემავალი ერთ-ერთი სუბიექტის რიგითი ნომერი, ბლოკში შემავალ ყველა პარტიას მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში. წინააღმდეგ შემთხვევაში ბლოკის რიგითი ნომერი უნდა განისაზღვროს წილისყრით არჩევნებამდე არაუგვიანეს 37 დღისა ანუ 25 აგვისტომდე.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ზემოთხსენებული საკანონმდებლო ნორმა 2007 წლიდან მოქმედებს. აღნიშნული საკითხი არ გამხდარა საარჩევნო დავის საგანი 2008-2010 წლების არჩევნების პერიოდში და არ ყოფილა საარჩევნო რეფორმებზე სამუშაო ჯგუფის განხილვის საგანი 2009 და 2010-2011 წლებში, როდესაც ახალი საარჩევნო კოდექსის მუშავდებოდა.

მედიანიუსი

# სოსო ცინცაძე: ბურჯანაძესთან შეხვედრით ივანიშვილი მოგებული დარჩება“

პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის აზრით, ბიძინა ივანიშვილისა და ნინო ბურჯანაძის შეხვედრით ივანიშვილმა ბურჯანაძის ამომრჩეველთა ხმებიც შეიძინა.



როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას ცინცაძემ აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ამ შეხვედრას თავის სასარგებლოდ გამოიყენებს და ივანიშვილის პრორუსულობის შესახებ ბრალდებებს უფრო გაამძაფრებს, მიაჩნია, რომ ივანიშვილი ამ შეხვედრით უფრო მოგებული დარჩება, ვიდრე წაგებული,

„შესაძლოა ამომრჩევლის გარკვეულ ნაწილზე ამ შეხვედრამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს, მაგრამ უფრო მეტ ხმას შეიძენს, ვიდრე დაკარგავს.

ბურჯანაძე არ არის რიგითი პოლიტიკოსი. მისი პოლიტიკური გამოცდილებიდან გამომდინარე, საკმაოდ მძიმეწონოსანი პოლიტიკოსია, თავისი ელექტორატიც ჰყავს. ამას ემატება ის ინფორმაცია, რომელიც მან ამ ხელისუფლებასთან მუშაობისას მიიღო. საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობს ხელისუფლებისა და ზოგადად, პოლიტიკური პროცესების შესახებ, რაც მან ივანიშვილს, როგორც ჩანს, უკვე გაუზიარა. ამაზე „ქართული ოცნების“ ლიდერმა შეხვედრის შემდეგ გაკეთებულ კომენტარშიც მიანიშნა.

დღევანდელ დაძაბულ და რთულ პოლიტიკურ თამაშში კი ყველა სახის ცნობა, ინფორმაცია და გამოცდილება ძალზედ მნიშვნელოვანია“, — განაცხადა ცინცაძემ და დასძინა, რომ აღნიშნული შეხვედრა პოლიტიკური პროცესების განჯასაღების მანიშნებელია, რადგან გუშინ გამოჩნდა, რომ პოლიტიკოსებს შორის ურთიერთოებები თანდათან კონსტრუქციულ და ცივილიზებულ რელსებზე გადადის.

მედიანიუსი

# ნაციონალებიდან ოპონენტებთან დებატებს ვანო მერაბიშვილი და დავით ბაქრაძე გამართავენ

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავისი საარჩევნო სიის პირველ ნომრად პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე დაასახელა, არჩევნების შემდეგ კი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად ვანო მერაბიშვილი იქნება.

ამის შესახებ დღეს პრესკონფერენციაზე „ნაციონალების“ პრესსპიკერმა ჩიორა თაქთაქიშვილმა განაცხადა,

მისი ცნობით, ნაციონალური მოძრაობა ძირითად ოპონენტებთან დებატების გამართვასაც გეგმავს და მათი პარტიიდან დებატებში სწორედ მერაბიშვილი და ბაქრაძე მიიღებენ მონაწილეობას.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ოპონენტებს სატელევიზიო დებატებში იწვევს. ჩვენი მიზანია, გავიმარჯვოთ თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში. სატელევიზიო დებატებს კი ამ მხრივ ძირითად პოლიტიკურ მოთამაშეებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ძირითადი პოლიტიკური ძალების პრემიერ-მინისტრობის კანდიდატებსა და საპარლამენტო სიის პირველ ნომრებს სატელევიზიო დებატებში იწვევს.

საქართველოს მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაეცნონ თითოეული პოლიტიკური ძალის მიერ წარდგენილი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის პროგრამას. „ნაცმოძრაობის“ ორივე პოლიტიკური ლიდერი ვანო მერაბიშვილი და დავით ბაქრაძე მზად არიან პოლტიკურ დეპატებში მონაწილეობის მისაღებად,“— განაცხადა თაქთაქიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ დღეს „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დებატებში გამოიწვია.

მედიანიუსი

# ივანიშვილი ჩვენთან დებატებს თავს იმიტომ არიდებს, რომ ჩვენი ეშინია“

ქრისტიან-დემოკრატების პოლიტიკური მდივნის ლევან ვეფხვაძის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილი მათთან დებატებს თავს იმიტომ არიდებს, რომ მათი ეშინია.



ასე პასუხობს ვეფხვაძე ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, რომ ის „ქრისტიან-დემოკრატებთან“, ლეიბორისტებთან და „ახალ მემარჯვენეებთან“ დებატებში მხოლოდ მაშინ დაჯდება, თუ ისინი აღიარებენ, რომ „ხელისულფების წარმომადგენლები არიან“.

როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას ვეფხვაძე აღნიშნა, მაშინ, როცა ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილის რეჟიმს ამყარებდა, ქრისტიან-დემოკრატები სანდრო გირგვლიანის მკვლელობასა და ხელისუფლების სხვა დანაშაულებრივ ქმედებებზე საზოგადოებას ინფორმაციას აწვდიდნენ.

„ჩვენ რომ ხელისუფლებას ვებრძოდით, სად იყო ივანიშვილი? თავის დროზე მას რომ მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი არ გაემყარებინა, ქვეყანაში ამდენი უბედურება არ მოხდებოდა. დღესაც მერაბიშვილს „ჩემო ვანო“-თი მიმართავს და ემმაკაცება. სწორედ ამის ეშინია ივანიშვილს, რომ დებატებში ამ ფაქტებს გავუხსენებთ და ამიტომ არიდებს თავს ჩვენთან დებატებს“, — განაცხადა ლევან ვეფხვაძემ

მედიანიუსი

# ახალი მემარჯვენეების“ ახალი ინიციატივით გამოდიან

პოლიტიკური პარტია „ახალი მემარჯვენეების“ განცხადებით, ყოველი არჩევნების წინ, მოსახლეობის დასაქმებასთან დაკავშირებით, ხელისუფლება უამრავ დაპირებას იძლევა, რომელიც საბოლოოდ ცარიელ დაპირებად რჩება. 1 ოქტომბრის არჩევნებისთვის ხელისუფლების მხრიდან ისმის ახალი დაპირებები. ქვეყანაში დასაქმების სპეციალური სამინისტროც კი შეიქმნა, რომელიც ცხადია, მხოლოდ პიარ აქციაა და არა რეალური ნაბიჯი დასაქმების პრობლემის გადასაწყვეტად.

„ახალი მემარჯვენეები“ გამოდიან ინიციატივით, რომელიც, მათი თქმით, დამყარებულია საერთაშორისო გამოცდილებაზე და სწორ ეკონომიკურ გათვლებზე. ამ ინიციატივის არსი შემდეგია: საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის ერთერთ სერიოზულ შემაფერხებელ ფაქტორად საწარმოო ფართზე მაღალი საიჯარო გადასახადი გვევლინება, რომელიც საბოლოოდ, მძიმე ტვირთად აწვება თავად ამ ბიზნესს. მნიშვნელოვნად ეს ფაქტორიც განაპირობებს სამუშაო ადგილების ტოტალურ დეფიციტს და მოსახლეობის უმუშევრობას.

თბილისში და პრაქტიკულად მთელ საქართველოში, ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ასეულ ათასობით კვადრატული მეტრი გამოუყენებელი და მიტოვებული ფართია, ძველი უმოქმედო საწარმოების და მათზე დამაგრებული მიწის ფართობების სახით.

„ჩვენ, „ახალი მემარჯვენეები“ გამოვდივართ ინიციატივით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ასეთი უმოქმედო საწარმოების ფართი სიმბოლურ ფასად — 1 კვ. მეტრი 1 ლარად გადაეცეს იმ კომპანიებს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას ყოველ ასეთ 10 კვადრატულ მეტრზე დაასაქმონ მინიმუმ ერთი ადამიანი. საბოლოო ჯამში ეს ნიშნავს, რომ მოკლე დროში ქვეყანაში დამატებით შეიქმნება ათეულ ათასობით ახალი სამუშაო ადგილი და რეალურად გაიზრდება იმ ოჯახების რაოდენობა, რომელთაც გაუჩნდებათ სტაბილური შემოსავალი.

მიგვაჩნია, რომ სწორედ ასეთი კონკრეტული ინიციატივებით შეიძლება ქვეყანაში შეიქმნას დამატებით სამუშაო ადგილები და შემცირდეს უმუშევრობა“, — აცხადებენ „ახლები მემარჯვენეები“.

მედიანიუსი

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ბიძინა გუჯაბიძე: მერაბიშვილს თავისივე სოფელში დავამარცხებ!“

შორენა კოწოწაშვილი

**არჩევნებამდე თვენახევარზე ნაკლები დარჩა და თანდათან პოლიტიკური ზეწოლის სულ უფრო მძიმე ფაქტები იკვეთება. ხელისუფლება ყველაფერზე მიდის და დაშინება-მუქარის ფონზე არც ადამიანების ჯანმრთელობა-სიცოცხლეს უფრთხილდება. კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი ბიძინა გუჯაბიძე სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს ვანო მერაბიშვილის მშობლიურ ადიგენში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით და საერთაშორისო ორგანიზაციების ობიექტურობის იმედი აქვს.**



გუჯაბიძე, რომელმაც უკვე მიიქცია სრულიად დიპკორპუსის ყურადღება იმით, რომ 21-ე საუკუნეში საარჩევნო შტაბი კარავში გახსნა, პირობას დებს, რომ კონკურენტს მისსავე რაიონში დაამარცხებს.

გთავაზობთ ინტერვიუს **ბიძინა გუჯაბიძესთან.**

***— ბატონო ბიძინა, ხელისუფლება წინასწარ მოგებულად თვლის ადიგენის რაიონს, ისევე, როგორც მთელ სამცხე-ჯავახეთს ვანო მერაბიშვილის ფაქტორიდან გამომდინარე. არჩევნებამდე თვენახევრით ადრე, მართლაც ეს რეალობაა და ჩანს, რომ სამართლიანი არჩევნები შედგება, რისი პირობაც პრეზიდენტმა ამერიკის პრეზიდენტს მისცა?***

— მიუხედავად იმისა, რომ მთელი საქართველოს მოსახლეობა თითქოს დატერორებული ჰყავს სააკაშვილს და მისი ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს, ადიგენში სასიამოვნოდ გაოცებული ვარ ადგილობრივი მოსახლეობის იმედიანი განწყობით. თუმცა შიში ჯერ დაძლეული არ იყო. რამდენიმე აქცია ჩავატარეთ უკვე და ამ შიშის დაძლევის უკვე მნიშვნელოვანი სიმპტომებია. აგიხსნით: პირველ რიგში ის, რომ თვენახევრის განმავლობაში ოფისი არ აგვაღებინა ხელისუფლებამ, აშინებდნენ, ატერორებდნენ ხალხს, იმ ადამიანებს, რომლებიც პოტენციურად იყვნენ ჩვენი მხარდამჭერები. ვისთანაც მივედით ფართის ქირაობისთვის ჩვენი პარტიის აქტივის ჩათვლით, ყველას უარი ათქმევინეს ზეწოლით, მუქარით, დაჭერის, ბიზნესის დაკარგვის საფრთხით. ვერავინ ვერ ახერხებდა ჩვენთვის ოფისის მოქირავებას. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, პროტესტის ნიშნად ადიგენის ცენტრში კარავი გაგვეშალა და ისე დაგვეწყო მუშაობა. ხელისუფლების ასეთი მოქმედება პირდაპირ მიანიშნებს იმას, რომ ისინი ხელს გვიშლიან საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში. ყველა ის ადამიანი, ვისთანაც კი მივიდნენ და დაემუქრნენ, აცხადებს, რომ დათო მერაბიშვილი — ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელი, ემუქრება თავისი თანამშრომლების მეშვეობით იმ ადამიანებს, რომლებიც აპირებდნენ „ქართული ოცნებისთვის“ ფართის მოქირავებას. ჩვენი ყველა მცდელობა ჩაშალეს. დაახლოებით 17-მდე ვარიანტი გვქონდა. დილით რომ შევთანხმდებოდით, შუადღემდე მოვიდოდნენ აკანკალებულები, შემეშვით, პრობლემები არ მინდა, მემუქრებიან, მატერორებენ, ფართს ვერ მოგაქირავებთო. აქცია ჩავატარეთ, კოალიციის ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ, ადგილობრივებიც შეუერთდნენ და გადავწყვიტეთ, ადიგენის ცენტრში, პოლიციასთან 25 მეტრში დავდგით კარავი და დავიწყეთ საშტაბო მუშაობა. ასე რომ, ნაცმოძრაობას, გარდა იმისა, რომ არ უნდა არჩევნების ნორმალურ ვითარებაში ჩატარება და საარჩევნო გარემოს არ ქმნის ამ ხნის მანძილზე, გადაწყვეტილი ჰქონდა ხელი შეეშალა ჩვენთვის კონკრეტულად ადიგენის რაიონში, მაგრამ ამას ვერ მიაღწიეს. ხელისუფლების ძირითადი მიზანი არის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს ხელი შეუშალოს ყველა დაუშვებელი მეთოდით.

***— თქვენი მხრიდან კარვის გაშლას რა რეაქცია მოჰყვა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან?***

— ვერც კი გაბედეს მოახლოება, იმდენი ადამიანი იყო შეკრებილი. სამი დღის განმავლობაში ადიგენში ფაქტობრივად ხელისუფლებაზე გამარჯვების ზეიმი იყო.

***— საერთაშორისო ორგანიზაციებმა რა პოზიცია დაიკავეს ამ ფაქტთან დაკავშირებით?***

— ჯერჯერობით მოლოდინის რეჟიმში არიან, თუმცა, ინფორმაცია უკვე მიაწოდეს თავიანთ ცენტრებს ამ ფაქტის შესახებ.

***— თქვენ ახსენეთ, სასიამოვნოდ გაოცებული ვარ ხალხის იმედიანი განწყობითო. ადიგენი ოპოზიციურია და მმართველი პარტია ამ რაიონს მოგებულად არ უნდა თვლიდეს?***

— დიახ. არ შეიძლება ისე ჩავთვალოთ, რომ ხალხი დაშინებულია და არაფერი არ გამოვა. სადაც კი გავედით, ყველგან გვესალმებიან ძალიან დიდი ენთუზიაზმით, თუმცა შიში ჯერ კიდევ დაუძლეველია. უდეში ჩავედით და დაახლოებით 150 კაცი სკანდირებდა „ქართულ ოცნებას“. მერე გადავედით მეორე სოფელში. არალის მოსახლეობასაც მივესალმეთ. ორ საათში მთელი უდე გვესალმებოდა, სააგიტაციო მასალას იღებდნენ, აქეთ გვამხნევებდნენ. დამერწმუნეთ, ხელისუფლებას ძალიან ცუდად აქვს საქმე. თვითონ უდეში, რომელიც ვანო მერაბიშვილის სოფელია, არალი არის ნაცმოძრაობის ახლანდელი მაჟორიტარის ჩილინგარაშვილის სოფელი, ასე ვთქვათ, სიტუაცია შეიცვალა და გარდატეხა შევიდა მოსახლეობის განწყობაში. ჩილინგარაშვილს მის სოფელშიც დავამარცხებ, ვანო მერაბიშვილს და სააკაშვილს — მთლიანად ადიგენში, რეგიონსა და მთელ საქართველოში.

***— ანუ, ბატონო ბიძინა, რაზე მიანიშნებთ, ხელისუფლების კანდიდატს მისსავე რაიონში გამარჯვება გაუჭირდება?***

— ჩილინგარაშვილს თავისი ნათესავები თუ დაუჭერენ მხარს, თორემ ხალხის მხარდაჭერა რომ არ აქვს, ეს სახეზეა. თუმცა შეხვედრის ბოლოს, სანამ წამოვიდოდით, რამდენიმე პროვოკატორმა პატარა ინციდენტი მოგვიწყო. თითქოს საქართველოს მოქალაქეები, ვინც ხელისუფლებას მხარს არ უჭერს, იმ სოფელში არ უნდა შევიდნენ, სადაც მმართველი პარტიის კანდიდატი ცხოვრობს. ჩილინგარაშვილის საძმოს წევრები, რამდენიმე ადამიანი, მათ შორის გამგებელიც, გვაიძულებდნენ, სოფელი დაგვეტოვებინა. გვეუბნებოდნენ, თითქოს ჩვენ უფლება არ გვქონდა, ჩილინგარაშვილის სოფელში აგიტაცია გვეწარმოებინა. ამ გამოხტომაში სამი-ოთხი ადამიანი ძალიან აქტიურობდა. ვფიქრობ, ხელისუფლების კანდიდატი მხოლოდ თავისი ახლო ნათესავებისა

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## ჯავახკის“ თავმჯდომარის მაჟორიტარად დასახელება ივანიშვილის ანტიეროვნულ საქმიანობაზე მიუთითებს

ნიკა ჩიტაძის მოსაზრებით, ახალქალაქის რაიონში კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად ორგანიზაცია „ჯავახკის“ თავმჯდომარე ნორიკ კარაპეტიანის დასახელება იმაზე მიუთითებს, რომ ბიძინა ივანიშვილი ანტიეროვნულ საქმიანობას ეწევა.




როგორც მან „მედიანიუსს“ განუცხადა, ეს გადაწყვეტილება გაუმართლებელია, მაგრამ „ამხანაგ ივანიშვილისგან“ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მან „ჯავახკის“ თავმჯდომარე წარადგინა.

„როდესაც ადამიანი აცხადებს, რომ საქართველომ დაიწყო საომარი მოქმედებები; რუსეთი არ უნდა განვიხილოთ კონფლიქტის მხარედ და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს უნდა ვესაუბროთ; რომ ბურჯანაძე პატრიოტულად აზროვნებს; როცა ამხანაგი ივანიშვილი ხვდება ამხანაგ ბურჯანაძეს; რომ თურმე საბჭოთა კავშირში ცხოვრება საინტერესო ყოფილა; როცა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ არ არიან სპეციალისტები, შეაფასონ პუტინი, როგორც პოლიტიკოსი და ის, თუ ვინაა მართალი საქართველო-რუსეთის ომში საერთაშორისო სამართლის პრინციპებით და ა.შ. ამ გადაწყვეტილებაში არაორდინალური არაფერია“, -— განაცხადა ნიკა ჩიტაძემ.

მისი თქმით, როცა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში რუსეთის 62-ე სამხედრო ბაზა ფუნქციონირებდა, განსაკუთრებით აქტიურობით ისეთი ორგანიზაციები გამოირჩეოდნენ, როგორებიც „ჯავახკი“ და „ვირქი“ იყვნენ. მათი ძირითადი მიზანი აგიტაცია, თითქოსდა რუსეთის სამხედრო ბაზის გასვლის შემდეგ სამხრეთ-ჯავახეთის სომხურ მოსახლეობას გარკვეული პრობლემები შეექმნებოდა, იქ თურქეთის სამხედრო ბაზა გაიხსნებოდა და სომხურ მოსახლეობაზე ზეწოლა დაიწყებოდა.

„ეს ყველაფერი კი იმის საფუძველია ვივარაუდოთ, რომ ისინი კრემლთან საქმიანობდნენ. ბუნებრივია, როცა ამხანაგი ივანიშვილი წარადგენს „ჯავახკის“ თავმჯდომარეს, კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ივანიშვილი ანტიეროვნულ საქმიანობას ეწევა. აქედან გამომდინარე, მან პასუხი უნდა აგოს ქართული საზოგადოების წინაშე და, ალბათ, საზოგადოებაც პასუხს მოსთხოვს მას არამარტო იმაზე, რომ ის „ჯავახკთან“ თანამშრომლობს, არამედი იმაზეც, რომ ის თანამშრომლობს გარკვეულ ანტიეროვნულ ძალებთან საქართველოში“, — აღნიშნა ნიკა ჩიტაძემ.

პოლიტოლოგის მოსაზრებით, სამწუხაროა, რომ ძალიან ბევრი პოლიტიკური პარტია საქართველოში, რომელიც „ქართულ ოცნებაშია გაწევრიანებული“, ფულის გამო ამ ყველაფერზე თვალს ხუჭავს. „ბევრი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციის, დამოუკიდებელი ჟურნალისტებისა თუ ექსპერტების ნაწილი, რომელიც ივანიშვილის მხრიდან ფინანსდება, თვალს ხუჭავენ იმ საქმიანობაზე, რასაც ივანიშვილი ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ ეწევა. ივანიშვილისა და მათი დამქაშების საქმიანობა ეწინააღმდეგება ეროვნულ ინტერესებს და არა „ნაციონალური მოძრაობის“ ან სხვა პოლიტიკური სუბიექტის თუ მოქალაქის ინტერესებს“, — აღნიშნა ნიკა ჩიტაძემ.

„ქართული ოცნების“ მიერ ჯავახკის ლიდერის მაჟორიტარობის კანდიდატად დასახელების ფაქტის შეფასებას „მედიანიუსი“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრებთან: დავით დარჩიაშვილსა და ნუგზარ წიკლაურთანაც შეეცადა. თუმცა მათ კომენტარისაგან თავი შეიკავეს..

პოლიტოლოგ ნიკა ჩიტაძის მოსაზრებით, უმრავლესობის წევრების თავშეკავების ერთ-ერთი ფაქტორი, შესაძლებელია, ის იყოს, რომ ახალქალაქის რაიონის ძალიან მცირე ნაწილი „ჯავახკის“ მომხრეა.

„შესაძლებელია, უმრავლესობის წევრები ამის გამო თავს იკავებენ, მაგრამ მე ხელისუფლების ნაცვლად ვერ ვილაპარაკებ. მათ თავიანთი მოსაზრება აქვთ, მე — ჩემი. თუმცა მავანი იტყვის, რომ ხელისუფლებისგან ვიმართები“, -— აღნიშნა ნიკა ჩიტაძემ.

## კახა კალაძე პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე საუბრობს

როგორც კალაძემ ბრიფინგზე განაცხადა, მისი შტაბის წევრების ერგო და თემურ კიღურაძეების დაკავება ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ანგარიშსწორებაა.

მისივე თქმით, ხელისუფლებას სამტრედიაში მობილიზებული ჰყავს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის, ლადო ვარძელაშვილის და სროლის ფედერაციის პრეზიდენტის გია უდესიანის ათკაციანი ზონდერბრიგადა, რომლებიც ცდილობენ ჩაშალონ „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებული შეხვედრები

მედიანიუსი

## ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილს დებატებში იწვევს

კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი მზადაა, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან დებატები ნებისმიერ დროს ნებისმიერ ადგილას გამართოს. ამის შესახებ ივანიშვილმა დღეს პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა. მისივე თქმით, თუ პრეზიდენტი ამას არ დათანხმდება, ის მზადაა მმართველი გუნდის ნებისმიერ წევრთან გამართოს დებატები. რაც შეეხება დებატებს სხვა პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან, ივანიშვილი აცხადებს, რომ ამას მხოლოდ „ლეიბორისტებთან“, „ქრისტიან-დემოკრატებთან“ და „ახალ მემარჯვენეებთან“ დათანხმდება, ვინაიდან მიიჩნევს, რომ აღნიშნული პარტიები ხელისუფლების ნაწილსა და ფსევდოოპოზიციას წარმოადგენენ.



„მზად ვარ, დებატებში დავჯდე აღნიშნულ პარტიებთან, ოღონდ იმ პირობით, თუ ისინი აღიარებენ იმას, რაც ხალხისთვის ისედაც ცნობილია — წარმოადგენენ ხელისუფლებას და მასთან თანამშრომლობენ“ — აღნიშნა ივანიშვილმა.

რაც შეეხება სხვა პარტიებს, კოალიციის ლიდერი აცხადებს, რომ ოპოზიციასთან დებატებს არ აპირებს.

ნიუსპრესსი

## ქართულ ოცნებას“ ცესკომ საარჩევნო ნომრად 41 ნომერი მიანიჭა

ცესკოს განკარგულებით, ბლოკ „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო ნომრად 41 მიენიჭა, — ამის შესახებ ჟურნალისტებს „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა ნინო გოგუაძემ განუცხადა, რომელიც ცესკოს სხდომაზე იმყოფებოდა.

„ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამ წუთებში მიიღო უკანონო გადაწყვეტილება და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო ნომერი 7 წაართვა და მიანიჭა ნომერი 41“, — აღნიშნა ნინო გოგუაძემ.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა ჯერ არ დასრულებულა და ამ წუთებშიც გრძელდება.

ინტერპრესნიუსი

## ნაციონალური მოძრაობის“ სიის 1-ელი ნომერი დავით ბაქრაძე იქნება, პრემიერობის კანდიდატი კი — ვანო მერაბიშვილი

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიის პირველი ნომერი პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე იქნება, ხოლო პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი — მთავრობის მოქმედი ხელმძღვანელი ვანო მერაბიშვილი. ამის შესახებ დღეს გამართულ ბრიფინგზე „ნაციონალური მოძრაობის“ სპიკერმა ჩიორა თაქთაქიშვილმა განაცხადა. მისი განმარტებით, ვანო მერაბიშვილი და დავით ბაქრაძე მზად არიან, მთავარი პოლიტიკური ოპონენტების სიის პირველ ნომრებთან და პრემიერ-მინისტრობის კანდიდატებთან დებატებში მიიღონ მონაწილეობა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკურ ოპონენტებს სატელევიზიო დებატებში იწვევს. დებატებს არჩევნების წინ, მთავარ პოლიტიკურ ოპონენტებს შორის, თავისუფალი არჩევნებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი და სიის პირველი ნომერი მზად არიან, პროგრამა და ხედვები გააცნონ მოქალაქეებს, თუ როგორ აპირებენ პრობლემების მოგვარებას“, — განაცხადა თაქთაქიშვილმა.

კითხვაზე, მიიღებს თუ არა მონაწილეობას დებატებში მიხეილ სააკაშვილი, თაქთაქიშვილმა უპასუხა, რომ დებატებში მონაწილეობას ბაქრაძე და მერაბიშვილი მიიღებენ.

ინტერპრესნიუსი

# მიხეილ სააკაშვილი: როგორ შეიძლება ხალხი წაყვეს მას, ვინც მოდის ნგრევის პროგრამით“



„როგორ შეიძლება ქართველი ხალხი წაყვეს მას, ვინც მოდის კონკრეტული ნგრევის პროგრამით და ამოცანით, რომ ყველაფერი მოსპოს, რაც ჩვენ გავაკეთეთ“, – ამის შესახებ საქართველოს რპეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დღეს ჩოხატაურის მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა.

პრეზიდენტის თქმით, მთავრობამ ნანგრევებიდან შექმნა სახელმწიფო შენობა.

„ახლა კი მათ სურთ, რომ ამ შენობიდან ისევ შექმნან ნანგრევები თქვენი მიცემული ხმებით, პირველი ოქტომბრის არჩევნებზე. როგორ შეიძლება ქართველი ხალხი, რომელსაც ინსტიქტურად, საუკუნეების განმავლობაში მოენატრა შენება, ხელახლა წაყვეს იმათ, ვინც მოდის კონკრეტული ნგრევის პროგრამით და კონკრეტული ამოცანით, რომ ყველაფერი მოსპოს, რაც ჩვენ გავაკეთეთ“, – განაცხადა სააკაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილმა მოსახლეობას რეგიონის განვითარების გეგმებიც გააცნო და კურორტ ბახმაროს, როგორც საერთაშორისო დონის კურორტის განვითარების აუცილებლობაზეც ისაუბრა.

პრეზიდენტის განცხადებით, ის ყველაფერს გააკეთებს რათა ტურისტები ბახმაროს, არა მხოლოდ ზაფხულში, არამედ ზამთარშიც სტუმრობდნენ.

„როცა ბახმაროში ხარ, ხვდები რამხელა პოტენციალი აქვს, არა მხოლოდ გურიას, არამედ მთელ საქართველოს. ჩვენთვის აქამდე ბახმარო იყო ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტი. გურულების გარდა, არც არავინ არ იცის საქართველოში რა არის ბახმარო. მომავალ წელს აქ მთელი საქართველო ჩამოვა და იმის შემდეგ მთელი კავკასია და მეზობლები ჩამოვლენ, შემდეგ კი – მთელი მსოფლიოდან-ტურისტები“, – განაცხადეა სააკაშვილმა.

# ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 25-მა ლექტორმა პროტესტის ნიშნად დატოვა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის 25-მა ლექტორმა პროტესტის ნიშნად უნივერსიტეტი დატოვა.

ამის შესახებ „პირველს“ ილიას უნივერსიტეტის უკვე ყოფილმა ლექტორმა გიორგი მიქანაძემ განუცხადა.

აკადემიური და ადმინისტრაციული თანამდებობიდან გაათავისუფლეს ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მაია გონაშვილი და ამავე ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი აკაკი ცომაია. მაია გონაშვილი არის ადამიანი, რომელმაც ამ ფაკულტეტის შენება თავის გუნდთან ერთად დაიწყო, ფეხზე დააყენა, რეიტინგი მისცა. 8 თვის წინ მოსული დეკანი იბარებს და ეუბნება მას, რომ გათავისუფელბულია ორივე თანამდებობიდან. ასე არ შეიძლება. მითუმეტეს, აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლებას თავის პროცედურები აქვს. არ ვიცი რა ინტერესების მსხვერპლი გახდა მაია გონაშვილი, მაგრამ ფაქტია ის, რომ ამ ფაკულტეტზე არ ხდებოდა ჩაწყობები და ნაცნობობით ნიშნის დაწერები. ვცდილობდით სამართლიანად გვემართა პროცესები“, – განაცხადა მიქანაძემ.

მისივე თქმით, დღეს ილიას უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის 25 ლექტორის წერილი გაიგზავნა რექტორთან, სადაც ისინი, პროტესტის ნიშნად, აღნიშნულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობაზე უარს აცხადებენ.

„ამასთან, ჩვენი გადაწყვეტილება ბოლო დროს ილიას უნივერსიტეტში ბიზნესის ფაკულტეტზე უსამართლოდ, ეთიკური ნორმების დარღვევით, ადამიანის უფლებისა და თავისუფლების შემლახველ ცვლილებებს უკავშირდება. მოგიწოდებთ! ყველგან, ყველა ინსტიტუციაში მოითხოვეთ სამართლიანობის აღდგენა და ყოველთვის იბრძოლეთ სიმართლისთვის. ჩვენ ამით ხელს ვუწყობთ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და ვეხმარებით მომავალ თაობებს. სხვა არანაირი ინტერესი არ გვამოძრავებს, გარდა იმისა, რომ დაისაჯონ დამნაშავეები. თუ ჩვენ ვართ დამნაშავეები, ჩვენ დაგვსაჯონ!“ – დასძინა მიქანაძემ.

სააგენტოს უნივერსიტეტის რექტორმა გიგი თევზაძემ 25 თანამშრომლის უნივერსიტეტიდან წასვლის ფაქტი დაუდასტურა.

მისი თქმით, „აღნიშნული ფაქტი ნამდვილად უკავშირდება ერთ-ერთი თანამშრომლის გათავისუფლების ფაქტს, თუმცა უნივერსიტეტს კანონი ამით არ დაურღვევია“.

„ძალიან სამწუხაროა, რომ მათ (25-მა ლექტორმა) უნივერსიტეტიდან წასვლა გადაწყვიტეს. ეს, რა თქმა უნდა, მათი უფლებაა. უნივერსიტეტს თანამშრომლის გათავისუფლებით კანონი არ დაურღვევია. ჩვეულებრივი მოვლენაა, როდესაც თანამშრომელი რეორგანიზაციის შედეგად იქნა გათავისუფლებული. ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღო დეკანმა. მას სურს, რომ საკუთარი კადრები ჰყავდეს და ამაში უკანონო არაფერია“, – განაცხადა თევზაძემ.

მისივე თქმით, ლექტორების წასვლა სამწუხარო ფაქტია, თუმცა ამით უნივერსიტეტს რაიმე შეფერხება არ შეექმნება.

„უკვე მიმდინარეობს ძალიან გამოცდილ ლექტორებთან მოლაპარაკებები, რომლებიც სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტში გამოცდილებით გამოირჩევიან. ასე რომ, ახალ სასწავლო წელს რაიმე ზიანი არ მიადგება“, – განაცხადა თევზაძემ.

**პირველი**

# ქართულმა ოცნებამ“ თეთრიწყაროსა და თერჯოლაში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები შეცვალა

როგორც კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, თეთრიწყაროში მამუკა აბულაძეს შალვა ხაჭაპურიძე ჩაანაცვლებს, ხოლო თერჯოლაში ომარ ნიშნიანიძის ნაცვლად, „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ზაალ გოგსაძე იქნება.

ივანიშვილის თქმით, როგორც აბულაძე, ისევე ნიშნიანიძე, კოალიციის ცენტრალურ შტაბში იმუშავაბენ და პარტიის საარჩევნო სიაში ღირსეულ ადგილს დაიკავებენ.

კოალიციამ ორი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებიც დაასახელა. ივანიშვილის თქმით, ცაგერში წარდგენილია მამუკა ჩაჩხიანი, ხოლო ახალქალაქში ნორიკ კარაპეტიანი.

კოალიციის ლიდერი მიჩნევს, რომ ისინი ღირსეული კანდიდატები არიან და თავიანთ რეგიონებში პატივისცემით სარგებლობენ.

„ქართულ ოცნებას“ მაჟორიტარი კანდიდატი მხოლოდ ორ რაიონში ნინოწმინდასა და მარნეულში არ დაუსახელებია. მათ წარდგენას კოალიცია უახლოეს მომავალში გეგმავს.

რაც შეეხება კანდიდატების შეცვლას, როგორც ივანიშვილმა განაცხადა, გარდა ზემოაღნიშნულისა, სხვა ცვლილება ამ მიმართულებით აღარ განხორციელდება.

**ნიუსპრესსი**

# ცესკო-ს ქართული ოცნებისთვის“ საარჩევნო ნომრად 7-იანის მინიჭებაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი აქვს

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორის, ეკა გიგაურის აზრით, ცესკო-ს ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნებისთვის“ საარჩევნო ნომრად 7-ის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი აქვს.

„მგონია, რომ უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი არსებობს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ასეთ დეტალებთან დაკავშირებით პრობლემის შექმნა არ იქნება გამართლებული. მით უმეტეს, რომ „ქართულ ოცნებას“, ალბათ, უკვე აქვს სამუშაოები ჩატარებული და გარკვეული მასალები დაბეჭდილი“, – განუცხადა გიგაურმა „ინტერპრესნიუსს“.

მისივე განმარტებით, რადგან კანონი ოდნავ ბუნდოვანია, ცესკო-ს შეუძლია ისეთი გადაწყვეტილება მიიღოს, რომელიც „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო საქმიანობის უპრობლემოდ განხორციელებაში ხელს შეუწყობს.

ცესკო-ს განმარტებით, იმისთვის, რომ საარჩევნო ბლოკმა დაიტოვოს მასში შემავალი ერთ-ერთი სუბიექტის რიგითი ნომერი, ბლოკში შემავალ ყველა პარტიას მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში . წინააღმდეგ შემთხვევაში ბლოკის რიგითი ნომერი უნდა განისაზღვროს წილისყრით, არჩევნებამდე არაუგვიანეს 37 დღისა, ანუ 25 აგვისტომდე.

„ქართული ოცნების“ ლიდერებმა, ზვიად ძიძიგურმა და სოზარ სუბარმა განაცხადეს, რომ ცესკო-მ ბლოკს ნომერ 7-ის მინიჭებაზე უარი უთხრა. ამასთან, ზვიად ძიძიგური და სოზარ სუბარი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილსაც შეხვდნენ და გადასცეს დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია, რომ საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ საპარლამენტო არჩევნებისათვის გამოიყენებს ბლოკში შემავალი ერთ-ერთი პარტიის – „კონსერვატიული პარტიის“ საარჩევნო ნომერ 7-ს.

# ნინო ბურჯანაძე: კარგი იქნებოდა, ოპოზიციას ერთიანი ფრონტით ებრძოლა“



„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საპარლამენტო არჩევნებზე ოპოზიციას ხელისუფლების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით უნდა ებრძოლა.

ამის შესახებ ბურჯანაძემ ტელეკომპანია „იმედისთვის“ მიცემულ კომენტარში განცხადა, რომელიც მასსა და პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის შეხვედრას ეხებოდა.

„ოპოზიციის ერთიანი ფრონტი ვერ შედეგა და ეს უკვე წარსულის საკითხია. ვფიქრობ, კარგი იქნებოდა ოპოზიციას ერთიანი ფრონტით ებრძოლა, მაგრამ ახლა მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ჩვენგანის მხრიდან ამომრჩევლის მაქსიმალური მობილიზაცია გაკეთდეს“ – განაცხადა ბურჯანაძემ. მისი თქმით, მოსახლეობა არჩევნებზე უნდა მივიდს, თავისი პოზიცია გამოხატოს და ყველაფერი გაკეთდეს იმისთვის, რომ დღევანდელი ხელისუფლება შეიცვალოს.

ამასთან, ბურჯანაძის განმარტებით, ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო, სადაც ერთმანეთს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ რეალობაზე და საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით მოსაზრებები გაუზიარეს.

# ბიძინა გუჯაბიძე: მერაბიშვილს თავისივე სოფელში დავამარცხებ!“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

და ახლობლების ხმებს მიიღებს. ხელისუფლება ცდილობს ამ არჩევნებზე დაშინებით, პროვოკაციებით გავიდეს ფონს და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაზე არც ფიქრობს.

***– ბატონო ბიძინა, გამოიკვეთა, რომ რაიონებში მოსახლეობის უმეტესობას ადგილობრივი კადრი უნდა მაჟორიტარად. ადიგენშიც ხომ არ გამოითქვა უკმაყოფილება კოალიციის მისამართით, რატომ დააყენეს მაჟორიტარად არაადიგენელიო?***

– არა. ადამიანები ამბობენ, რომ ვუნახივარ აქციების დროს ტელევიზიით და ა.შ. ანუ ადგილობრივი რომ არ ვარ, ეს პრობლემას აქ ქმნის. იციან, ვინ ვარ მე და საიდან მოვდივარ. კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლობა ძალიან ბევრ სხვა ნიუანსს ფარავს.

***– არ ფიქრობთ, რომ ოპოზიციის მხრიდან მაჟორიტარებზე არშეთანხმება იგივე „ქართულ ოცნებას“ ხმებს დააკარგვინებს? ხმების გაყოფის საფრთხე ხომ რეალურია.***

– არა მგონია, ამან მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს არჩევნების შედეგებზე. საერთოდ, პოლიტიკაშიც ასეა და ცხოვრებაშიც ასეა: პოლიტიკა სხვა ფენომენია და აქ ანგარიშის გაწევა დანაწევრებული პოლიტიკური ძალებისთვის წამგებიანია და არც არის მიზანშეწონილი. კოალიციის ავტორიტეტი, ძალა, გავლენა იმდენად დიდია საქართველოს მოსახლეობაში, არა მგონია, ახლა სხვა პოლიტიკურმა ძალებმა რაიმე გავლენა მოახდინონ ამ ვითარებაზე. ასე რომ, ანგარიშის გაწევა ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ ისეთ კანდიდატებს ვერ ვხედავთ, რომლებიც ანგარიშგასაწევები იყვნენ ადგილზე. საერთოდ, იგივე ადიგენში ჯერ არავინ დასახელებულა. ქვეყანაში ჩამოყალიბდა ორი პოლუსი – ერთი ხელისუფლება, მეორე – „ქართული ოცნება“. ხალხს სწორი არჩევანის გაკეთება ნამდვილად არ გაუჭირდება. ერთ კონკრეტულ ფაქტს გეტყვით, ერთ-ერთი აქტიური ქალბატონია აქ ციცინო ნარიმანიშვილი, რომელიც აქ მუდმივად ოპოზიციის გვერდით იდგა, მოვიდა ჩვენთან და მითხრა, რომ მის შვილს – გოჩა ურიგაშვილს, რომელიც ისრაელის მოქალაქეა და ბიზნესი აქვს (მას ორმაგი მოქალაქეობა აქვს), იმის გამო, რომ ჯერ დედამისს დაემუქრნენ და მერე თვითონ ხელისუფლების კანდიდატმა ზურა ჩილინგარაშვილმა განახორციელა ზარი ურიგაშვილის მისამართით ისრაელში, მას დათო მერაბიშვილიც ესაუბრა, ამათი ზარების შემდეგ გოჩა ურიგაშვილს დაემართა გულის შეტევა და ის ახლა ისრაელის ერთ-ერთ კლინიკაში იმყოფება. დედამისსაც ემუქრებოდნენ, გაგანადგურებთ, შენს შვილს დავიჭერთ, აქ ბიზნესს დავუყადაღებთ და ა.შ. ნათესავები მიუგზავნეს. ქალბატონმა ციცინომ გადაწყვიტა, რომ ამ მუქარას არ დამორჩილებოდა და ჩვენთვის ხელი შეეწყო. როდესაც ჩვენ კარავი გავშალეთ, ყველანაირად ხელი შეგვიწყო მუშაობაში. ძალიან დიდი ტრავმა მიიღო ქალბატონმა ციცინომ შვილის ასეთი მდგომარეობიდან გამომდინარე, ის რეანიმაციის განყოფილებაშია მოთავსებული. ეს ყველაფერი ამ ხელისუფლების ბრალია. ჩვენ ამ საკითხს ასე არ დავტოვებთ და საქმის კურსში ჩავაყენებთ საერთაშორისო ორგანიზაციებს და შესაბამის მასალებს გადავცემთ ყველა უწყებას, მათ შორის ისრაელის საელჩოსაც ჩავაყენებთ საქმის კურსში. ინფორმაციას მივაწვდით „ენდიაის“, „აირაის“, დიპლომატიურ კორპუსს. ზარი, რომელიც დაფიქსირდა გოჩა ურიგაშვილის ტელეფონზე, აუცილებლად გაიშიფრება და დადგინდება, რომ ნამდვილად ზურა ჩილინგარაშვილმა და დათო მერაბიშვილმა განახორციელეს მუქარა ამ ადამიანის მიმართ და ის ახლა ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. ეს არის პოლიტიკური ტერორი და დასტური იმისა, როგორ ცდილობს ხელისუფლება გავლენა მოახდინოს „ქართული ოცნების“ მომხრეებზე.

# მეცხრე არხის“ მძღოლი დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს

ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ მძღოლი გიორგი ლაღიძე რუსთავის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს და ის ამჟამად, სამუშაო ადგილზე იმყოფება. რაც შეეხება სამსახურებრივ ავტომანქანას, საჯარიმო სადგომზეა გადაყვანილი.

ამის შესახებ „ნიუსპრესს“ ტელეკომპანიის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა თამარ რუხაძემ განუცხადა.

ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ ინფორმაციით, გუშინ რუსთავში ინციდენტი მოხდა, ლაღიძე ტელეკომპანიის ავტომობილით კოსტავას ქუჩაზე უკუსვლით გადაადგილებისას ველოსიპედით მოძრავ ლაშა ნოზაძეს მიუახლოვდა, რომლის დროსაც იგი დაიბნა და წაიქცა.

ტელეკომპანიის ინფორმაციით, ნოზაძეს ინციდენტის დროს თავზე ხელებსა და ფეხებზე დამცავი საშუალებები ეკეთა და მას მნიშვნელოვანი დაზიანებები არ მიუღია.

მათივე ცნობით, საპატრულო პოლიციამ ინციდენტის ადგილზე სასწრაფო დახმარების ბრიგადა გამოიძახა და ნოზაძე საავადმყოფოში გადაიყვანეს. პოლიციამ შემთხვევის ადგილი შემოღობა გიორგი ლაღიძე კი, დაკითხვაზე წაიყვანა. დაკითხვამდე ლაღიძე სიმთვრალის დეტექტორით შეამოწმეს, რამაც უარყოფითი პასუხი აჩვენა, დაკითხვის შემდეგ ის ნარკოლოგიურ განყოფილებაში გადაიყვანეს.

**ნიუსპრესი**

# რუსეთმა სააკაშვილის პრეზიდენტობისას ყველაფერს მიაღწია

გულიკო ბალაძე

> **პარლამენტის წევრი პეტრე მამრაძე აცხადებს, რომ დღეს საქართველოს სწრაფვა ნატოსა და ევროკავშირის მიმართულებით არა მარტო შეწყვეტილია, არამედ ძალიან სწრაფად მოძრაობს საპირისპირო მიმართულებით.**



– ჩვენი ქვეყანა თავისი სტანდარტებით შორდება ნატოსა და ევროკავშირს და ნებისმიერი სხვა ლიდერის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, აღდგება საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების მცდელობა, – აცხადებს პარლამენტის წევრი პეტრე მამრაძე.

თუმცა, მანამდე საქართველო დგას დილემის წინაშე, როგორ მოიშოროს სააკაშვილის მმართველობა. სააკაშვილის დილემა კი თავის გადარჩენაა. პეტრე მამრაძე ამბობს, რომ სააკაშვილსა და მისი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებსაც უამრავი უდიდესი დანაშაულობები აქვთ ჩადენილი, არც ერთი ქვეყანა არ მიიღებს, საქართველოდან წასვლაც რომ მოინდომონ. არადა, პუტინს აწყობს სააკაშვილის დარჩენა ხელისუფლებაში.

***– ბატონო პეტრე, რაც გააკეთა სააკაშვილმა და მისმა ჯგუფმა, საერთოდ, აგვისტოს ომში ჩართვით, მისი შედეგებით და სხვადასხვა დროს საქართველოსა და ქართველის ერის წინაშე, აცნობიერებენ ნაციონალები და ამიტომ არ უნდათ ხელისუფლებიდან წასვლა?***

– გარდა იმ დანაშაულისა, რაც სააკაშვილმა და ნაციონალებმა ჩაიდინეს აგვისტოს ომში, მათ კიდევ მრავალი დანაშაული აქვთ ჩადენილი. მაგალითად, როინ შავაძის მკვლელობა. ოფიცერი მოკლეს, უზენაესის დავალებით ბათუმში. როცა მისი გვამი ნახეს, ყველა ძვალი – ფეხი, ხელი, ხერხემალი – გადამტვრეული ჰქონდა და 20-ზე მეტი ავტომატის ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. მერე აცხადებდნენ, წინააღმდეგობა გაუწია, თვითონ დაიწყო სროლა, ნარკოტიკები ჰქონდა და ურთიერთსროლის დროს მოკვდაო. გამოძიება არ ტარდება. თუ ასეა, აბა, ის ეპიზოდი აღადგინონ, როგორ მოხდა ურთიერთსროლაში ორივე ხელის, ორივე ფეხისა და ხერხემლის გადამტვრევა. შემდეგ სასტიკად დააშინეს, დაატერორეს შავაძის მეუღლე. სანამ შავაძის მეუღლე არ დაიცვეს ამერიკის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების ელჩებმა, მანამდე ხმას ვერ იღებდა. ბათუმსა და მთლიანად საქართველოში ყველამ იცის მკვლელების გვარები – იქაური პოლიციის კუდისა თუ სოდის ხელმძღვანელები, ვისაც თავი მოაქვთ იმით, რომ უზენაესი სახელმწიფო დავალება შეასრულეს. ასეთი დანაშაულობების რიცხვშია დავით ცინდელიანის გაუჩინარება, როცა ჩვენ შემდეგ ვნახეთ ჟურნალისტური გამოძიება – იგივე ჯგუფს მოაკვლევინეს კოდორელი ბიჭი, სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდა. მათ რიცხვშია 26 მაისის ძალადობა. კიევში 2046 პოლიციელის გაგზავნა დამკვირვებლად, ვისი გვარებიც დაფიქსირებულია ცენტრალური კომისიის მიერ კიევში და საერთაშორისო ექსპერტების მიერ დადგენილია თანხა – არანაკლებ 10 მილიონი დოლარისა, რაც დახარჯა საქართველოს რეჟიმმა ამ ოპერაციაზე. შემდეგ ჩვენ ყველანი ვისმენთ გივი თარგამაძის საუბარს იქ გადახვეწილ კანონიერ ქურდებთან. ჩვენ რომ გვგონია, კანონიერი ქურდები ხმაურიანად დააპატიმრეს და ციხეში არიანო, თურმე (ამის თაობაზე პაატა ზაქარეიშვილმა საჯაროდ განაცხადა) შემდეგ ჩუმად ყველა გაუშვეს და მათი დიდი ნაწილი სწორედ უკრაინაშია. გახსოვთ, გივი თარგამაძე რომ იმუქრებოდა, დონეცკს თვითონ მოუვლიდა. ამის შემდეგ გაჩნდა ცნობილი ჩანაწერი, სააკაშვილი ტიმოშენკოს რომ ეუბნება, გივი ყველაფერს მოაგვარებსო.

***– მე მგონი, ამით ტიმოშენკოსაც უმტრეს.***

– ეს ხომ დიდი დანაშაულია. მაჩვენეთ ის 10 მილიონი დოლარი, რომელი ხაზით გავიდა ბიუჯეტიდან? ამდენი თვითმფრინავი რომ წავიდა... შემდეგ იქიდან ჩამოსულმა პოლიციელებმა კონფიდენციალურად მიამბეს, ამ გიჟების ხელში კიევში ამოვყავით თავიო... ამ ყველაფერს ემატება მშენებლობები, რომლის მეშვეობით ფულების მოტეხვა ხდება. ჩემი ყოფილი თანაშრომლები, კოლეგები მეუბნებიან, რომ ძალიან დიდი თანხები მოძრაობს გადარიცხვა-გადმორიცხვით მშენებლობებისთვის ყოველგვარი გადაწყვეტილების გარეშე, ჯერ ხომ უნდა იყოს შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილება – საქართველოს მთავრობის, მუნიციპალიტეტის თუ სხვისი და შემდეგ დაიწყოს კეთება.

***– მშენებლობები კი ბევრი აქვთ წამოწყებული და ქმნიან აზრს, თითქოს ხელისუფლებიდან ჯერ არ მიდიან.***

– დღეს განგაშს ამიტომ ვტეხ. ჩემთვის ანაბანაა, რომ არ მიდიან. ცოცხალი თავით არ წავლენ.

***– არ მიდიან თუ არ უნდათ წასვლა, მაგრამ, ალბათ, წავლენ.***

– ერთია, რომ არ უნდათ წასვლა, მაგრამ მეორეა – მზაობაა, გამოიყენონ ნებისმიერი დონის რეპრესია, დაპატიმრებები, დახვრეტები, სროლები, თუ სხვანაირად ხალხის პროტესტები ვერ ჩააცხრეს. ამაზე წამსვლელები არიან.

***– თუკი „ქართული ოცნება" რეალურად უფრო მეტ ხმებს მიიღებს, ვიდრე ნაციონალური მოძრაობა, მაშინაც? უცხოეთის ქვეყნები პოზიციებს დაიკავებენ?***

– რა თქმა უნდა, იქნება პროტესტები, მაგრამ მათ იციან, რომ დასავლეთს გაცილებით დიდი თავისი პრობლემები აქვს. მათ ძალიან კარგად იციან, რომ ქარიმოვმა ანდიჟანში დემონსტრაცია გაზის ტყვიამფრქვევებით დახვრიტა, მაგრამ მას დასავლეთი ძალიან კარგად ხვდება, რადგან სჭირდება.

***– ქარიმოვი ქარიმოვია, მაგრამ სააკაშვილი რაში სჭირდება დასავლეთს?***

– თქვენ ახლა ყველაზე მთავარ კითხვას სვამთ. გეუბნებით იმას, რაც სესიაშვილმა თქვა ჯერ კიდევ შარშან 26 მაისამდე – ესენი მიდიან უკვე ღია დიქტატურაზე, თუნდაც დასავლეთის თვალშიც იყვნენ ისეთივე დიქტატორები, როგორც ცენტრალური აზიის ზოგიერთ ქვეყანაში არიან. მათი პოლიტიკა ასეთია: გადავაგოროთ ეს ოქტომბერი, ძალაუფლება შევინარჩუნოთ და ამერიკასთან და დასავლეთთან როგორმე ისევ დავალაგებთ ურთიერთობას. თუ ძალაუფლება ვერ შევინარჩუნეთ და ციხეში წავედით, რაში გჭირდება დასავლეთი? ასეთია მისი ფსიქოლოგია.

***– დასხდნენ თვითმფრინავებში და წავიდნენ უცხოეთში. ეს ვარიანტი არ განიხილება?***

– არანაირად. მათ არავინ მიიღებს. ნებისმიერი ქვეყანა მათ ექსტრადიციას მოახდენს, მით უმეტეს, დემოკრატიული. ვთქვათ, ირანში თუ გაიქცევიან, ან რუსეთში თუ გადავლენ...

***– შეიძლება რუსეთმა მიიღოს ისინი?***

– სააკაშვილს არ მიიღებს, ზოგიერთებს, რა თქმა უნდა, მიიღებს. ცნობილი მეცნიერის ალექსანდროვის შარშანდელი წერილი გაიხსენეთ, სადაც წერს: სააკაშვილი ყველაფერს გაუძლებს. სააკაშვილი იდეალურად აწყობს პუტინს და მის მთავრობას.

***– პუტინს სააკაშვილი აწყობს, რა თქმა უნდა. სააკაშვილის პირობებში ყველაფერს მიაღწიეს, რაც უნდოდათ.***

– რუსეთიდან პიარი კეთდება – რუსეთსაც აწყობს, სააკაშვილს რომ ეძახონ, აი, ამერიკის გოშია და ა.შ.

***– დროდადრო რუსეთიდან ეხმარებიან ხოლმე სააკაშვილს თავიანთი განცხადებებითა თუ მოქმედებებით. ახლაც უნდა ველოდოთ რუსეთიდან სააკაშვილის დახმარებას?***

– რა თქმა უნდა. ძალიან ბევრჯერ ღიადაც დაიბეჭდა რუსეთშიც და დასავლეთშიც, რომ სააკაშვილის ნაცვლად ნებისმიერი სხვა ლიდერი რომ მოვიდეს, ვინც გინდათ, თქვით, აღდგება საქართველოს მცდელობა დასავლეთისკენ, ევროკავშირისკენ.

***– ახლა საქართველოს სწრაფვა ნატოსა და ევროკავშირისკენ შეწყვეტილია?***

– არა მარტო შეწყვეტილია, არამედ ძალიან სწრაფად მოძრაობს ჩვენი ქვეყანა საპირისპირო მიმართულებით, ანუ შორდება ევროკავშირსა და ნატოს თავისი სტანდარტებით. ეს ძალიან კარგად იციან ნატოშიც და ევროკავშირშიც, რომ ის აღარ არის საქართველო, როგორც თუნდაც 3-4 წლის წინ (მაშინაც გასაკეთებელი ძალიან ბევრი იყო). ვინ შეუშვებს ნატოში რეჟიმს, რომელიც გამოიყვანს გენერალს (უჩავას) ტელევიზიით, რომელიც აღიარებს, რომ რაგატკებს ამზადებდნენ და აპირებდნენ ფოლადის ბურთულების გამოყენებას ხელისუფლების ჩამოგდების მიზნით. ეს უჩავამ აღიარა საქართველოში არსებული ყველა არხით. ეს იყო შარშან 26 მაისის შემდეგ. დაპატიმრებული გენერალი უჩავა აღიარებდა (ამას ატრიალებდნენ ყოველ დღე) ისე, როგორც გასული საუკუნის 37-იან წლებში. ამაზე რომ დაფიქრდება, ვინ მიიღებს ნატოში ასეთ ქვეყანას. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარი თომას ჰამერბერგი, დასკვნაში აცხადებს, რომ საქართველოში ნებისმიერმა ადამიანმა შეიძლება დაიბრალოს ნებისმიერი აბსურდული ბრალდება მხოლოდ იმისათვის, რომ თავი დააღწიოს სასტიკ ანგარიშსწორებას და ხანგრძლივ პატიმრობას შემზარავ პირობებში. გაეროს წარმომადგენელი მაია კიანუ აკეთებს განცხადებას, რომ საქართველოში, სამწუხაროდ,

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## მამუკა კაციტაძე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას შეხვდა

გუშინ ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის, წინასაარჩევნო დელეგაციის წარმომადგენლებს შეხვდა.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ ტონინო პიკულა, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი, სპენსერ ოლივერი, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის გენერალური მდივანი, რობერტო მონტელა, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის ადმინისტრაციის დირექტორი, მილოვან პეტკოვიჩი, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაში ხორვატიის დელეგაციის მდივანი და ფაბრიციო ბოვინო იტალიის საელჩოს წარმომადგენელი.

როგორც „მედიანიუსს" ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიიდან აცნობეს, დელეგაციის წევრებმა კომისიის თავმჯდომარისაგან დეტალურად მოისმინეს ინფორმაცია კომისიის უკვე განვლილი და მიმდინარე საქმიანობების შესახებ.

მამუკა კაციტაძემ სტუმრებს განუმარტა, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს სიის დაზუსტება მეთოდით ამომრჩევლიდან სიამდე, რაც გულისხმობს 1 აგვისტოს განახლელულ სიაში არსებულ ხარვეზებზე მოქალაქეთა რეაგირებას და მათ კორექტირებას სიაში, ასევე მიმდინარე ბუნებრივი ცვლილებების ასახვას.

მამუკა კაციტაძემ სტუმრებს „კარდაკარის" ანგარიშის ამსახველი ბეჭდური მასალა გადასცა.



დელეგაციის წარმომადგენლებმა გამოთქვეს ინტერესი თუ რა მენეჯმენტითა და მეთოდოლოგიით განახორციელა კომისიამ გაწეული საქმიანობა.

შეხვედრის დასასრულს კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 21 აგვისტოდან კომისიაში დაიწყება ბოლო 20 დღის განმავლობაში შემოსული, ამ მდგომარეობით დაახლოებით 57 000 განცხადების ანალიზისა და ერთიან ბაზაში ასახვის პროცესი.

ხელისუფლებამ ფერისცვალების დღესასწაული პარტიულ დღესასწაულად 5 არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებადამცველთა გაერთიანება" აცხადებს, რომ მმართველმა პარტიამ 19 აგვისტოს ფერისცვალების დღესასწაული კურორტ ბახმაროში პარტიულ დღესასწაულად აქცია და ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა გარდა, კურორტზე განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე არცერთი პირი და მათ შორის ჟურნალისტებიც არ შეუშვა, რითაც დაარღვია კონსტიტუციის 14-ე მუხლი, სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე, 333-ე და 154-ე მუხლები, რაც თანასწორუფლებიანობის დარღვევას ითვალისწინებს.

უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე სამართალდამცავი ორგანოებისა და უწყებათშორისი კომისიისგან კურორტ ბახმაროში ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ დანაშაულებზე მყისიერ რეაგირებას ითხოვს და მათთვის იმ მასალების წარდგენას აპირებს, სადაც „ნათლად ჩანს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმის მხრიდან მოქალაქეების მიმართ სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები".

მჟავანაძის თქმით, მასალაში ასევე კარგად ჩანს, როგორ ურიგებდა ერთ-ერთი სამართალდამცავი ფერისცვალების დღესასწაულზე მიმავალ მოქალაქეებს „ნაციონალური მოძრაობის" მაისურებს , რითაც ასევე დაირღვა საარჩევნო კოდექსის 45-ე და 79-ე მუხლი.

მედიანიუსი

## ეუთო-ს დელეგაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის წინასაარჩევნო გეგმებით დაინტერესდა

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციამ საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობისგან წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო სუბიექტების შესახებ ინფორმაციის გაშუქების გეგმებზე ინფორმაცია მოისმინა.

როგორც შეხვედრის შემდეგ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ ლევან გახელაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, დელეგაციის კითხვები წინასაარჩევნო პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის გეგმებს ეხებოდა.

გახელაძის თქმით, საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მკაცრი რეგულაციის ჩარჩოებს ქმნიან საარჩევნო კოდექსი და „მაუწყებლობის შესახებ კანონი" და ამდენად, ტელევიზია ამ საკანონმდებლო ბაზის ფარგლებში მოქმედებს.

გეგმებზე საუბრისას გახელაძემ აღნიშნა, რომ „მეორე არხზე" ყველა საარჩევნო სუბიექტს დაეთმობა სატელევიზიო ეთერი, ამას გარდა, „პირველ არხზე" დაიწყო რამდენიმე პროექტი, რომლის ფარგლებშიც საინფორმაციო გადაცემა „მოამბეში" თითქმის ყოველდღიურად იწვევენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს, მიმდინარეობს ორი პოლიტიკური თოქ-შოუ და ასევე, იგეგმება წინასაარჩევნო დებატები.

გახელაძის თქმით, დელეგაციის წევრები დაინტერესდნენ სხვადასხვა ტექნიკური საკითხით, მათ შორის საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსებით.

ნიუსპრესი

## კომუნიკაციების ეროვნული კომისია საგაზეთო გამოცემების განახლებულ ჩამონათვალს აქვეყნებს

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია იმ საგაზეთო გამოცემების განახლებულ ჩამონათვალს აქვეყნებს, რომლებიც „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის" შესახებ დადგენილების თანახმად, მონიტორინგს დაექვემდებარა.

2012 წლის 15 აგვისტოს გამართულ საჯარო სხდომაზე „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის" შესახებ დადგენილება დაამტკიცა. დადგენილების თანახმად, მონიტორინგი იმ გაზეთებზე გავრცელება, რომლებიც ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებით ფინანსდება.

2012 წლის 16 აგვისტოს მონაცემებით საარჩევნო პროცესში კომისია ზედამხედველობას შემდეგ ბეჭდვურ გამოცემებს გაუწევს: ეგრისის მაცნე; გურჯაანი; გაზეთი ბოლნისი; პრო-არტი; მოდინახე; ენციკლოპედია ქუთაისი; ლიტერატურული მესხეთი (ადიგენი); ჩემი აფხაზეთი; ბიულეტენი; ვრასტანი; გურჯისტანი; ონი №წს; ახალი ხარაგაული; ლიტერატურული მესხეთი (ახალქალაქი); გურიის მოამბე; ალიონი; ყაზბეგის მაცნე; კოლხეთი; ბახტრიონი; თერჯოლა; ხობის მოამბე; სამტრედიის მაცნე; ზესტაფონის მოამბე.

პირველი

# რუსეთმა სააკაშვილის პრეზიდენტობისას ყველაფერს მიაღწია

დასაწყისი მე-5 გვერდზე

საერთოდ, აღარ არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია და ადამიანები აღიარებენ „ყველაფერს“, იბრალებენ, რასაც მათ აბრალებენო. სასამართლოს გამამართლებელი განაჩენები ნოლთან ახლოსაა, რომ საქართველოში მოწმეებად გამოჰყავთ პოლიციელები, რაც არის სრული მარაზმი მსოფლიო სტანდარტებით. ძალიან კარგად იციან, რომ ერთი და იგივე მოწმე სხვადასხვა საქმეზე გამოდის დღის განმავლობაში.

***— ანუ „მოწმის ინსტიტუტი“ შემოიღეს და მოწმეებად ამუშავებენ პოლიციელებს.***

— დიახ, მოწმის ინსტიტუტი შემოიღეს თან ფასიანი — ერთჯერ მოწმედ გამოსვლისთვის 15 თუ 20 ლარს უხდიან. სრულიად განსხვავებულ საქმეებზე ერთი და იგივე ადამიანი სასამართლო პროცესებზე მოწმედ გამოდის. ა, ეს იყოო, ხელს ადებს პირს, რაც სასამართლოსთვის საკმარისია, სხვა მტკიცებულება საჭირო არ არის. დღეს ამ ქვეყანაზე არავინ ფიქრობს არც გაეროში, არც ნატოში საქართველოს მიღებაზე ევრო-ატლანტიკურ ალიანსში მიღებაზე. ობამას განცხადება გაიხსენეთ, ნატო უნდა ეძიებდეს თანამშრომლობას რუსეთთან და არა კონფრონტაციას.

***— პრინციპში რუსეთისთვისაც ხომ მიუღებელია ჩვენი ნატოში შესვლა?***

— მთავარია პიარი რუსეთისთვის კი არა, პუტინისათვის, რომლის რეჟიმი აღიარებულია ჩექისტურ რეჟიმად, რუსეთის ისტორიაში ყველაზე კორუმპირებულ რეჟიმად. რომელსაც. არავითარი სხვა კოზირი და ქულა საკუთარ მოსახლეობასთან არ აქვს, გარდა დასავლეთთან ბრძოლისა. თუმცა, მილიარდერები არიან თვითონ და მთელი ანგარიშები გატანილი აქვთ დასავლეთში, საუდის არაბეთის შეიხების მსგავსად, ვინც მთელ წელს ატარებს ამერიკაში, მაიამში, კანში და სხვაგან, წელიწადში ერთხელ ჩადის საუდის არაბეთში და მჯიღს ირტყამს გულზე, მე ვარ ყველაზე ფუმდამენტალისტი მუსლიმანიო და მეორე დღეს მიდის კიდევ დასავლეთში, ამათაც ოჯახები გაყვანილი ჰყავთ დასავლეთში, სწავლობენ, მილიონერები და მილიარდერები არიან, მაგრამ ხალხის წინაშე თავი მოაქვთ, აი, „დერჟავის ინტერესებს ვიცავთ, აი, ამერიკა მოგვეპარა, აი, ნატო შემოდის საქართველოშიო. ტრადიციულად, როდესაც, მით უმეტეს, რუსეთის მთელი მასმედია მათ ხელშია, რუსი ხალხის ძალიან დიდ ნაწილში ეს მუშაობს. ამდენ ომგადახდილი რუსი ხალხი, რომლებსაც კომუნისტები როგორი პროპაგანდით ამუშავებდნენ, იცით — ნატო მტერი, ამერიკა მტერი, ჩატარებული გამოკითხვისას საოცარ პასუხებს იძლევა. რუსების 60% ამბობს, რომ საქართველოს მოსახლეობა 55-60 მილიონია, ხოლო საქართველო — რუსეთის ნომერ მეორე მტერი ამერიკის შემდეგ (მესამეზე, ვთქვათ, ჩინეთია, ან სხვა ქვეყანა). ხომ გასაგებია, რაზეა საუბარი. აბოლებენ (მაპატიეთ, ამ ტერმინის გამოყენებისთვის) თავთავიანთ ამომრჩევლებს რუსეთშიც და საქართველოშიც. აქ სააკაშვილი ებრძვის პუტინს და პუტინის რეჟიმს...

***— ვითომ ებრძვის, სინამდვილეში სააკაშვილმა საქართველოს მთელი ეკონომიკა რუსეთს ჩაბარა.***

— რა თქმა უნდა, ვითომ, თორემ სინამდვილეში ხომ ვიცით, რას აკეთებენ. რკინიგზისა და გაზსადენის გაყიდვაც უცხოელებმა შეაჩერეს, თორემ რკინიგზა ლონდონის ბირჟაზე რომ გაეტანათ (რომელსაც ახლა მილიარდი დოლარი აჰკიდეს, ახლახანს ნახევარი მილიონი დაამატეს), ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელსაც მისი ყიდვის ინტერესი აქვს. ეს ის ქვეყანაა, რომლის ტანკები სააკაშვილმა მოიყვანა რკინიგზიდან 20 კილომეტრში. არის მონაკვეთები, სადაც რუსის ტანკი დგას რკინიგზიდან 20 კილომეტრში, ნაკლებ მანძილზე თუ არა.

***— ისე, სააკაშვილს მშვიდად ცხოვრება უნდა, ჩვენ კი ვაწუხებთ ამ კაცს და სიმშვიდეს ვურღვევთ. მე მგონი, ის ძალიან ღიზიანდება ამის გამო, რასაც გამოხატავს კიდეც თავის მონოლოგებში..***

— არც სააკაშვილი მაინტერესებს, არც სხვა. ჩემი ინტერესები იყო და არის მაკროინტერესები.

***— როგორც ფეოდალებს ურიგებდნენ ქონებას, ისე დაურიგა სააკაშვილმა სახელმწიფოს ქონება თავის შინაურებს.***

— სააკაშვილმა დედამისს სულ ცოტას 26 შენობა აჩუქა. ციფრი არ შემეშალოს, შეიძლება 28 შენობა იყოს...

***— ყოველ შემთხვევაში, 20-ზე მეტი შენობა აჩუქა, ხომ?***

— დიახ, თითო-თითო ლარად აჩუქა. ამის თაობაზე სააკაშვილს რომ უთხრეს, როგორ ეწყინა და როგორ გაიბუტა, მთელმა ქვეყანამ ნახა. თავისი აგარაკი და ნაკვეთი კახეთში, სააკაშვილმა რომელი შემოსავლით შეიძინა? მე მაქვს იგივე ხელფასი (როგორც პარლამენტის წევრს), როგორც პრეზიდენტს. მართალია, სააკაშვილმა ამას წინათ 4000 დოლარი თქვა, 4 ათასი ლარის ნაცვლად, მაგრამ ეს ხელფასი ხომ არ ეყოფოდა კახეთის აგარაკის ასაშენებლად. ამ ხელფასით ააშენა მდიდრული ვილა ჭოპორტში თუ სადღაც ბიძამისთან ერთად? მე მაპატიეთ, ამ ხელფასით, საძირკველს ვერ ჩაუყრიდა, ფუნდამენტს ვერ ააშენებდა, არათუ იმ შენობას.

***— შეიძლება ტრამპმა „აჩუქა“. საქართველოში ჩამოიყვანა, მაგრამ, მგონი, არ გაუმართლა.***

— ჩუქებას თავისი წესი აქვს. ტრამპმა იქით იჩუქა 200 მილიონი დოლარი ჩავისი ბრენდისთვის. თბილისში ბევრს ხუმრობენ, მთავარია, ზარალამ არ იზარალოსო. ეს ფული ხომ ე.წ. ზარალას ფირმიდან წავიდა. შემდეგ — ახლა რომ ტივანში ვილაში ცხოვრობს, ახალგაზრდა ორგანიზაციებმა ვერც კი გადაიღეს, ისეთი დაცვა დგას პერიმეტრზე, რით აიშენა? ბიძამისთან ერთად აშენებული ვილა თითქოს დაანგრია. ბიძამისის ვილა კი დარჩა. კომპეტენტურმა ადამიანებმა მითხრეს, ახლა რომ ვილაში ცხოვრობს, ის უგულავამ და ბენდუქიძემ გაუკეთესო. ვერ შევამოწმე, ამიტომ რაც მითხრეს, იმას ვამბობ.

***— რატომ გაიღეს ასეთი დიდი საფასური?***

— ნეტა, რატომ გაიღეს? ნეტა, თქვენთვის რატომ არ ააშენეს? რატომღაც არ მოუვიდა არც ერთს თავში, თუ ეს მართალია. მე ეს ვერ შევამოწმე. ან როგორ გინდა რომ შეამოწმო? რა, ხელმოწერას დატოვებენ სადმე? ელიტური კორუფცია ხელმოწერებს არ ტოვებს.

# თბილისის ზოგიერთ ქუჩას დღეს საღამოს წყალმომარაგება შეუწყდება

კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ცნობით, თბილისის ქუჩების წყალსადენისა და წყალარინების ქსელების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, 21 აგვისტოს, დავით აღმაშენებლის გამზირისა და ცაბაძის ქუჩის კვეთაზე კომპანიას დაგეგმილი აქვს წყალსადენის 250 მმ-იან ქსელზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, რაც ზოგიერთი ქუჩის მაცხოვრებლებისთვის წყალმომარაგების შეწყვეტას გამოიწვევს.

სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით, 21 აგვისტოს, საღამოს 10 საათიდან, 22 აგვისტოს დილის 09 საათამდე წყალმომარაგება შეუწყდება: წერეთლის გამზირს მიმდებარე ქუჩებით;

დავით აღმაშენებლის გამზირს მიმდებარე ქუჩებით; წინამძღვრიშვილის, ჯავახიშვილის, ხეთაგუროვის, ჩუბინაშვილის, თედორე მღვდლის, ჩანტლაძის, რობაქიძის №7-სა და მათ მიმდებარე ქუჩებს.

**მედიანიუსი**

# ვაჟა ბერიძის აზრით, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ადამიანური რესურსი ამოეწურა



პოლიტოლოგ ვაჟა ბერიძის აზრით, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ადამიანური რესურსი ამოეწურა.

ასე შეაფასა ბერიძემ „პირველთან“ საუბრისას მმართველი გუნდის საარჩევნო სიის პირველ ნომრად დავით ბაქრაძის, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კი, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად ისევ მოქმედი პრემიერის, ვანო მერაბიშვილის დასახელება.

„ამ ადამიანების დასახელება მოსალოდნელი იყო, რადგან ხელისუფლება პერსონალიების კუთხით, რადიკალურ ცვლილებებს ყოველმხრივ თავს არიდებს. ამავდროულად, „ნაციონალებს“ ადამიანური რესურსი ამოწურული აქვთ. თავიანთი პარტიული მუშაობის წესებიდან გამომდინარე კი, რიგების განახლება არ შეუძლიათ. ამასთან, ისიც კარგად დაინახეს, რომ 20-25 წლის თინეიჯერებით ხელისუფლების დაკომპლექტებამ შედეგი ვერ მოიტანა. აქედან გამომდინარე, აქცენტს აკეთებენ იმ სახეებზე, რომლებიც პროპაგანდისტული მანქანის მუშაობის შედეგად შეიქმნა“, — განაცხადა ბერიძემ და დასძინა, რომ „ვანო მერაბიშვილი ასოცირდება, როგორც კრიმინალის დამმარცხებელი, დავით ბაქრაძე კი, როგორც ძალიან ინტელექტუალი ფიგურა“.

„მართალია, მერაბიშვილმა შეძლო კრიმინალის დამარცხება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მის მიერ შექმნილი პოლიცია დღეს ძალიან პოლიტიზირებულია, რაც ამ ადამიანის დამსახურებებს ფასს უკარაგავს. რაც შეეხება დავით ბაქრაძეს, ის უდავოდ განათლებული ადამიანია, მაგრამ მისი პარლამენტარობის თავმჯდომარეობის პერიოდში ერთპარტიული პარლამენტის მიერ უამრავი ვოლუნტარისტული აქტი იქნა მიღებული. სულ სხვა იყო ზურაბ ჟვანიას პარლამენტის თავმჯდომარეობის ეტაპი საქართველოს სინამდვილეში. რა თქმა უნდა, ის გარკვეულწილად ტენდენციური იყო, მაგრამ მის დროს კანონშემოქმედებითი საქმიანობა ბევრად საინტერესო პროცესს წარმოადგენდა, ვიდრე ბაქრაძის პერიოდშია“, — განაცხადა ბერიძემ და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ბაქრაძის და მერაბიშვილის იმიჯი არის არა მათი დამსახურება, არამედ პროპაგანდისტული მანქანის მუშაობის შედეგი.

ცნობისთვის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიის პირველი ნომერი დავით ბაქრაძე იქნება. არჩევნების შემდეგ კი, მმართველი გუნდი პრემიერ-მინისტრად ვანო მერაბიშვილს დაასახელებს.

**პირველი**

# სასკოლო წიგნები უფასოდ დაარიგეთ!

**შორენა კოწოწაშვილი**

ლეიბორისტული პარტია განათლების სამინისტროს და, საერთოდ, ხელისუფლების საგანმანათლებლო პოლიტიკას უპირისპირდება და ხელისუფლებას მოუწოდებს, სკოლის მოსწავლეებს სახელმძღვანელოები უფასოდ გადასცენ.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, შალვა ნათელაშვილი და მისი გუნდი მუდმივად ამახვილებს ყურადღებას განათლების რეფორმის მანკიერ მხარეებზე და სისტემაში არსებული მძიმე მდგომარეობის აღმოსაფხვრელად, მმართველ პოლიტიკურ ძალას გარკვეულ რჩევებსაც აძლევს. თუმცა დღემდე ხელისუფლებას ლეიბორისტების რჩევები არ გაუთვალისწინებია. ხოლო თუ მმართველ გუნდს პიარისთვის რომელიმე ლეიბორისტული ინიციატივის სისრულეში მოყვანა სჭირდება, ამას ისე აკეთებს, რომ თითქოს კონკრეტული გადაწყვეტილება და ინიციატივა ხელისუფლებას ეკუთვნის.

სასწავლო წლის მოახლოებასთან დაკავშირებით ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა პრესკონფერენცია გამართა.

— „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კატასტროფულად იკლო სკოლებისა და მოსწავლეების რაოდენობამ, რისი ერთ-ერთი მიზეზი ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური ფონია, — განაცხადა სოსო შატბერაშვილმა.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობიდან და სასკოლო სახელმძღვანელოების მაღალი ფასებიდან გამომდინარე აუცილებელია, ხელისუფლებამ ყველა ბავშვს წიგნები საჩუქრად გადასცეს.



— კატეგორიულად მოვითხოვთ სააკაშვილისა და მისი მთავრობისაგან, ყველა ბავშვს გაეგზავნოს ფოსტით სახელმძღვანელოების კომპლექტი, რათა ჩვენმა ბავშვებმა შეძლონ სწავლის დაწყება და გაგრძელება, ხოლო ხარჯები დაიფაროს ნაციონალური მოძრაობის ფონდიდან, რომელიც, შესაბამისად, ხალხის ძარცვის შედეგია ანუ ნაძარცვი ქონება დაუბრუნდეს ჩვენს შვილებს, — განაცხადა სოსო შატბერაშვილმა. მისი თქმით, ლეიბორისტული პარტია ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, პარლამენტის პირველივე სხდომაზე გააკეთებს განცხადებას იმის შესახებ, რომ შეიქმნება სასკოლო ბიბლიოთეკები და მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იქნებიან სახელმძღვანელოებით.

# კახეთში რთველი რამდენიმე დღეში დაიწყება

კახეთში რთველი რამდენიმე დღეში დაიწყება, — ამის შესახებ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრაზე რეგიონის რწმუნებულმა გიორგი ღვინიაშვილმა განაცხადა. მისივე თქმით, რთველი დედოფლისწყაროდან და სიღნაღიდან დაიწყება. „წელს რთველი ნაადრევი იქნება, რადგან ყურძენი კონდიციაში უკვე შედის და ალბათ, რამდენიმე დღეში შეგვეძლება დავიწყოთ“, — აღნიშნა მან.

ამასთან, გუბერნატორის თქმით, თუკი შარშან რეგიონში ყურძნის მიმღები 40 პუნქტი ფუნქციონირებდა, წელს მათი რიცხვი 55-მდე გაიზარდა.

კახეთში პრეზიდენტის წარმომადგენლის, ლევან ბეჟაშვილის ინფორმაციით კი, რომელიც პრეზიდენტთან შეხვედრას ასევე ესწრებოდა, სტიქიის შედეგად კახეთში დაახლოებით 7 ათასი ჰექტარი ვენახი დაზიანდა. „შესაბამისად, წელს ნაკლები მოსავალი იქნება. თუ 115-120 ათას ტონა ყურძენს ველოდებოდით, ახლა მოლოდინი 80-90 ათას ტონაა“, — აღნიშნა ბეჟაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# კომპენსაცია უკვე 14 ათასმა კახელმა მიიღო

კახეთში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის გამო სახელმწიფოსგან კომპენსაცია უკვე 14 ათასმა კახელმა მიიღო. კომპენსაციების დარიგების პროცესით დღეს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაინტერესდა, რომელმაც შესაბამისი ინფორმაცია ფინანსთა მინისტრ ალეკო ხეთაგურისგან, კახეთში მის წარმომადგენელ ლევან ბეჟაშვილისა და რეგიონის გუბერნატორ გიორგი ღვინიაშვილისგან მოისმინა.

როგორც ბეჟაშვილმა განაცხადა, კომპენსაციების დარიგების პროცესი რამდენიმე დღეში დასრულდება. „კომპენსაცია უკვე დარიგებულია 14 ათას ოჯახზე. ეს პროცესი გრძელდება და ვვარაუდობთ, რომ რამდენიმე დღეში დასრულდება, რადგან ბანკი მას ოპერატიულად ახორციელებს“, — აღნიშნა ბეჟაშვილმა. მისივე ცნობით, დაზარალებულთა შორის 18 ათასი ოჯახი მხოლოდ პირველ კატეგორიას მიეკუთვნება.



რაც შეეხება დაზიანებული სახლების აღდგენა-შეკეთების სამუშაოებს, გუბერნატორ გიორგი ღვინიაშვილის თქმით, უკვე დასრულებულია ყველა იმ საცხოვრებელი კორპუსისა და კერძო სახლის გადახურვა, რომელთა სახურავიც მთლიანად განადგურებული იყო. „ახლა დაახლობით 200 სახლზე მიდის შეკეთებითი სამუშაოები. თითოეულ სახლში მიდის კომისია, სპეციალისტები, ხდება ზარალის შეფასება და დგება სპეციალური აქტები“, — აღნიშნა ღვინიაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# გაეროს სპეციალური წარმომადგენელი სირიის ოპოზიციისგან ბოდიშს ითხოვს

გაეროს სპეციალური წარმომადგენელი სირიაში ლახდარ იბრაჰიმი სირიის ოპოზიციისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს. ამის შესახებ ინფორმაციას ტელეკომპანია „ალ ჯაზირა“ ავრცელებს.

სირიის ოპოზიციის აღშფოთება იბრაჰიმის განცხადებამ გამოიწვია, რომლის თანახმად, მისი მხრიდან სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის გადადგომასთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება ნაადრევია. სწორედ ამ განცხადების გამო მოსთხოვა იბრაჰიმს ოპოზიციამ ბოდიშის მოხდა.

თუმცა, გაეროს სპეცწარმომადგენელი აცხადებს, რომ თუ ვინმემ ამ საკითხთან დაკავშირებით ბოდიში უნდა მოიხადოს, ეს პირველ რიგში ოპოზიციაა.

გაეროს სპეციალური წარმომადგენლის პოსტზე ლახდარ იბრაჰიმმა აგვისტოს დასაწყისში კოფი ანანი შეცვალა.

სირიაში წელიწადნახევარია სამთავრობო ჯარებსა და შეიარაღებულ ოპოზიციას შორის შეტაკებები მიმდინარეობს. გაერო-ს მონაცემებით, დაღუპულია 12 თასზე მეტი ადამიანი. სირიის ხელისუფლების განცხადებით, ოპოზიციასთან შეტაკებების შედეგად, 2 500-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე და სამართალდამცავია გარდაცვლილი.

**ნიუსპრესსი**

# დღევანდელ კონსტიტუციაში ბევრი უკუღმართი წესი წერია

თამარ ნინიძე

**იურისტმა და კონსტიტუციონალისტმა ვახტანგ ხმალაძემ პრეზიდენტსა და საკონსტიტუციო უმრავლესობას შორის ურთიერთობების შესახებ განმარტებები გააკეთა. ხმალაძე 'ახალ თაობასთან' ინტერვიუში აცხადებს, რომ პრეზიდენტმა გონივრული გადაწყვეტილება უნდა მიიღოს და საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსულ ოპოზიციასთან ითანამშრომლოს, სხვა შემთხვევაში პოლიტიკური კრიზისის ხელოვნურად შექმნის მცდელობა მისთვის ცუდად დამთავრდება.**

***— როგორც კონსტიტუციონალისტი თუ შეიძლება განმარტოთ, „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსვლის შემთხვევაში როგორი იქნება თქვენი ქმედებები როცა სააკაშვილს ექნება მთავრობის დათხოვნის უფლება?***

— დღეს მოქმედი კონსტიტუციით და კიდევ ერთი წლის განმავლობაში სანამ მომავალ წელს არ აირჩევა ახალი პრეზიდენტი, მოქმედებს ის ნორმა, როცა პრეზიდენტს უფლება აქვს, ერთპიროვნულად მხოლოდ თავისი გადაწყვეტილებით თანამდებობიდან გაათავისუფლოს პრემიერ-მინისტრი და მთელი მთავრობა. ეს უფლება მას რჩება კიდევ ერთი წლის განმავლობაში. თუ პარლამენტში იქნა ისეთი კონსტიტუციური უმრავლესობა, რომელიც შეცვლის კონსტიტუციის ამ ნორმებს და „ქართულ ოცნებას“ გაცხადებული აქვს, რომ ქვეყანა უნდა გადავიდეს საპარლამენტო მოწყობის მოდელზე, მაშინ ბუნებრივია პრეზიდენტს ასეთი უფლებები აღარ ექნება, მას საერთოდ არ ექნება აღმასრულებელი უფლებები, ხოლო მთავრობისა და პარლამენტის ურთიერთობები ჩამოყალიბდება ისეთი ცივილიზებული ფორმით, როგორიც არის მიღებული ევროპის ქვეყნებში და არა ისეთი ფორმით, როგორითაც ჩამოყალიბდება ეს ურთიერთობა მომავალი წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ თუ კონსტიტუცია არ შეიცვლება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ თუ კონსტიტუცია არ შეიცვალა, მომავალ წელს პრეზიდენტს აღმასრულებელი უფლებები აღარ ექნება, ის მთავრობაზე ვერანაირ ზეგავლენას ვერ მოახდენს, სამაგიეროდ პრემიერ-მინისტრი იძენს გაცილებით მეტ უფლებას, ვიდრე ეს შეიძლება ჰქონდეს მას გამომდინარე კონსტიტუციონალიზმის პრინციპებიდან. თუ იქნა საკმარისი უმრავლესობა პარლამენტში რომ ეს შეცვალოს, ეს შეიცვლება საკმაოდ სწრაფად. მაგრამ თუ კონსტიტუციური უმრავლესობა ვერ მოიპოვა ვერც ცალკე „ქართულმა ოცნებამ“ და ვერც სხვა პოლიტიკურ ძალასთან ერთად, თუ არ მოგროვდა ორი მესამედი მხარდამჭერი ამ ცვლილებებისა, მაშინ ჩვენ აღმოვჩნდებით ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეიძლება გადაიქცეს პოლიტიკური კრიზისის წინა პირობად. ეს ვითარება ასეთია: პარლამენტში არის ერთი უმრავლესობა, და ეს არის ოპოზიციური უმრავლესობა, ვინაიდან ამ ერთი წლის განმავლობაში პარლამენტი რეალურად ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს მთავრობის შემადგენლობაზე, რადგან უნდობლობა რომ გამოუცხადოს მთავრობას, სამი მეხუთედის უმრავლესობით, ეს მთავრობა უნდა წავიდეს. ახალი მთავრობის შექმნა ისევ პრეზიდენტზე იქნება დამოკიდებული. ამ დროს მოქმედებს ასეთი წესი, რომ თუ პრეზიდენტის მიერ პარლამენტისთვის შეთავაზებულ მთავრობას პარლამენტმა ნდობა არ გამოუცხადა, პრეზიდენტი ნიშნავს ამ მთავრობას, პარლამენტს კი ვერ დაითხოვს პირველი ექვსი თვის განმავლობაში. შეიქმნება ისეთი ვითარება რომ არის პრეზიდენტი და მისი მთავრობა, არის პარლამენტის უმრავლესობა, რომელიც არის ამ მთავრობის და



პრეზიდენტის წინააღმდეგი. ამან შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული პოლიტიკური კრიზისი.

***— თუ მეორედ არ დაამტკიცა პარლამენტმა პრეზიდენტის მიერ დანიშნული მთავრობა, აქვს უფლება პრეზიდენტს და შალოს ეს პარლამენტი?***

— ექვსი თვის განმავლობაში არა აქვს პარლამენტის დათხოვნის უფლება, თავისი უფლებამოსილების ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაშიც არა აქვს პარლამენტის დაშლის უფლება. აქ ჩნდება შუალედი, პირველ ექვს თვესა და ბოლო ექვს თვეს შორის, მოკლე პერიოდი, როცა პრეზიდენტს ექნება პარლამენტის დათხოვნის უფლება. აქაც დგება კითხვა: რას მოიგებს პარლამენტის დათხოვნით პრეზიდენტი და ნაციონალური მოძრაობა? თუ პარლამენტის მოქმედება ჩვენი თანამემამულეების, ჩვენი მოქალაქეების აზრით იქნება სწორი და გამართლებული, მაშინ ისინი დაინახავენ, რომ პარლამენტს მოქმედების საშუალებას არ აძლევს პრეზიდენტი და მისი მთავრობა, მაშინ პარლამენტის დათხოვნისა და ახალი არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში ოპოზიციის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდება იმიტომ, რომ საზოგადოების მხარდაჭერა უფრო მეტი იქნება. როცა ამგვარი ვითარება იქმნება, საქმე მიდის ყოველთვის პოლიტიკოსთა გონივრულობამდე. რამდენად ექნებათ მათ უნარი სწორად გააანალიზონ ვითარება და მიიღონ გონივრული გადაწყვეტილებები, რომ არ გამოიწვიონ პოლიტიკური კრიზისი თუ არ ექნებათ ამის უნარი, ეს მათთვის უფრო ცუდად დამთავრდება. პრობლემა ის არის, რომ ასეთი ვითარება თვითონ ქვეყანაზეც უარყოფით გავლენას ახდენს. როცა არის პოლიტიკური დაპირისპირება, პარლამენტსა და მთავრობას შორის, მაშინ ფერხდება განვითარების პროცესი. იზრდება რისკის ხარისხი, მცირდება შესაძლო ინვესტირების და ეკონომიკური განვითარების პირობები, უარეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით სანამ არ დალაგდება ვითარება, რაც მოგვცემს სტაბილური განვითარების და მოქმედების შესაძლებლობას. ეს ყველაფერი გამოწვეულია უგვანო კონსტიტუციური ცვლილებებით, რასაც ამ რვა წლის განმავლობაში ვხედავდით.

***— რამდენად სწრაფად შეუძლია საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსულ ოპოზიციას დაიწყოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურები?***

— ეს იმაზეა დამოკიდებული, როგორი იქნება უმრავლესობა. მოგეხსენებათ პრეზიდენტის იმპიჩმენტს სჭირდება ორი მესამედი, ისევე როგორც კონსიტიტუციის შეცვლას სჭირდება ორი მესამედი. ორმესამედიანი უმრავლესობის შემთხვევაში მთელი ეს პროცესი შეიძლება დასრულდეს ორ თვეში, როგორც კონსტიტუციის შეცვლა, ისე იმპიჩმენტის საკითხიც, მაგრამ თუ ორმესამედიანი უმრავლესობა არ იქნა, მაშინ შეიძლება მოხდეს ის, რის თაობაზეც უკვე ვისაუბრეთ.

***— თუ ოპოზიციამ მხოლოდ 40% აიღო, მაშინ რა იქნება?***

— ეს იმას ნიშნავს, რომ უმრავლესობაში დარჩა ნაციონალური მოძრაობა. მე არ ვფიქრობ, რომ ეს ასე მოხდება, მაგრამ ამის თეორიული შესაძლებლობა არის. თუ ნაცმოძრაობამ მიიღო პარლამენტში უმრავლესობა, მაშინ ისინი შეძლებენ გააგრძელონ ისეთივე მოქმედება, რასაც აქამდე აგრძელებდნენ, მაგალითად, მე ვარ და ჩემი ნაბადი, რასაც მინდა, იმას ვიზამ. როგორც აქამდე არ უსმენდნენ ოპოზიციის აზრს, ასევე კვლავაც არ მოუსმენენ, იმოქმედებენ საკუთარი მერკანტილური ინტერესების დასაკმაყოფილებლად. სხვა მოლოდინი იმ ხელისუფლებისგან, რომელიც უკვე რვა წელზე მეტია ხელისუფლებაშია და ვხედავთ რას აკეთებს, მე არ მაქვს. თვისობრივად არ შეიცვლებიან, სავლე პავლედ ძალიან იშვიათად გადაიქცევა ხოლმე და ამათგან მე ვერ ვხედავ რაიმე ნიშანსაც კი.

***— რამდენი პროცენტია აუცილებელი, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობით მოხვიდეთ?***

— ამისთვის აუცილებელია, რომ ოპოზიციას ჰქონდეს სულ ცოტა ასორმოცდაათიდან ასი მანდატი მაინც. ეს ასი იქმნება ორი კომპონენტით: ეს არის პროპორციული არჩევნებით არჩეული და მაჟორიტარული არჩევნებით. მაჟორიტარულად აირჩევა ასორმოცდაათიდან სამოცდაცამეტი, პროპორციულით ასორმოცდაათიდან სამოცდაჩვიდმეტი. ერთმა პარტიამ ასი პროცენტიც რომ მიიღოს არჩევნებში, ის პარტიული სიებით მიიღებს მხოლოდ სამოცდაჩვიდმეტ მანდატს. იმისათვის რომ ასამდე შეივსოს, ამას დასჭირდება ოცდასამ ოლქში გამარჯვება. ცხადია ასეთი რამ არ ხდება არსად, რომ ერთმა პარტიამ მიიღოს ასი პროცენტი, ამიტომ ეს იქნება უფრო ნაკლები, ნაცმოძრაობასაც ექნება მიღებული თავისი ხმები, „ქართულ ოცნებასაც“, სხვა მონაწილე სუბიექტებსაც. შეიძლება შეძლონ ხუთპროცენტიანი ზღურბლის გადალახვა, ამიტომ სამოცდაჩვიდმეტზე ნაკლები იქნება ოპოზიციის მიერ მიღებულ მანდატთა რაოდენობა. მისთვის აუცილებელია მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების მოგება, საკმაოდ ბევრი ოლქისა. წინააღმდეგ შემთხვევაში არათუ კონსტიტუციური უმრავლესობა, არამედ ჩვეულებრივი უმრავლესობაც ვერ მიიღწევა.

***— სააკაშვილმა რომ არ დაასწროს საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსულ ოპოზიციას მთავრობის წარდგენა, რა პროცედურებია საჭირო, როგორ უნდა იმოქმედოს ოპოზიციამ?***

— ამისთვის აუცილებელია კონსიტიტუციის შეცვლა. რადგან პარლამენტის არჩევნების შემდეგ მთავრობის თავიდან ფორმირება არ ხდება. მოქმედი კონსტიტუციის თანახმად პარლამენტის არჩევნები არ იწვევს მთავრობის გადადგომას და ახალი მთავრობის შექმნას. პარლამენტს ყველაზე მეტი რაც შეუძლია, უნდა გამოუცხადოს უნდობლობა ამ მთავრობას და გადააყენოს. ამ შემთხვევაშიც ახალი მთავრობა, რომელიც შეიქმნება, ეს იქნება ისეთი მთავრობა, როგორიც ენდომება პრეზიდენტს. პარლამენტმა ნდობა რომც არ გამოუცხადოს ახალ მთავრობას, ის მთავრობა მაინც რჩება. ასეთი უკუღმართი წესები წერია დღევანდელ მოქმედ კონსტიტუციაში.

***— რა რაოდენობის ხელმოწერები უნდა შეგროვდეს მოქალაქეებში, რომ დაიწყოს პრეზიდენტის იმპიჩმეტნის პროცედურები?***

— იმპიჩმეტნის პროცედურა მოქალაქეების ხელმოწერით არ იწყება. კონსიტიტუციის თანახმად იმპიჩმეტნის პროცედურა იწყება მხოლოდ პარლამენტის წევრთა ხელმოწერით, პარლამენტის წევრთა კონსტიტუციით განსაზღვრულმა ნაწილმა უნდა წარუდგინოს პრეზიდენტს ბრალდება, შემდგომ ეს წარდგენილი ბრალდება იმის მიხედვით რა წერია მასში, უნდა გადაეცეს საკონსტიტუციო სასამართლოს, ან უზენაეს სასამართლოს, ან ორივეს, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა თქვას, რომ პრეზიდენტის ამ მოქმედებით დაირღვა კონსტიტუცია ან უზენაესმა სასამართლომ უნდა თქვას, რომ პრეზიდენტის ამ მოქმედებაში არის დანაშაულის ნიშნები. მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება პარლამენტს უფლება კენჭი უყაროს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენებას და ამას სჭირდება ორი მესამედი ე.ი. ასი ხმა.

***— ბოლოს თქვენი აზრი საინტერესოა როგორც იურისტის, რატომ არის სოციოლოგიური კვლევების მიმართ საზოგადოების უნდობლობა?***

— ამ კითხვაზე როგორც იურისტი, მე პასუხს ვერ გაგცემთ, ამაზე კვალიფიციური პასუხის გაცემა მხოლოდ სოციოლოგს შეუძლია, მაგრამ როგორც საზოგადოების წარმომადგენელს შემიძლია ჩემი პოზიცია მოგახსენოთ. როცა ჩვენ ვხედავთ სხვადასხვა ჯგუფების, ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ გამოკითხვებს და ვხედავთ მათ შორის ძალიან მნიშვნელოვან განსხვავებას, ამ დროს ბუნებრივია ჩნდება ეჭვი ნებისმიერი სოციოლოგიური გამოკითხვის მიმართ. თუ სოციოლოგიური გამოკითხვა არის ჩატარებული სათანადო, სწორი მეთოდოლოგიით, მაშინ ასეთი განსხვავებები არ უნდა იყოს მიუხედავად ამისა, მე ჩავატარებ გამოკითხვას თუ თქვენ. ამიტომ ჩნდება ეჭვი, რომ გამოკითხვები ჩატარდა ან არასწორი მეთოდოლოგიით ან გამოკითხვების შედეგები იყო ფალსიფიცირებული ანუ დაიწერა არა რეალური შედეგი არამედ სასურველი შედეგი. საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ ფალსიფიცირებული იყო გამოკითხვების შედეგები, ნაწილს მიაჩნია, რომ მეთოდიკა იყო არასწორი, მესამე ნაწილს სჯერა ამ გამოკითხვისა, ხოლო იმ ნაწილს, რომელიც მხარს უჭერს დღევანდელ ხელისუფლებას სჯერა იმ გამოკითხვის შედეგებისა, სადაც ლიდერობს ხელისუფლება, ხოლო იმ ნაწილს, რომელიც არ არის ამ ხელისუფლების მხარდამჭერი, სჯერა იმ სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებისა, სადაც ხელისუფლება აგებს არჩევნებს ოპოზიციასთან. აქ ერთიანი აზრი არ არის ჩამოყალიბებული. ადამიანების დიდი უმრავლესობა ფიქრობს, რომ სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგები არ არის სანდო. არა ერთი შეთავაზების მიუხედავად როდესაც ის სოციოლოგები, რომელთა გამოკითხვის შედეგები ძალიან განსხვავდება იმ შედეგებისგან სადაც ხელისუფლების უპირატესობა ჩანს, სთავაზობენ სხვა ჯგუფებს ამ პროცესის ლიად ჩატარებას, ილებენ უარს აირაისა და ენდიაისგან.

## ავსტრიის ბიბლიოთეკაში ქართული კუთხე გაიხსნა

ავსტრიაში, კერძოდ ვენის მთავარ ბიბლიოთეკაში ქართული კუთხე გაიხსნა. ამის შესახებ ავსტრიიდან ახლად დაბრუნებულმა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა, გიორგი კეკელიძემ და ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა, გიორგი საბანაძემ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში ისაუბრეს.

კეკელიძის თქმით, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ევროკავშირის წარმომადგენელ ქვეყანაში ქართული კუთხე გაიხსნა.

„ეს კუთხე იქნება საკმაოდ წარმომადგენლობითი. ჩემდა გასაოცრად, ვენაში საკმაოდ ბევრი ადამიანი იყო ქართულენოვანი. წიგნადი ფონდი ამ წუთისთვის შეადგენს სადღაც 300 ერთეულს. კუთხეს აქვს ის ფუნქცია, რომ ეს ურთიერთობები გაღრმავდეს“,-აღნიშნა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ.

ქართულ კუთხეში განთავსებული ლიტერატურა ძირითადად კლასიკური და საგანმანათლებლოა.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მსგავსი კუთხეების გახსნას ეროვნული ბიბლიოთეკა საფრანგეთსა და აშშ-ს კონგრესში გეგმავს.

მედიანიუსი

## ჩარგალში სახალხო დღესასწაული ვაჟაობა“ გაიმართება

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივით, 25 აგვისტოს ჩარგალში სახალხო დღესასწაული „ვაჟაობა“ გაიმართება. მასში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი მწერლები და პოეტები, ასევე მოეწყობა ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა, — აცნობეს „მედიანიუსს“ მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციიდან.

გარდა ამისა, გაიმართება სპორტული ღონისძიებები, როგორიცაა დოღი და სხვადასხვა სახეობის სპორტული შეჯიბრება. სახალხო ზეიმი ჩარგალში 12.00 საათზე, სპორტული ღონისძიებებით დაიწყება, ხოლო 14.00 საათზე დაგეგმილია გალა კონცერტი, რომელიც ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლების მონაწილეობით შესრულდება.

მედიანიუსი

## ახალგაზრდული ფორუმი და მოსწავლეები საგიტაციო მაისურებით

ყვარელში, ილიას ტბაზე „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ორგანიზებული ახალგაზრდული ფორუმი ჩატარდა. ფორუმზე კახეთის რეგიონის 8-ვე მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებიც წარადგინეს.

ფორუმზე „ნაციონალური მოძრაობის“ მაისურებით და კეპებით შემოსილი სკოლის მოსწავლეებიც იმყოფებოდნენ. ისინი ყვარელში ლაგოდეხიდან ჩავიდნენ, — იუწყება რადიო „ჰერეთი“.

როგორც ერთიანი „ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარემ და აქციის ორგანიზატორმა თორნიკე მაჭარაშვილმა „ჰერეთს“ განუცხადა, ყვარელში წასვლის წინ ლაგოდეხში ახალგაზრდებმა აქცია ჩაატარეს, სადაც ქალაქის ქუჩებში „ნაციონალური მოძრაობის“ საагიტაციო მაისურები და კეპები დაარიგეს.

მისივე თქმით, აღნიშნული აქციის შედეგად ილიას ტბაზე წამსვლელთა რიცხვი უპრეცენდენტოდ გაიზარდა და რთული გახდა გაკონტროლება, თუ რა ასაკის ახალგაზრდებს მოუწიათ ვიზიტი ყვარელში, პოლიტიკური პარტიის მიერ ორგანიზებულ ფორუმზე.

შეხვედრა ჯეოსტარელების კონცერტით დასრულდა.

მედიანიუსი

## მომდევნო ორი დღის დღის განმავლობაში საქართველოში წვიმიან ამინდს პროგნოზირებენ

მომდევნო ორი დღის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე წვიმიანი ამინდებია მოსალოდნელი. ამის შესახებ „ნიუსპრესს“ გარემოს ეროვნული სააგენტოს პროგნოზირებისა და მონიტორინგის ცენტრში განუცხადეს.

ცენტრის ინფორმაციით, საქართველოს ზოგიერთ რაიონში მოსალოდნელია წვიმა ელჭექით.

დასავლეთ საქართველოში ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა 23-24 გრადუსი იქნება, რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს — 24-29 გრადუსი.

29 გრადუსამდე გათბება ჰაერი დედაქალაქშიც.

ნიუსპრესი

# ბაგრატის ტაძარზე ჯვარი აღმართეს

ეკა ირემაშვილი

ბაგრატის ტაძრის გუმბათზე ჯვრის აღმართვისა და ჯვრის კურთხევის ცერემონია გაიმართა, რომელსაც სასულიერო პირებთან და მრევლთან ერთად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი ესწრებოდნენ. ქუთაისში შეკრებილ საზოგადოებას საქართველოს პრეზიდენტიც შეუერთდა და ხალხთან ერთად ეს დიდი სიხარული გაიზიარა. ამ მნიშვნელოვან მოვლენას კი სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე არ დასწრებია.

ბაგრატის ტაძრის გუმბათზე დამაგრებული ჯვარი 300 კილოგრამს იწონის, 2 მეტრისა და 14 სანტიმეტრის ბრინჯაოს ჯვარია, რომელიც არქიტექტორ-რესტავრატორ ვანო გრემელაშვილის ნახაზით დამუშავდა და შეიქმნა.

როგორც ქუთაისში ჩასულმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა განმარტეს, ბაგრატის ტაძრის გარშემო შექმნილი გაუგებრობა დასრულებულია. ტაძარზე კვლავ მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, XVII საუკუნეში დაქცეული ტაძრისა და მისი გუმბათის აღდგენითი სამუშაოები ბოლო ფაზაში შედის. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ბაგრატის ტაძრის დასავლეთის მკლავი ქვით მოპირკეთდება. პარალელურად, კვლავაც მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკებები საპატრიარქოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებს შორის. როგორც საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების ცენტრის ხელმძღვანელი ამბა-ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი განმარტავს, საპატრიარქო კმაყოფილებას გამოთქვამს ბაგრატის ტაძარზე განხორციელებული სარესტავრაციო სამუშაოების გამო. დასავლეთის მკლავი ქვით მოპირკეთდება, ტაძრის იატაკი და გუმბათი აღარ გაკეთდება შუშის და იქნება იმავე მასალის, რითაც ტაძრის შიგნით სვეტები მოპირკეთდება. შეთანხმება ამის შესახებ უკვე მიღწეულია, ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები ამ გეგმით განხორციელდება. საბოლოო სიტყვას კი იტალიელი არქიტექტორი ანდრეა ბურნო იტყვის, რომელსაც პროექტი ჯერ არ წარმოუდგენია. მიტროპოლიტი დავითი ირწმუნება, რომ იტალიელი არქიტექტორის პროექტში ეს ადგილები ქვის იქნება და არა – შუშის, როგორც ადრე იყო ტაძრის რეკონსტრუქციის პროექტში. სწორედ შუშის მასალის გამოყენება გახდა იმის მიზეზი, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ტაძრის დასავლეთის მკლავზე სარესტავრაციო სამუშაოების შეჩერების ბრძანება გასცა. უწმინდესმა განაცხადა, რომ საჭირო იყო გარკვევა, რა უნდა გაკეთებულიყო, როგორ და შემდეგ გაგრძელებულიყო ტაძრის რესტავრაცია.



ნიკოლოზ ვაჩეიშვილი კი აცხადებს, რომ მის სააგენტოს ერთი წლის მანძილზე ბაგრატისა და გელათის ნომინაციის რეალობასთან იდენტიფიკაციის გამოკვეთილი გრაფიკი აქვს. იუნესკოს რიგით 36-ე სხდომაზე, რომელსაც სანკტ-პეტერბურგმა უმასპინძლა, ბაგრატისა და გელათის ტაძრების მდგომარეობის საკითხი უნდა ყოფილიყო განხილული, თუმცა ამ საკითხის განხილვა 2013 წლამდე გადაიდო. ნიკოლოზ ვაჩეიშვილის თქმით, მიმდინარეობდა ინტენსიური შეხვედრები 21 ქვეყანასთან, მათ შორის, წამყვან სიძველეთმცოდნეებთან მსოფლიოში.

– ჩვენ, ფაქტიურად, ამ ერთი წლის მანძილზე გვაქვს გამოკვეთილი გრაფიკი იმისა, თუ როგორ უნდა გავაკეთოთ ის საქმე, რასაც ჰქვია ბაგრატისა და გელათის ნომინაციის იდენტიფიკაცია აბსოლუტურ, ობიექტურ რეალობასთან. ყველა ექსპერტი გვეთანხმება, რომ ამას მუშაობა სჭირდება. ყველა მზადაა, დაგვეხმაროს, იყვნენ ჩვენთან დიალოგში. ნებისმიერი წამყვანი ინსტიტუცია, იკომოსი თუ სხვა, რამდენჯერაც საჭირო იქნება, ჩამობრძანდებიან იმისთვის, რომ საქართველოსთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ადეკვატური და შედეგიანი იყოს, – ამბობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი.

კომიტეტზე დაისვა საკითხი იკომოსის ექსპერტთა ჯგუფის გაფართოებაზეც, რომლებიც განხორციელებულ სამუშაოებს სწორად შეისწავლიან, რათა იუნესკოში ფაქტობრივად მეტად ზუსტი და რეალობის ობიექტურად ამსახველი დასკვნა იქნას წარმოდგენილი. ნიკოლოზ რურუას თქმით, საკითხის გადადების ინიციატივა წამოაყენა გერმანიამ, რომლის წინადადებასაც მხარი ინდოეთმა, კოლუმბიამ, იაპონიამ, კამბოჯამ და შვეიცარიამ დაუჭირეს, რის შემდეგაც კომიტეტმა გადაწყვეტილება მიღებულად ჩათვალა. ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის პროექტი იუნესკოს 36-ე სესიაზე ქართულმა დელეგაციამ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა და ეროვნული სააგენტოს იუნესკოსთან ურთიერთობის სამსახურმა წარადგინა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ბაგრატის ტაძრის რესტავრაციასთან დაკავშირებით კულტურის სამინისტროსთან შეჯერებული პოზიციის წარმოდგენისათვის დრო ითხოვა. საქართველოს საპატრიარქოში ბაგრატის ტაძართან დაკავშირებულ საკითხებზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის სამეცნიერო საბჭოს წარმომადგენელთა შეხვედრაც გაიმართა, სადაც აღინიშნა, რომ ეკლესიისათვის, ისევე, როგორც სახელმწიფოსათვის, ამ ტაძრის აღდგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი გაერთიანებული საქართველოს სიმბოლოა. საპატრიარქოს საბჭოს წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ დააფიქსირეს პოზიცია იმის შესახებ, რომ ტაძრის დასავლეთ მკლავში მიმდინარე სამუშაოების შეჩერებას აუცილებლობად მიიჩნევდნენ, რაც კათოლიკოს-პატრიარქის ბრძანებაშიც არის აღნიშნული და რაც ეკლესიის დანარჩენ ნაწილში სამუშაოების შეწყვეტას არ გულისხმობს. საბჭომ ასევე კვლავ დააყენა საკითხი დასავლეთ მკლავში ბოლო დროს დამონტაჟებული ლითონის კონსტრუქციების დაშლისა და ადრე შეთანხმებული პროექტის მიხედვით მისი აღდგენის შესახებ. ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან ერთად შეჯერებული პოზიციის წარმოდგენისათვის დრო ითხოვეს.

ბაგრატის ტაძრის მდგომარეობას სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ. მისი თქმით, ბაგრატის ტაძარს იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის სიიდან ამოღების საფრთხე აღარ ემუქრება და მისი აღდგენის სამუშაოები აუცილებლად დასრულდება.

– „იუნესკოში“ გაიმართა სხდომა, რომელზეც უნდა განეხილათ ბაგრატის ტაძრის საკითხი და საფრთხე იმისა, რომ ამ ტაძარს იუ-

კულტურული მემკვიდრეობის სიიდან ამოიღებდნენ. ამ საკითხმა ვნებათა ღელვა გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ კონკრეტული პოზიცია გვაქვს. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბაგრატის ტაძარი აღდგეს. ეს მნიშვნელოვანია ქუთაისისთვის და ეს მნიშვნელოვანია მთლიანად იმერეთისთვის – ამ იდეის უკან თითოეული იმერელი დგას. ეს, ასევე, მნიშვნელოვანია მთლიანად საქართველოსთვის, რადგან ბაგრატი აღიარებულია, როგორც გაერთიანებული საქართველოს სიმბოლო და ჩვენ გვჭირდება არა ნანგრევები, არამედ მოქმედი ტაძარი, რომელშიც შესაძლებელი იქნება წირვა-ლოცვა და რომელიც გახდება საქართველოს აღორძინებისა და აღმშენებლობის სიმბოლო. ამის გაკეთება მსოფლიოში ყველაზე ცნობილ იტალიელ რესტავრატორს ვთხოვეთ, რომელმაც ყველა წესის დაცვით მოამზადა ტაძრის აღდგენის საუკეთესო პროექტი და მისი აღდგენა, პრაქტიკულად, მთლიანად დასრულებულია. დარჩა მხოლოდ პატარა დეტალები და, რა თქმა უნდა, ყველა იმ შენიშვნისა და პრობლემის გათვალისწინებით, რომელიც შეიძლებოდა საპატრიარქოს ჰქონოდა, აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე. ჩვენ ყველასთან შევაჯერეთ აზრი და როგორც უკვე ვნახეთ, შევთანხმდით კიდეც. დღის წესრიგიდან ახლა ბოლო ბიუროკრატიული დაბრკოლებაც მოხსნილია, – ასე აფასებს ბაგრატის ტაძრის საკითხს საქართველოს პრეზიდენტი.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილს მიაჩნია, რომ საზოგადოება ბაგრატის ტაძრის პროექტს დეტალურად უნდა გაეცნოს, ამიტომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ბაგრატის ტაძრის აღდგენის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. მინისტრის ნიკოლოზ რურუას ინიციატივით, ბაგრატის თემით დაინტერესებულ საზოგადოებას, ხელოვნებათმცოდნეებს, ისტორიკოსებსა და ქართული მედიის წარმომადგენლებს ბაგრატის განვითარების პროექტის მნიშვნელობა, აუცილებლობა და პროექტის დოკუმენტაციისა და ძეგლზე განხორციელებული ფიზიკური სამუშაოების მეთოდოლოგია კიდევ ერთხელ გააცნეს. ბაგრატის ტაძარზე XX საუკუნიდან დღემდე განხორციელებული საკონსერვაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაობის შესახებ დეტალური პრეზენტაცია, სამინისტროში შეკრებილი საზოგადოების შემეცნებისთვის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტომა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა და იუნესკოს კონსულტანტმა, საერთაშორისო არქიტექტურული საზოგადოებისთვის კარგად ცნობილმა და გამოჩენილმა იტალიელმა რესტავრატორმა ანდრეა ბრუნომ წარმოადგინეს. პროექტის პრეზენტაცია ოთხი საათის განმავლობაში გაგრძელდა და თემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საზოგადოების მეტად ინფორმირების მიზნით, კულტურის მინისტრის ინიციატივით, დებატებიც გაიმართა. კითხვა-პასუხის რეჟიმში წარმართული შეხვედრისას კიდევ უკეთ გამოიკვეთა ბაგრატის ტაძრის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟის უსაფუძვლობა.

– ტაძრის რესტავრაციის გამო ატეხილი აჟიოტაჟი უსაფუძვლოა, მიმაჩნია, რომ ბაგრატის ტაძრის ავთენტურობა შენარჩუნებულია და ეს კიდევ უფრო უკეთ წარმოჩნდება ტაძრის აღდგენის დასრულების შედეგად, – განაცხადა იტალიელმა არქიტექტორმა ანდრეა ბრუნომ.

ანდრეა ბრუნოს მიერ შესრულებული პროექტები გამორჩეულია სიძველეების მაქსიმალურად შენარჩუნებისა და გამოყენებული „თანამედროვე“ ფორმისა და მასალის მინიმალური ინტერვენციით. ანდრეა ბრუნოს მიღებული აქვს საფრანგეთის ღირსების კავალერის ორდენი და არის პრემია ნოსტრას რამდენიმე გზის პრიზიორი. იტალიელი რესტავრატორი ცნობილია, როგორც იუნესკოს ყველაზე მნიშვნელოვანი და მასშტაბური პროექტების ავტორი და კონსულტანტი. რივოლის, მადამას, კარინიანოსა და ლიხტენბერგის სასახლეების საფრანგეთში კორსიკას მუზეუმის, პარიზის ხელოვნებისა და რეწვის კონსერვატორიის, ფორტ ვობანის უნივერსიტეტისა და კლამესის მუზეუმის საკონსერვაციო პროექტების შემდეგ, ანდრეა ბრუნომ ბაგრატის ტაძრის დასავლეთ კედლის განვითარების პროექტი შექმნა. როდის წარმოადგენს ბაგრატის ტაძრის განახლებულ პროექტს იტალიელი არქიტექტორი ანდრეა ბრუნო, უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია–განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავლისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**ცფ,ფყრჯჰპტრღბპბნტ,ბ5**

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`


## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● ს ეყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში“. მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.

● კლინიკა „მედიგარდი“ გთავაზობთ ნებისმიერი ტიპისა და სირთულის სისხლძარღვოვანი პათოლოგიის გამოკვლევასა და მკურნალობას. მკურნალობა ეფუძნება შემდეგ მეთოდებს: მეზოთერაპია, ჰირუდოთერაპია (წურბელები), ჰომეოპათია, ოზონოთერაპია და ფიტოთერაპია. მისამართი: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 599-57-25-08.

● იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ნაკრები უკვე ბოსნიაშია

დღეს, საქართველოს საკალათბურთო ნაკრები მორიგ მატჩს გამართავს ევრობასკეტ 2013-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე. იგორ კოკოშკოვის გუნდის მეტოქე ჯგუფის ერთ-ერთი ფავორიტი ბოსნია-ჰერცეგოვინის ნაკრები იქნება.

საქართველოს ნაკრები სარაევოში გუშინ ჩარტერული რეისით გაემგზავრა. კოკოშკოვის განკარგულებაში ისევ 14 კალათბურთელი რჩება, 12 მათგანს კი მთავარი მწვრთნელი მატჩის დაწყების წინ დაასახელებს.

თუმცა, დაახლოებით ცნობილია, თუ ვის მიეცემა შანსი და ვის – არა. ამჟამად, ქართველ კალათბურთელთა ყველაზე დიდი სადარდებელი კაპიტნის, ზაზა ფაჩულიას ტრავმაა, რომლის გამოც რუმინეთთან თამაში ვერ შეძლო. სავარაუდოდ, ფაჩულია ვერც ბოსნიასთან შეძლებს მოედანზე გასვლას. მეორე კალათბურთელი, რომელიც ნაკრებს მიღმა დარჩება, ერთ-ერთი ნატურალიზებული, კორი ფიშერი იქნება.

ფაჩულიას არყოფნა მაშინ, როდესაც ჩვენს ნაკრებს ძალიან მოკლე სათადარიგოთა სკამი აქვს, დიდი დანაკლისია. ბოსნიელები ამ წუთისთვის ჯგუფის ლიდერები არიან და მათთან სტუმრად თამაში გაჭირდება. როგორც ჩანს, ტრავმები კოკოშკოვის გეგმებში არ შედიოდა, თორემ სწორედ ახლა იქნებოდა საჭირო ნაკრებში არგამოძახებული ნიკა ცქიტიშვილის თუნდაც მცირე გამოცდილება.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ საქართველოს ნაკრების შემადგენლობას:

ანატოლი ბოისა, ზაზა ფაჩულია, გიორგი ცინცაძე, გიორგი შერმადინი, კორი ფიშერი, მანუჩარ მარკოიშვილი, ლევან ფაცაცია, ვიქტორ სანიკიძე, აკაკი დვალიშვილი, ნიკა მეტრეველი, თორნიკე შენგელია, ბესიკ ლეჟავა, რიჩარდ მათიაშვილი, ჯეიკობ პულენი.

შეგახსენებთ, რომ დღეს ბოსნია საქართველოს დაუპირისპირდება, ხოლო ჩვენი ჯგუფის მეორე მატჩში ლატვია ჰოლანდიას უმასპინძლებს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.ბოსნია | 2 | 2 | 0 | 4 |
| 2.რუმინეთი | 2 | 1 | 1 | 3 |
| 3.საქართველო | 1 | 1 | 0 | 2 |
| 4.ჰოლანდია | 2 | 0 | 2 | 2 |
| 5.ლატვია | 1 | 0 | 1 | 1 |

# ჩეზარე პრანდელი: ფსონს დიდ იტალიურ ტრიოზე ჩამოვდივარ



ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, იტალიის ეროვნულმა ნაკრებმა პირველი შეხვედრა გამართა და ინგლისელებთან სტუმრად, მინიმალური ანგარიშით დამარცხდა – 2:1.

ეს მატჩი მორიგი შესარჩევი ეტაპის წინასამზადისიც იყო, ამიტომ იტალიელი ჟურნალისტები „სკუადრა აძურას" მთავარი მწვრთნელის მოსაზრებითა და სამომავლო გეგმებით დაინტერესდნენ.

***– როგორ შეაფასებთ ინგლისთან გამართულ ამხანაგურ მატჩს?***

– მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზეც განვაცხადე, რომ მთლიანობაში ძალიან კმაყოფილი დავრჩი. მართალია, დავმარცხდით და ეს ყოველთვის საწყენია, მაგრამ ამისგან ტრაგედიას არ ვქმნით. ჩვენ წინ ვიყურებით და მატჩი ნახევრად ექსპერიმენტული შემადგენლობით ჩავატარეთ. გამოვცადეთ ბევრი ახალი ფეხბურთელი. თავად თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და გადამწყვეტი გოლის გატანა ორივე გუნდს შეეძლო.

***– ახალგაზრდა ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევთ?***

– საუკეთესო შესაძლებლობები არც ერთს უჩვენებია, თუმცა თავი არ დაუზოგავთ და ეს ალბათ ყველაზე მთავარია. მაგალითად, სტეფან ელ შაარავიმ საკმაოდ ბევრი იშრომა და თუ ასე გააგრძელა, აუცილებლად მიეცემა ეროვნულ გუნდში დამკვიდრების საშუალება. იგივე შეიძლება ითქვას მატია დესტროზე, რომლის წაყვანა ევროპის ჩემპიონატზეც მსურდა. უნიჭიერესი ფორვარდია მანოლო გაბიადინი და მჯერა, რომ ძალიან მალე, ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იქნება. მოკლედ, ტალანტები ბევრი გვყავს და მათი კარგად გამოყენებაა საჭირო.

***– თქვენი საუბრიდან ისე ჩანს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე უმეტესად ახალგაზრდა ფეხბურთელებს დაეყრდნობით.***

– ჩემ გუნდებში ყოველთვის დაბალანსებული შემადგენლობაა და ასევე იქნება სამომავლოდ. ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდა მარიო ბალოტელიც მყავდა წაყვანილი და ვეტერანი ანტონიო დი ნატალეც. სინთეზი ყველაზე კარგი გამოსავალია და ამას ჩემი გამოცდილება მკარნახობს. ასე რომ, ვეტერანებზე უარის თქმას არ ვაპირებთ, როგორც ეს ბევრს ჰგონია. როგორ შეიძლება ანდრეა პირლოზე უარი თქვა, რომელიც კონტინენტის პირველობაზე გუნდის სული და გული იყო.

***– ევროპის ჩემპიონატის პლეიოფები 4-4-2 ტაქტიკით წარმართეთ და ინგლისელებთანაც ეს სქემა აირჩიეთ – როგორც ჩანს, საბოლოოდ ჩამოყალიბდით.***

– საბოლოოდ მხოლოდ იმაში ვარ ჩამოყალიბებული, რომ სასტარტო შემადგენლობაში თერთმეტი ფეხბურთელი უნდა დავაყენო, დანარჩენი შეიძლება შეიცვალოს. დღეს, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი 4-4-2-ია, მაგრამ რა იქნება ხვალ, ეს მხოლოდ ღმერთმა იცის. მე იმ მწვრთნელთა კატეგორიას არ მივეკუთვნები, რომლებიც ნებისმიერ ფეხბურთელს თავის ტაქტიკას არგებენ... პირიქით, სქემას იმის მიხედვით ვირჩევ, თუ რა კონტინგენტია ჩემს განკარგულებაში. ასე რომ, საბოლოოდ ჩამოყალიბება პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

***– მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ყველაზე მეტად ვის უფრთხით?***

– ჩვენი მიზანი ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვებაა. ჯგუფი საკმაოდ ძლიერია და მიზნის მიღწევა გაგვიჭირდება, მაგრამ განწყობა ოპტიმისტური მაქვს. ძლიერი კონკურენტები გვყავს და ესეც აუცილებლად უნდა აღვნიშნო. ჯგუფიდან გასვლისთვის დანია, ჩეხეთი და ბულგარეთი იბრძოლებენ, რა თქმა უნდა, ჩვენთან ერთად. სომხებსაც საინტერესო გუნდი ჰყავთ, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე წარმატებით იასპარეზეს.

***– ცივი გონებით როგორ შეაფასებთ ევროპის ჩემპიონატს და რას ელით მუნდიალისგან?***

– ევროპის ვიცე-ჩემპიონები ვართ და ეს არცთუ ურიგო შედეგია. მართალია, ჩვენ ჩემპიონობა გვსურდა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს თუ რა პრობლემების წინაშე ვიდექით ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე და ტურნირის მსვლელობისას... ბევრმა ჩამოგვწერა, ფავორიტებად კი ესპანეთს, ჰოლანდიას, საფრანგეთსა და გერმანიას ასახელებდნენ. საბედნიეროდ, ყველას დავანახეთ, რომ დიდი მიზნების მიღწევა შეგვიძლია. რაც შეეხება მუნდიალს, იქ ჯერ კიდევ მოსახვედრები ვართ და დღეს, სწორედ ამაზე ვარ კონცენტრირებული. მოკლედ ასე გეტყვით, ევროპა კარგი იყო, მსოფლიო უკეთესი იქნება.

***– რა მოხდა ევროპის ჩემპიონატის ფინალში, ასეთ ანგარიშს არავინ ელოდა.***

– კიდევ 100-ჯერ რომ ვეთამაშოთ ესპანეთის ნაკრებს, ასეთი ანგარიშით ალბათ აღარასოდეს წავაგებთ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში იღბალმა ზურგი გვაქცია. იძულებითი ცვლილებების განხორციელება მომიხდა, ბოლოს კი სულაც ათი ფეხბურთელით დავრჩით. მწარე მარცხი ვიწვნიეთ, მაგრამ რას ვიზამთ, რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. ესპანეთი მსოფლიოს საუკეთესო გუნდია, მაგრამ არა იმდენად, რომ ჩვენთვის ასეთი ანგარიშით მოეგო. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

***– გავცდეთ სანაკრებო თემატიკას და საკლუბოზე გადავიდეთ. რა შეფასებას მისცემთ „ნაპოლის" მიერ იტალიის სუპერთასის დაჯილდოების ცერემონიის ბოიკოტირებას?***

– „ნაპოლის" მწვრთნელ-ფეხბურთელებს ნამდვილად ჰქონდათ მსაჯებზე გაბრაზების საფუძველი, მაგრამ ეს გასამართლებელ საბუთად არ გამოდგება. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ არსებულ რეალობას ყოველთვის თვალებში უნდა ჩახედო და მარცხს ღირსეულად შეხვდე. ნეაპოლელები მარცხს ვერ შეეგუენ და პირველ რიგში, ეს მათი სისუსტის გამოვლინებაა. როდესაც „ნაპოლიმ" იტალიის თასი მოიგო, „იუვენტუსმა" საკუთარ თავსაც სცა პატივი და მეტოქესაც. ასე რომ, ნეაპოლელთა საქციელს ვერაფრით გავამართლებ.

***– სერია ა-ს თამაშები უახლოეს უიქენდზე იწყება. რას ელით ამ სეზონისგან?***

– ახალი, ნიჭიერი ფეხბურთელების გამოჩენას, რომლებიც შემდეგ, ეროვნულ ნაკრებს გამოადგებიან. გარდა ამისა, დაძაბულ ბრძოლებსა და ბოლო ტურებამდე მიტანილ ინტრიგას. ჩემი პირადი აზრით, სკუდეტოსთვის „მილანი", „ინტერი" და „იუვენტუსი" იბრძოლებენ, ანუ დიდი იტალიური ტრიო. შესაძლოა, იგივე „ნაპოლის" ან „რომას" გულშემატკივრები გამინაწყენდნენ, მაგრამ დღეს, სწორედ ამ სამ გუნდზე ჩამოვდივარ ფსონს. თუმცა, ეს მხოლოდ პროგნოზია და რა იქნება სინამდვილეში, ერთი ღმერთმა იცის.

# ლივერპული სტარზე შერცხვა

ისევ დიდი ამბიციით დაიწყო „ლივერპულმა" პრემიერლიგის სეზონისწინა განცხადებების გაკეთება, მაგრამ პირველივე ტურში „ვესტ ბრომვიჩიდან" გამანადგურებელი მარცხი იწვნია – 3:0.

გაზეთი „ტელეგრაფი" წერს, რომ „წითლებს" ასე საშინლად სეზონი 75 წელიწადია არ დაუწყიათ – მერსისაიდელებმა ყველაზე სამარცხვინო გახსნის მატჩი ითამაშეს 1937 წლის შემდეგ.

„ლივერპულის" ახალი მთავარი მწვრთნელი ბრენდან როჯერსი კი მსაჯს დაემდურა დანიელ აგერის გაძევების გამო, მაგრამ მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ეს „ლივერპულის" დღე არ იყო.

როჯერსისგან წლეულს ბევრს ელიან, თუმცა, ბრიტანული მედიის ცნობით, ათასობით მერსისაიდელი ქომაგი, რომლებიც საყვარელ გუნდს პირველ მატჩზე დიდი იმედით გაჰყვნენ, მიხვდებოდნენ, რომ ჩემპიონთა ლიგა მათგან ახლა უფრო შორსაა, ვიდრე შარშან იყო და აღნიშნავენ – ასე კენი დალგლიშიც კი არ შერცხვენილაო.

ლივერპულელთა კაპიტანი სტივენ ჯერარდი კი მიიჩნევს, რომ მიუხედავად პრემიერლიგის პირველ ტურში დიდი ანგარიშით დამარცხებისა, გუნდმა სიმშვიდე უნდა შეინარჩუნოს.

– რა შეგრძნებები გვქონდა მატჩის შემდეგ? რა თქმა უნდა, წაგების გამო ყველანი შოკირებულები ვიყავით. ეს სეზონის ის დასაწყისი არ არის, რომელიც გვსურდა გვეხილა, მაგრამ „ლივერპულს" პანიკის დრო არ აქვს. ამ მარცხზე პასუხისმგებლობა უნდა ავიღოთ და მუშაობა მშვიდად გავაგრძელოთ, რათა „ჰართსთან" ევროპის ლიგის მატჩში რეაბილიტაცია მოვახერხოთ, – განაცხადა ფეხბურთელმა ინგლისურ პრესაში.

# იბერია სტარმა ლვოვის ტურნირი მოიგო

საქართველოს ფუტსალის გუნდი „იბერია სტარი" ლვოვის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული გახდა. საქართველოს ჩემპიონმა ფინალში რუსული „გაზპრომ-იუგრა" 3:2 დაამარცხა.

ფინალამდე ბრაზილიელი თავკაცის სერჟიო ბენატის შეგირდებმა ჯგუფურ ეტაპზე სამივე მეტოქე იოლად დაამარცხეს. „იბერია სტარმა" უკრაინულ გუნდებს – „კარდინალ-რივნეს" და „ლემბერგს", შესაბამისად, 4:1 და 7:0 სძლია, შემდეგ კი პოლონური „რეკორდიც" დიდი ანგარიშით დაამარცხა – 6:1.

„იბერია სტარისთვის" ყველაზე რთული ფინალური მატჩი გამოდგა. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ მატჩის მსვლელობისას რუსები დაწინაურდნენ და თანაც მსაჯის დახმარებით, თამაშის სათავისოდ შემოტრიალება იბერიელთა აქტივში უნდა ჩავწეროთ.

იუგრელებმა ანგარიში მე-14 წუთზე გახსნეს – თავი ლისკოვმა გამოიჩინა. თუმცა, ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთავს. იბერიელები ამ ეპიზოდს კარგა ხანს აპროტესტებდნენ, თუმცა, არბიტრებს გადაწყვეტილება აღარ შეუცვლიათ.

იბერიელებმა წონასწორობა წამებში აღადგინეს. მეტოქე ფეხბურთელმა საჯარიმოში ხელით ითამაშა და აუგუსტომ რუსული კლუბის ქართველ მეკარე ზვიად კუპატაძეს პენალტი გაუტანა. მანვე მე-18 წუთზე დუბლი შეასრულა, ხოლო 33-ე წუთზე კი ლუსიოს ჯერი დადგა – 3:2. ერთადერთი, რაც „გაზპრომ-იუგრამ" მოახერხა, მატჩის ბოლოსწინა წუთზე ანგარიშის მინიმუმამდე დაყვანა იყო.

„იბერია სტარი" ამ ტურნირზე ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: სელიო, აკოპოვი, ჯამბურია; რომარიო, ალთუნაშვილი, ძაბირაძე, ჯვარაშვილი, რონინიო, ბეტო, ლუსიო, აუგუსტო, ბრუნო მელო.

შეგახსენებთ, რომ 4-9 სექტემბერს, სლოვენიაში, „იბერია სტარს" უეფა-ს ფუტსალის თასის მატჩები ელის, მეტოქეებად კი მასპინძელი „ლიტია", ბერძნული „ატინა-90" და ფრანგული „სპორტინგი" ეყოლება. ელიტრაუნდში გასასვლელად ჯგუფის ორ საუკეთესო გუნდში მოხვედრაა საჭირო.

# შედეგები

## ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

უიგანი-ჩელსი ... 0:2
სიტი-საუთჰემპტონი ... 3:2

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ბოლბაო-ბეტისი ... 3:5
რეალი-ვალენსია ... 1:1
ბარსელონა-სოსიედადი ... 5:1
ლევანტე-ატლეტიკო ... 1:1

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ნუმანსია-ხიხონი ... 2:0
რასინგი-ლას პალმასი ... 0:1
ალკორკონი-გვადალახარა ... 1:1
ელჩე-პონფერადინა ... 4:2

### იტალია. თასი

სიენა-ვიჩენცა ... 4:2

### საფრანგეთი. 1 ლიგა

ბორდო-რენი ... 1:0
მარსელი-სოშო ... 2:0
აიაჩო-პსჟ ... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლიონი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| 2.მარსელი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| 3.ბასტია | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 |
| 4.ბორდო | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| 5.ლორიენი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| 6.ტულუზა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| 7.ლილი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| 8.ნანსი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| 9.ვალანსიენი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| 10.აიაჩო | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| 11.ბრესტი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| 12.პსჟ | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| 13.მონპელიე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| 14.ნიცა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| 15.სტ.ეტიენი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| 16.ევიანი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| 17.რეიმსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| 18.რენი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| 19.სოშო | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| 20.ტრუა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

### ჰოლანდია. ეჰედივიზიონი

გრონინგენი-ტილბურგი ... 1:1
ალკმაარი-ერაკლესი ... 3:1
დენ ჰააგი-ვალვაიკი ... 2:2
ნაიმეგენი-აიაქსი ... 1:6

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ტვენტე | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| 2.აიაქსი | 2 | 1 | 1 | 0 | 8:3 | 4 |
| 3.ალკმაარი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| 4.ვალვაიკი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| 5.ვიტესი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| 6.ფეინოორდი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| 7.პსვ | 2 | 1 | 0 | 1 | 7:3 | 3 |
| 8.ნაიმეგენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:6 | 3 |
| 9.უტრეხტი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| 10.დენ ჰააგი | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 2 |
| 11.ტილბურგი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| 12.ბრედა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| 13.ზვოლე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| 14.ერაკლესი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| 15.ვენლო | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| 16.ჰერენვენი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| 17.გრონინგენი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| 18.როდა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:6 | 1 |

### პორტუგალია. ა ლიგა

ნასიონალი-სეტუბალი ... 2:2
ფერეირა-მორიენენსე ... 1:1
ჟილ ... ვისენტე-პორტუ 0:0
გიმარაეში-სპორტინგი ... 0:0

### რუსეთი. პრემიერლიგა

დინამო-ტერეკი ... 1:2
მორდოვია-ცსკა ... 0:3
ანჟი-ზენიტი ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზენიტი | 5 | 4 | 1 | 0 | 13:2 | 13 |
| 2.სპარტაკი | 5 | 4 | 0 | 1 | 10:8 | 12 |
| 3.ლოკომოტივი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:7 | 10 |
| 4.ტერეკი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:7 | 10 |
| 5.რუბინი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:6 | 9 |
| 6.ცსკა | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 9 |
| 7.ანჟი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 8 |
| 8.კრასნოდარი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 |
| 9.კრ.სოვეტოვი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| 10.ყუბანი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| 11.ალანია | 4 | 1 | 1 | 2 | 9:7 | 4 |
| 12.მორდოვია | 5 | 1 | 1 | 3 | 5:7 | 4 |
| 13.ამკარი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| 14.ვოლგა | 5 | 1 | 0 | 4 | 3:8 | 3 |
| 15.როსტოვი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:8 | 2 |
| 16.დინამო | 5 | 0 | 0 | 5 | 1:11 | 0 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

დ.იუნაიტედი-დანდი ... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დ.იუნაიტედი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| 2.ჰართსი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| 3.მოზერველი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| 4.სტ.მირენი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| 5.სელტიკი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| 6.აბერდინი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| 7.ჰიბერნიანი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 |
| 8.ინვერნესი | 3 | 0 | 3 | 0 | 5:5 | 3 |
| 9.როსი | 3 | 0 | 3 | 0 | 1:1 | 3 |
| 10.კილმანროკი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| 11.დანდი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:5 | 1 |
| 12.სტ.ჯონსონი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |

### შვეიცარია. სუპერლიგა

სერვეტი-ციურიხი ... 1:1
სიონი-იანგ ბოიზი ... 1:0
ლუცერნი-გრასჰოპერსი ... 0:2

### ავსტრია. ბუნდესლიგა

რიდი-აუსტრია ... 0:1

### ბელგია. პროლიგა

შარლერუა-სტანდარდი ... 2:6

### თურქეთი. სუპერლიგა

ისთანბული-ბეშიქთაში ... 1:1
ქაისერი-ბურსა ... 0:1
მერსინი-ორდუ ... 0:0

### ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

ლიბერეცი-იიჰლავა ... 1:1
ბრნო-იაბლონეცი ... 1:4
სიგმა-ჰრადეც კრალოვე ... 1:1
სპარტა-ბუდეოვიცე ... 3:1
ტეპლიცე-პრჟიბრჟამი ... 0:0
ბანიკი-პლზენი ... 1:3

### პოლონეთი. ეკსტრაკლასა

ვისლა-ბელხატუვი ... 2:1
ლეგია-კორონა ... 4:0

### უკრაინა. პრემიერლიგა

კარპატი-მეტალურგი(ზ) ... 2:1
ვოლინი-ზარია ... 2:2
ჩერნომორეცი-შახტარი ... 1:5

### დანია. სუპერლიგა

ესბიერგი-ჰორსენსი ... 0:0
ორხუსი-ნორდსიელანდი ... 0:1

### ნორვეგია. თასი

ტრომსო-ბოდო გლიმტი ... 1:0
ბრანი-სტრომგოდსეტი ... 4:3

### ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ვაასა-ჰაკა ... 2:1
იარო-ტპს ... 0:1

### აშშ. მლს

დ.ს.იუნაიტედი-ფილადელფია ... 1:1
ნიუ იორკი-პორტლენდი ... 3:2
ჰიუსტონი-კოლამბუსი ... 2:2

### ბრაზილია. სერია ა

ატლეტიკო(მ)-ბოტაფოგო ... 3:2
გრემიო-ფიგეირენსე ... 4:0
კურიტიბა-კრუზეირო ... 4:0
სანტოსი-კორინთიანსი ... 3:2
ატლეტიკო(გ)-პალმეირასი ... 2:1
ფლამენგო-ვასკუ ... 1:0
პორტუგეზა-ინტერნასიონალი ... 1:1

### არგენტინა. პრიმერა დივიზიონი

რასინგი-ინდეპენდიენტე ... 2:0
გოდოი-რაფაელა ... 2:0
ველეჟი-ლანუსი ... 0:2
ტიგრე-რივერ პლეიტი ... 2:3

## ჩოგბურთი

### ატპ. ცინცინატი ჰარდ. ფინალი

ჯოკოვიჩი-ფედერერი ... 0:6;6:7

### ვტა. ცინცინატი ჰარდ. ფინალი

კერბერი-ლი ... 6:1;3:6;1:6

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ოლივერ ტვისტი ბათუმში გათამაშდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მანამდე კი ბათუმელ მაყურებელს დავით საყვარელიძის მიერ დადგმული ოლივერ ტვისტის შეფასება მოუწევს.

ჩარლზ დიკენსის ცნობილი რომანის „ოლივერ ტვისტის“ მთავარი პერსონაჟი რუსთაველის თეატრის დიდი სცენიდან ბათუმის მუსიკალურ ცენტრში გადაინაცვლებს და ლაიონელ ბარტის დაუვიწყარ მიუზიკლს ბათუმში მყოფი მელომანებისთვის კიდევ ერთხელ გააცოცხლებს.

– ჩარლზ დიკენსის „ოლივერ ტვისტის“ მიხედვით დადგმული წარმოდგენა, ეს არის ყველაზე მასშტაბური და მაღალბიუჯეტიანი მიუზიკლი ქართული თეატრის ისტორიაში, – აცხადებს მიუზიკლის რეჟისორი.

ორმოქმედებიანი წარმოდგენისთვის პიესა თარგმნა მიხეილ გელაშვილმა, სიმღერების ტექსტის თარგმანი ირინა სანიკიძეს ეკუთვნის, ტექსტზე კი მუშაობდნენ ლაშა ბუღაძე და მანანა თევზაძე. სპექტაკლის რეჟისორია დავით საყვარელიძე, დირიჟორი – ირაკლი ჩოლოყაშვილი, მხატვარი – ნინო კობიაშვილი, ქორეოგრაფია ტეტ კასკი, ვოკალის პედაგოგები – მარიკა ოსიტაშვილი, რუსუდან მექვაბიშვილი, კონცერტმაისტერები – ნათია აზარაშვილი, ქეთევან ინანიშვილი, ხათუნა ლოლაძე, ორკესტრის კონცერტმაისტერი – ლელა მჭედლიძე, მთავარი ქორმაისტერი – ავთანდილ ჩხენკელი, ქორმაისტერი – შალვა შაოშაძე, რეჟისორის თანაშემწეები – ნათია კუპატაძე, მარინა ბურჭულაძე. წარმოდგენაში ასევე მონაწილეობს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის გუნდი და სიმფონიური ორკესტრი. სპექტაკლში „ოლივერ!“ მონაწილეობენ ნიკა ნოზაძე, პეტრე მალანია (ოლივერ ტვისტი), დავით დარჩიას კვლავ მსახიობი გიორგი ნაკაშიძე ცვლის და ის ფეიგინს განასახიერებს, თემიკო ჭიჭინაძე (ბილ საიქსი), მარიამ პაჭკორია, ეკატერინე ამყოლაძე (ნენსი), ეკატერინე ამყოლაძე, მარიამ პაჭკორია (ბეტი), პაატა გულიაშვილი (მისტერ ბამბლი), ნანუკა ხუსკივაძე (მისის ქორნი), რევაზ ჩხაიძე (მისტერ ბრაუნლოუ), გოგა ბარბაქაძე (მისტერ საუბერი), ქეთი ხიტირი (შარლოტა), ირაკლი სანაია (ნოე ქლეიპოლი), დავით უფლისაშვილი (მისტერ გრიმვიგი), მანანა აბრამიშვილი (მისის ბედუინი, სალი), ნიკა ეკალაძე, ჯუმბერ პატიაშვილი (არტფულ დოდჯერი), ჯუმბერ პატიაშვილი, ნიკა ეკალაძე (ჩარლი ბეიტსი), გიორგი გიგაშვილი (კაპიტანი), ზუკა დარჯანია (ნიფერი), სანდრო ჯებირაშვილი (ჰენდვორქერი), ლენტო ბალიაშვილი (დიფერი), გიორგი ადუაშვილი (ლამურა), რამაზ ჩხიკვაძე (ჩაქუჩა), პეტრე მალანია, ნიკა ნოზაძე (მანქი), სანდრო ზაალიშვილი (ჯეკი), თეკლა ჯავახაძე (მნე ქალი), ნინო გველესიანი (მერძევე), მარიამ სარდანაშვილი (ვარდების გამყიდველი), ბონდო გოგია (დანების მლესავი) და თენგიზ გიორგაძე, ზაზა ბარათაშვილი (პოლიციელები). მასობრივ სცენებში ასევე მონაწილეობენ ზაზა ბარათაშვილი, თენგიზ გიორგაძე, გელა თავბერიძე, კახა კუპატაძე, ედმონდ მინაშვილი, ქეთი სვანიძე, ბექა სონღულაშვილი და ბავშვები.

– წელს მსოფლიო დიდი ინგლისელი მწერლის ჩარლზ დიკენსის 200 წლისთავს აღნიშნავს. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა და თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა საავტორო უფლებების მქონე კამერონ მაკინტოშის კომპანიისაგან მიუზიკლის „ოლივერ!“ დადგმის ექსკლუზიური უფლება მოიპოვეს. ასეთი პრეცედენტი პოსტსაბჭოთა სივრცეში ჯერ არ ყოფილა. ჩვენს მაყურებელს შესაძლებლობა ექნება დატკბეს მაღალ მხატვრულ დონეზე შესრულებული ულამაზესი სანახაობით, რომელიც მოხიბლავს უფროსებსაც და პატარებსაც. რუსთაველის თეატრისათვის ეს არ არის პირველი შეხვედრა დიდ ინგლისელ მწერალთან. 1993 წელს დაიდგა „საშობაო სიზმარი“ ჩარლზ დიკენსის საშობაო მოთხრობის მიხედვით. რაც შეეხება მიუზიკლს, „ოლივერ!“, ის 1960 წელს დაწერა ბრიტანელმა კომპოზიტორმა და ლიბრეტისტმა ლაიონელ ბერტმა. მას საფუძვლად უდევს ჩარლზ დიკენსის ცნობილი რომანის „ოლივერ ტვისტის“ პირველი ნაწილი. სპექტაკლი თავიდანვე გულთბილად მიიღეს. 1963 წელს ლეონელ ბარტი, დონალდ პიპინი (დირიჟორი და მუსიკალური ხელმძღვანელი) და შინ კენი (დეკორაციისა და კოსტიუმების მხატვარი) ტონით დააჯილდოვეს. 1968 წელს შეიქმნა მიუზიკლის კინოვერსია. ფილმმა ამერიკული კინოაკადემიის ექვსი ჯილდო მიიღო. მას შემდეგ მიუზიკლი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაიდგა. ამჯერად კი მას რუსთაველის თეატრის სცენაზე წარმოგიდგენთ. სპექტაკლში მონაწილეობენ რუსთაველის თეატრის მსახიობები, ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრი და გუნდი და ბავშვები. პროექტის ფარგლებში 2011 წლის შემოდგომაზე საზოგადოებრივ მაუწყებლის პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა შოუ „ვინ არის ოლივერი?“ ეს იყო კონკურსი, რომლის მეშვეობითაც შეირჩნენ ოლივერისა და ნენსის როლების შემსრულებელნი. ჩვენ მადლობას ვუხდით თბილისის მერიას, ბრიტანეთის საბჭოს და ოპერის მეგობართა საბჭოს თანადგომისათვის, – ამბობს მიუზიკლის პროდიუსერი და რუსთაველის თეატრის მმართველი ზაალ ჩიქობავა.

# ყოფილი მზარეული და მძღოლი შაკირას 200 ათასს უჩივიან

პოპულარული კოლუმბიელი მომღერალი შაკირა მძღოლისა და მზარეულის დათხოვნის შემდეგ კომპენსაციის გადაუხდელობისათვის სასამართლოში დაიბარეს. მისი ყოფილი მსახურების მიერ წარდგენილ სარჩელში 200 ათასი დოლარი ფიგურირებს. საქმეს ესპანეთის ქალაქ ბარსელონას სასამართლო იხილავს.

კოლუმბიელებმა, 50 წლის დივერ ერნანდესმა და 46 წლის მარისა მარტინესმა შაკირას ოჯახში მუშაობა ჯერ კიდევ კოლუმბიაში, 10 წლის წინ დაიწყეს. მოგვიანებით კი მომღერალთან ერთად ჯერ მაიამიში, შემდეგ კი კატალონიაში გადავიდნენ. ერნანდესი მძღოლის და მზარეულის მოვალეობებს ასრულებდა, მეუღლე კი საჭმლის მომზადებაში ეხმარებოდა, გარდა ამისა, ბინას ალაგებდა, საყიდლებზე დადიოდა.

შაკირასთან უთანხმოება მათ 20 მაისს მოუვიდათ. მომღერალი ნაშუაღამევს მეგობრებთან ერთად დაბრუნდა შინ და ერნანდესს ქათმის შეწვა სთხოვა. მზარეულმა უარი განაცხადა და მიზეზად ის დაასახელა, რომ დილიდან



მუშაობით დაღლილი იყო. პასუხად შაკირამ განაცხადა, რომ მისი თანაშემწეები თავიანთ მოვალეობებს არ ასრულებენ და ურჩევნიათ, მისი სახლიდან წავიდნენ. ერნანდესი და მისი მეუღლე იმავე დღეს წავიდნენ შაკირას სახლიდან და ღამე პარკში გაათიეს, მეორე დღეს კი შაკირას ყოფილ საქმროს და პროდიუსერს, ანტონიო დე ლა რუას დაურეკეს, რომელმაც მათ ფული მისცა და ბარსელონაში რამდენიმე დღის განმავლობაში ცხოვრების ხარჯები აუნაზღაურა.

ცოტა ხნის შემდეგ ერნანდესს და მარტინესს შაკირას წარმომადგენელი დაუკავშირდა, გამოუცხადა, რომ მომღერალი მათთან ყოველგვარ კავშირს წყვეტდა და ბაჰამის კუნძულების კანონმდებლობის თანახმად, სადაც შაკირა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არის რეგისტრირებული, კომპენსაციის სახით 6 ათასი დოლარი შესთავაზა.

შაკირას ყოფილმა მსახურებმა ამ „მათხოვრული“ თანხის მიღებაზე უარი განაცხადეს. მათი თქმით, მეორე დღეს მათ ელექტრონული ფოსტით უცნობისგან მუქარის წერილი მიიღეს ჯარისკაცის ფოტოთი, რომელიც იარაღმოღერებული მიწაზე დასახიჩრებულ გვამს დასდგომოდა თავზე.

შაკირას ყოფილი მსახურები ამჟამად მასთან მუშაობის დროს გადაუხდელი პრემიის, შვებულებისა და სოციალური დაზღვევის გადაუხდელობისათვის 200 ათას დოლარს ითხოვენ.

შაკირა ისაბელ მებარაკ რიპოლი 1977 წლის 2 თებერვალს კოლუმბიის ქალაქ ბარანკილიაში დაიბადა. იგი პოპ-მუსიკის ისტორიაში ყველაზე წარმატებულ ლათინოამერიკელ მომღერლად ითვლება.

**გ.თ.**

# „უმათურმანი“ ბათუმში იმღერებს?

**ეკა ირემაშვილი**

რამდენიმეწლიანი პაუზა დასრულდა და ბოლო პერიოდში რუსული შოუბიზნესის წარმომადგენლები კვლავაც აქტიურად სტუმრობენ საქართველოს. რუსეთში მოღვაწე ჯგუფის „უმათურმანის“ კონცერტი ბათუმში 23 აგვისტოსთვის დაიგეგმა, თუმცა ამ დრომდე უცნობია, რეალურად ჩამოდის თუ არა ჯგუფი საქართველოში, რადგან, როგორც ინფორმაციები ვრცელდება, მათ საქართველო არ მოსწონთ. ამავე დროს უკვე დადის ჭორი იმაზე, რომ მათი ბათუმში კონცერტის გამართვის მოლაპარაკებისთვის ქართველი მწარმოებლები მზად არიან ჯგუფის წევრებს ორმაგი ჰონორარიც გადაუხადონ.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ესტრადის ნამდვილი მომღერლები დღეს ჩრდილში არიან და მსმენელს მათთან შეხვედრაც საოცრად ენატრება, სხვადასხვა კონცერტების ორგანიზატორები არჩევანს მაინც უცხოელი შემსრულებლების ჩამოყვანაზე აკეთებენ და ქართველ მსმენელს ტოტო კუტუნიოს, შარლ აზნავურის, სტინგის, ენრიკე ეგლესიასის, ხულიო იგლესიას, კრის დე ბურგისა და სხვა მომღერლების მოსმენას ურჩევენ. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ მათ ჩამოსაყვანად ქართული მხარე საკმაოდ დიდ ჰონორარებს იხდის. ამჯერად გასაიდუმლოებულია თუ რამდენს გადაუხდიან „უმათურმანს“ მისი ქართველი მასპინძლები. ცნობილია მხოლოდ ის, რომ რუსული ჯგუფი საქართველოში „ემ ეს კომპანის“ მოწვევით ჩამოდის. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის პოპულარობა რუსეთში უკვე დაცემულია, საქართველოში ეს არ ანაღვლებთ, არც ის ანაღვლებთ, რომ მათ პროდიუსერს საქართველოს გაგონება არ უნდა და თუკი აქამდე ჩვენთან სტუმრობაზე დელიკატურად ამბობდნენ უარს და გადატვირთულ საკონცერტო გრაფიკს ასახელებდნენ, ამჯერად მათი გულის მოგებას ქართული მხარე ორმაგი ჰონორარით ცდილობს.

მოლდოვაში მოღვაწე ქართველი პროდიუსერი ეკა ჩიტაშვილი საერთაშორისო საკონცერტო კომპანია „მაქსიმუმ კონცერტსის“ მფლობელია. სწორედ მის სახელს უკავშირდება გასულ წელს ბათუმში „ბათუმი გოლდენ ტალენტის“ ჩატარება, რომელმაც კრახი განიცადა და საპრიზო ადგილებზე გასულ კონკურსანტებს კუთვნილი თანხები ჯერ კიდევ არ აუღიათ. ეკას მოწვევით საქართველოში არაერთი ვარსკვლავი ჩამოსულა, ამიტომ ის შოუბიზნესური სამზარეულოს კულუარებში ყველაზე ჩახედულია. ის ორი წლის განმავლობაში ცდილობდა „უმათურმანის“ საქართველოში ჩამოყვანას, თუმცა მათგან ყოველთვის უარს იღებდა. ჯგუფის დირექტორის რუსტემ ნურიევის განცხადებით, ჯგუფი მზად იყო ყველგან ემღერა, საქართველოს გარდა.

„ემ ეს კომპანი“ ავრცელებს ინფორმაციას, რომ ჯგუფს ნამდვილად არ სურდა საქართველოში კონცერტის გამართვა, მაგრამ მათთან რეკომენდაცია ქართულ კომპანიას ზემფირას პროდიუსერმა გაუწია და ჩვენთვისაც მწვანე შუქი აინთო. „ემ ეს კომპანის“ ორგანიზებით 23 აგვისტოს, ბათუმში, კომპლექს „მაგნოლიას“ ეზოში, ჯგუფი „უმათურმანი“ იმღერებს. ჯგუფი ბათუმში 10 კაციანი შემადგენლობით ჩამოვა და სოლოკონცერტზე ახალ და ძველ სიმღერებს შეასრულებს. სტანდარტული ბილეთის ფასი 50 ლარია, ხოლო ვიაიპი ბილეთის ფასი კი – 120 ლარი. კონცერტის გამართვა ბათუმის აკვაპარკში იგეგმებოდა, მაგრამ ორგანიზატორთა მიერ საბოლოო არჩევანი „მაგნოლიას“ ეზოზე შეჩერდა.



ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ბათუმში, შესაძლოა, რუსული მუსიკალური ჯგუფი „გრადუსიც“ ჩამოსულიყო, მათ საქართველოში ჩამოყვანაზეც „ემ ეს კომპანი“ ზრუნავდა. მოლაპარაკებები მხარეებს შორის კი მიმდინარეობდა, მაგრამ როგორც ჩანს, არ შედგა, რადგან ჯგუფს კონცერტი ივლისის ბოლომდე ბათუმში უნდა გაემართა. ჯგუფი „გრადუსი“ 2008 წელს შეიქმნა. ამ დრომდე მისი წევრები სხვადასხვა მუსიკალურ ჯგუფებში მღეროდნენ, ერთად კი ისინი დიმიტრი ბახტინოვმა შეკრიბა. ამჟამად „გრადუსის“ შემადგენლობაში არიან დიმიტრი პაშკოვი, რუსლან ტაგიევი და ვიქტორ გოლოვანოვი. პირველი კონცერტი მათ სახელწოდებით „გრადუსი 100“ 2008 წლის 29 მაისს გამართეს. მათი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სიმღერაა „რეჟისორი“, რომელიც ჩარტებში პირველ ადგილს იკავებდა. ჯგუფის სიმღერამ „ვინ ხარ“ მის შემსრულებლებს ასევე მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანა. „გრადუსი“ მრავალი საინტერესო კომპოზიციის შემქმნელია. 2011 წელს გამოვიდა მისი პირველი ალბომი „შიშველი ქალი“, რომელშიც 11 მუსიკალური კომპოზიცია შევიდა. ვინაიდან „გრადუსის“ პროდიუსერებთან მოლაპარაკებები წარუმატებლად წარიმართა, არ არის გამორიცხული, ბათუმის სტუმრები „უმათურმანის“ გარეშეც დარჩნენ.

# პეპემ ითამაშა და საავადმყოფოშია

მადრიდის „რეალის“ მცველ პეპეს ესპანეთის ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩი „ვალენსიასთან“, წესით უნდა გამოეტოვებინა. ფეხბურთელმა პანამისა და პორტუგალიის ნაკრებთა ამხანაგური მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა და პრიმერა დივიზიონის სტარტისთვის გამოჯანმრთელებას ვერ ასწრებდა. თუმცა, ექიმებმა მოახერხეს და „ვალენსიასთან“ სათამაშოდ სრულ მზადყოფნაში მოაქციეს, რაც თავად პეპეს ძვირად დაუჯდა.

ესპანეთის პრიმერა დივიზიონის პირველ ტურში „რეალსა“ და „ვალენსიას“ შორის გამართული შეხვედრა 1:1 დასრულდა. ერთ-ერთ ეპიზოდში პეპე და მადეიდელთა მეკარე იკერ კასილიასი ერთმანეთს თავით შეეჯახნენ და 29 წლის პორტუგალიელი შესაცვლელი შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ ამ დროს „სამეფო კლუბის“ კარში გოლიც გავიდა.

მატჩის შემდეგ პეპე საავადმყოფოში გადაიყვანეს და პეპე სრულფასოვანი გამოკვლევის დასრულებამდე საავადმყოფოში რჩება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**



# კროსვორდი

**შვეულად:** 1. ფრანგი აბსტრაქციონისტი, მხატვარი; 2. ისრაელში დაბადებული ებრაელების საერთო სახელწოდება; 3. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 4. მდინარე ყვარელში; 6. ორგანიზმის სისუსტე, უღონობა; 9. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 11. ნახატი, სურათი ბუნების ხედით; 15. წყლის საათი; 16. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 17. წვრილი სისხლძარღვი; 19. ნახევარკუნძული ევროპაში; 21. გოეთეს მშობლიური ქალაქი გერმანიაში; 22. უბანი თბილისში.

**თარაზულად:** 5. ტყის ნარგავების რაოდენობის, ხეების მოცულობისა და ნამატის განსაზღვრა და შეფასება; 7. სასწავლო დაწესებულების უფროსი, ხელმძღვანელი ძველად საქართველოში; 8. სინარნარე, მოხდენილობა მოძრაობაში; 10. ქართველი მწერალი, „სურამის ციხის“ ავტორი; 12. კრივში, მოკლე, პირდაპირი დარტყმა კორპუსში; 13. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 14. სოხუმის ძველ-ბერძნული სახელწოდება; 18. იაპონური ავტომობილი; 20. უკრაინული ხალხური ცეკვა; 23. სრული მარცხი, კრახი; 24. „თორმეტი სკამი“, „ოქროს ვერძი“-ს ერთ-ერთი ავტორის ფაინზელბერგის ლიტერატურული ფსევდონიმი; 25. რომის მითოლოგიური დამაარსებელი; 26. ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული; 27. „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის პასუხები

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. მალპოსტი; 7. ორდალია; 8. არიელი; 10. არაბიკა; 12. ლამპა; 13. აკინი; 14. კალვადოსი; 18. ატრია; 20. საპონი; 23. მარილი; 24. ლომი; 25. მერანი; 26. კოდი; 27. გრაფიკი.

**შვეულად:** 1. მარინა; 2. კიტრი; 3. პრაიდი; 4. პიროლი; 6. რომანსი; 9. ბრელი; 11. ნიტრონი; 15. ამპლიტუდა; 16. კატარი; 17. კოლონადა; 19. არამისი; 21. ზელტერი; 22. პანიკა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ფრი; 2. საარი; 3. სამურაი; 4. სე; 5. ფრენჩი; 6. ვალაბი; 7. ლაპლანდია; 8. ომი; 9. გურია; 10. ალური; 11. რა; 12. მილიტარიზმი; 13. ალაზანი; 14. ლამარია; 15. მაგია; 16. დერბი; 17. რაე; 18. მიომა; 19. ისლამი; 20. ოტომანი; 21. უსტაბაში; 22. პრემიერა; 23. სუმო; 24. რო; 25. არა; 26. იან; 27. ოყა; 28. მარმაში; 29. ბასტილია; 30. სამყარო; 31. სლაი; 33. ბაირონი.

**სურათებზე:** ჰოლი ბერი; გარეტ ბეილი.

# ამერიკა შეშფოთებას გამოთქვამს ავღანეთში ჯარისკაცებზე თავდასხმის ფაქტების ზრდით

ამერიკის შტაბის უფროსების გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელი, გენერალი მარტინ დემპსი შეშფოთებას გამოთქვამს სამხედრო მოსამსახურეებზე თავდასხმის ფაქტების ზრდის გამო. ნატოს შეიარაღებულ ძალებზე გუშინ განხორციელებული მორიგი თავდასხმა ერთი ჯარისკაცის სიკვდილით დასრულდა.



ბოლო ორი კვირის მანძილზე განხორციელებული თავდასხმების შედეგად ალიანსის 10 მოსამსახურეა გარდაცვლილი. რამდენიმე დღის წინ ამერიკის თავდაცვის მინისტრმა ლეონ პანეტამ ავღანეთის პრეზიდენტ ჰამიდ კარზაის მოუწოდა, უფრო მეტი სიფრთხილით მოხდეს გასაწვევი ჯარისკაცების შერჩევა.

შეგახსენებთ, რომ ამ დღეებში ავღანეთში, სამხედრო ბაზაზე ნატო-ს სამი სამხედრო მოსამსახურე მოკლეს. უცხოური მედიის ცნობით, ინციდენტი ქვეყნის სამხრეთი მოხდა. არსებული ინფორმაციით, მსროლელი ავღანელია და იგი ბაზის სამოქალაქო თანამშრომელი იყო. მომხდართან დაკავშირებით, გამოძიება მიმდინარეობს.

იმავე დღეს ჰელმანდის პროვინციაში ავღანელმა პოლიციელებმა სადილზე სამი ამერიკელი სპეცრაზმელი მიიპატიჟეს, შემდეგ დაცხრილეს ისინი და მიიმალნენ. აისაფის მონაცემებით, ბოლო 4 დღის განმავლობაში ნატო-ს სამხედრო მოსამსახურეებზე ავღანელი სამოქალაქო პირების, პოლიციელებისა და სამხედროების შეიარაღებული თავდასხმის მესამე შემთხვევაა. წლის დასაწყისიდან დღემდე, მსგავსი ინციდენტების შედეგად მოკლულია ნატო-ს 30-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამ ფონზე, ახალი ზელანდია ავღანეთიდან ჯარების რაც შეიძლება, მალე გაყვანას აპირებს. ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრ ჯონ კეის განცხადებით, ახალზელანდიელი ჯარისკაცები ავღანეთს მომავალი წლის აპრილში დატოვებენ.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება მიმდინარე თვეში 5 ახალზელანდიელი ჯარისკაცის დაღუპვასთან კავშირში არ არის. სამი ახალზელანდიელი ჯარისკაცი ავღანეთში გუშინ დაიღუპა, ორი კი აგვისტოს დასაწყისში. სულ ავღანეთში სამხედრო კამპანიის ფარგლებში ახალმა ზელანდიამ 10 ჯარისკაცი დაკარგა.

ახალი ზელანდიას ავღანეთში 145 სამხედრო მოსამსახურე ჰყავს. დამტკიცებული გეგმის მიხედვით, ყველა ახლაზელანდიელმა ჯარისკაცმა ქვეყანა მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა დატოვოს.

# ბაშარ ასადი დამასკოს მეჩეთს ეწვია

შეტაკებები გრძელდება სირიაში. გავრცელებული ცნობით, ბაშარ ასადის რეჟიმი ავიაიერიშებს დამასკოზე, დერაასა და ალეპოზე ახორციელებს.

გასული დღის განმავლობაში ავიაიერიშებს 37 სამოქალაქო პირი ემსხვერპლა. დაინგრა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი. ბაშარ ალ ასადი 18 ივლისის შემდეგ საჯაროდ პირველად გამოჩნდა.



სირიის პრეზიდენტი დამასკოში მდებარე მეჩეთს ეწვია ეიდ ალ ფიტრის ლოცვაზე დასასწრებად. ეიდ ალ ფიტრის ლოცვა ისლამურ რელიგიაში რამადანის წმინდა თვის დასასრულად ითვლება.

მეჩეთში გადაღებული კადრები სირიის სახელმწიფო ტელევიზიამ გაავრცელა. ლოცვის წაკითხვის შემდეგ იმამმა განაცხადა, რომ სირია შეერთებული შტატების, დასავლეთის ქვეყნებისა და სუნიტი არაბების შეთქმულების მსხვერპლი გახდა. ოფიციალური ინფორმაციით, კონფლიქტს სირიაში სულ 18 ათასი ადამიანი ემსხვერპლა. ქვეყანა დატოვა 170 ათასმა ადგილობრივმა. მათი დიდი ნაწილი თურქეთში, ლტოლვილთა ბანაკებში ცხოვრობს.

ამ ფონზე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის მტკიცებით, რუსეთი სირიასთან შეირაღების მიწოდების შესახებ ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ აპირებს.

ამის შესახებ ლავროვმა არაბულ ტელეარხთან ინტერვიუში განაცხადა.

— მოდით, სიმართლე ვთქვათ, საუბარია საბჭოთა კავშირისგან ნაყიდ იარაღსა და ტექნიკაზე. ჩვენ უკვე არაერთხელ ვთქვით, რომ ძველი კონტრაქტები შევასრულეთ, ახალს კი ჯერჯერობით არ ვაფორმებთ, — განაცხადა ლავროვმა.

რაც შეეხება სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის გადადგომის საკითხს, ლავროვმა დაადასტურა რუსეთის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მისი წასვლა გარედან თავსმოხვეული არ უნდა იყოს.

— ეს თავად სირიელებმა უნდა გადაწყვიტონ, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერ სახელმწიფოში საკუთარი ხელისუფლების ბედს ხალხი წყვეტს, — განაცხადა ლავროვმა.

გერმანული დაზვერვა კი სირის აჯანყებულებთან კავშირში დაადანაშაულეს. ამის შესახებ ადგილობრივი გამოცემა წერს. პარტია „მემარცხენეების" ლიდერმა ბერნდ რიკსინგერმა გამოცემასთან ინტერვიუში განაცხადა, რომ გერმანული სამხედრო გემი-მზვერავი სამხედრო კონფლიქტის ზონაში იმყოფება, „მწვანეების" ლიდერმა ჰანს-კრისტიან შტრიობლემ კი ხელისუფლებისგან მოითხოვა ანგარიში იმის შესახებ , ეხმარება თუ არა გერმანია სირიელ აჯანყებულებს. შტრიობლეს განცხადებით, ეს საკითხი ხელისუფლებამ ბუნდესტანგს უნდა შეუთანხმოს.

სურათები გერმანული სამხედრო გემი-მზვერავის შესახებ მეორე გერმანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა. გამოცემისვე ინფორმაციით, გერმანული დაზვერვა თურქულ ქალაქ ადანშიც შენშნეს, სადაც ნატოს ბაზაა განლაგებული.

აქვე შეგახსენებთ, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ სირიაში სადამკვირვებლო მისიის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო. უცხოური მედიის ინფორმაციით, გაეროს უშიშროების საბჭოს ამჟამინდელმა ხელმძღვანელმა ჟერარ არომ ეს გადაწყვეტილება იმის გამო მიიღო, რომ მისიის გაგრძელებისთვის საჭირო პირობები არ იყო შექმნილი.

— სადამკვირვებლო მისია დაიხურება და გაიხსნება საკოორდინაციო ბიურო დამასკოში, — განაცხადა ჟერარ არომ.

სადამკვირვებლო მისის მანდატი მიმდინარე კვირაში იწურება. სამხედრო დამკვირვებლები დამასკოს რამდენიმე დღეში დატოვებენ. რა საქმიანობას განახორციელებს საკოორდინაციო ბიურო ჯერ უცნობია.

## ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის" სარედაქციო კოლეგიის წევრები თანაუგრძნობენ პროფესორ როინ ქუტიძეს დედის, ქალბატონ

**ნინო ელიაძის**

გარდაცვალების გამო.

---

რევაზ გოგოხია ოჯახით და უახლოესი სამეგობრო თანაგრძნობას უცხადებენ პროფესორ როინ ქუტიძეს და მის დიდ ოჯახს დედაბოძის, ქალბატონ

**ნინო ელიაძე-ქუტიძის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილები როინი, მზევინარი, მარინე, შვილიშვილები შოთა, ილია, ირინე, ნინო, მარინე, შვილთაშვილები, რძლები, სიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნინო ელიაძე-ქუტიძე**

გამოსვენება: 22 აგვისტოს, 15 საათზე.
წყნეთი, ჩოლოყაშვილის 2ა.

## გედევან გელბახიანის ხსოვნას

ჩვენ არასოდეს ვიცოდით და კიდევ დიდხანს ვერ ვისწავლით ჭეშმარიტი მამულიშვილის დაფასებას.

გედევან გელბახიანი უამრავმა ადამიანმა გულწრფელი ცრემლებით დაიტირა, მაგრამ გავბედავ და ვიტყვი, ეს ცოტა იყო მისთვის, ძალიან ცოტა. ეროვნული ხელისუფლების პირობებში ბატონი გედევანის წასვლას სულ სხვა რეზონანსი ექნებოდა.

ადამიანმა არ იცის, რა არის დრო, მაგრამ ის კი უნდა იცოდეს ზუსტად, რომ მისთვის განკუთვნილი დროის ნაწილი ნამუსიანად განვლოს და კეთილი ნაფეხურები დატოვოს.

სამივე გელბახიანი მაღალ დონეზე გრძნობდა კაცობისა და ქართველობის სიმძიმეს. მათი განვლილი გზა მაგალითად დარჩება იმ ადამიანებისთვის, ვისაც ჭეშმარიტი ქართველობის პრეტენზია გააჩნია.

გედი გელბახიანი, თავისი ნათელი მამისა და შვილის მსგავსად, ყოველთვის თავისუფალი იყო შინაგანად. იცოდა რა, რომ თავისუფლებას უდიდესი ზნეობრივი მუხრუჭი სჭირდება.

სწორედ ამიტომ, ცხარე კამათის დროსაც კი, წამოცდებოდა თავისი საყვარელი ფრაზა, „გენაცვალოს გედი".

ერთხელ კოლონიაში გედიმ „სმერტნიკების კამერიდან" გამოგზავნილი პეტრეს წერილი მაჩვენა. მე არ მივეცი ჩემ თავს უფლება, წამეკითხა ის, მაგრამ, სანამ ცოცხალი ვარ, არასოდეს დამავიწყდება იმ წერილის სათაური: „მსოფლიოში საუკეთესო მამას!..."

საოცარი იყო ეს ოჯახი, თურმე, გედის და ნუციკოს ერთი დღეც კი არ უცხოვრიათ ცალ-ცალკე, შვებულების დროსაც კი. მათ გაიმარჯვეს მავანი ფსიქოლოგის მოსაზრებაზე, თითქოს ცოლქმარს ერთმანეთისგან დასვენება სჭირდებათ, პერიოდულად.

სწორედ ასეთი ოჯახი დაანგრია იმ ანტიკაცმა, რომელმაც, პარალელურად, საქართველოც დაღუპა.

როგორც ნათქვამია, ყველაფერი დაწერილია და აღნუსხულია.

ყველა მორწმუნემ იცის, რომ სასამართლო აუცილებლად შედგება.

გედი ყველას პატრონი იყო გაჭირვების ჟამს, როგორც ექიმი და როგორც სითბოს მთესველი კაცი, სამაგიეროსაც იმკიდა სიყვარულის და დიდი პატივისცემის სახით.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს ბატონო გედევან, ძმაო გედი!

*ვალტერ შურღაია*

**ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ჳბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7 რდბჰბს უფჰლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8**

# ჯონ ლენონის მკვლელი მეშვიდედ ითხოვს შეწყალებას



ჯონ ლენონის მკვლელმა მარკ დევიდ ჩეპმენმა, რომელსაც სამუდამო პატიმრობა მიესაჯა, მეშვიდედ გააგზავნა შუამდგომლობა შეწყალების შესახებ. განაცხადის განხილვა 21 აგვისტოს იგეგმება. ინფორმაციას ამის შესახებ ნიუ-იორკის ციხის პრეს-მდივანი ლინდა ფოგილა აქვეყნებს.

ჩეპმენის მიერ გაკეთებული წინა ექვსი შუამდგომლობა ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის მიერ იქნა უარყოფილი. ყოველ უარს ჩეპმენს ლენონის ქვრივი იოკო ონო წერილობითი სახით ატყობინებდა.

ჩეპმენმა ჯონ ლენონი ნიუ-იორკში 1980 წლის 8 დეკემბერს მოკლა. იმავე დღეს, რამდენიმე საათით ადრე, ლენონმა თავის მკვლელს ფირფიტაზე „დაბლ ფენტეზი" ავტოგრაფი გაუკეთა. როდესაც მუსიკოსი იოკო ონოსთან ერთად ხმის ჩამწერი სტუდიიდან სახლში ბრუნდებოდა, მკვლელმა მას ხუთჯერ ესროლა. ლენონი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მან დიდი რაოდენობით სისხლი დაკარგა და გარდაიცვალა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჩეპმენს განაჩენის გამოტანიდან 20 წლის გასვლის შემდეგ უფლება აქვს, ყოველ 2 წელიწადში ერთხელ მოითხოვოს შუამდგომლობა შეწყალების შესხებ.

ჯონ უინსტონ ონო ლენონი ცნობილი გახდა, როგორც ბითლზის, მუსიკაში ყველა დროის წარმატებული და კრიტიკოსების მიერ აღიარებული ჯგუფის წევრი. ბითლზის წევრ პოლ მაკ-კარტნისთან ერთად მისი შემოქმედებითი ძალების გაერთიანება წარმოადგენს მეოცე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ნაყოფიერ თანამშრომლობას.

დაბადებული და გაზრდილი ლივერპულში, ჯონი თინეიჯერობისას მონაწილეობდა სკიფლის მოძრაობაში. მისი პირველი ჯგუფი, ქუორიმენი იყო ბითლზის წინამორბედი. მას შემდეგ, რაც ბითლზი 1970 წელს დაიშალა, ლენონი სოლო კარიერით დაკავდა და გამოსცა კრიტიკოსების მიერ აღიარებული სხვადასხვა ალბომი.

მუსიკალურ ბიზნესს ჯონი 1975 წელს ჩამოშორდა და ძირითადად, ოჯახით იყო დაკავებული. თუმცა, 1980 წელს გამოიცა მისი ახალი დისკი „დაბლ ფენტეზი". ეს მოხდა მის მკვლელობამდე სამი კვირის შემდეგ.

მუსიკის, მწერლობის, ნახატების, კინოფილმებისა თუ ინტერვიუების ხასიათით, ლენონმა შეიძინა მეამბოხე პიროვნების იმიჯი. იგი აკეთებდა სკანდალურ პოლიტიკურ განცხადებებს და ცნობილია, როგორც მშვიდობის აქტივისტი. 1971 წელს იგი დასახლდა ნიუ-იორკში, სადაც ვიეტნამის ომის კრიტიკის გამო რიჩარდ ნიქსონის ადმინისტრაცია ცდილობდა მის დეპორტირებას. ამის კიდევ ერთი მიზეზი ის, რომ მისი სიმღერები გამოიყენებოდა, როგორც ჰიმნები ანტისაომარი მოძრაობის ფარგლებში.

2010 წლისათვის ლენონის მიერ აშშ-ში გაყიდული დისკების რაოდენობა 14 მილიონ ერთეულს აღემატება. როგორც ავტორს, თანაავტორს ან შემსრულებელს მას ეკუთვნის ბილბორდის 100-ეულის 1 პოზიციაზე მოხვედრილი 25 სინგლი. 2002 წელს ბი-ბი-სიმ ჩაატარა გამოკითხვა „100 უდიდესი ბრიტანელი", სადაც ჯონი მერვე ადგილზე დასახელდა. 2008 წელს ჟურნალ როლინგ სტოუნის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში ჯონი დასახელდა ყველა დროის საუკეთესო მომღერლებს შორის რიგით მეხუთედ. გარდაცვალების შემდეგ, 1987 წელს იგი შეყვანილი იქნა სიმღერების ავტორთა დიდების დარბაზში, ხოლო 1994 წელს — როკ-ენ-როლის დიდების დარბაზში.

# სამხრეთ კორეის პრეზიდენტი შესაძლოა მოკლული პრეზიდენტის ქალიშვილი გახდეს

სამხრეთ კორეის მმართველმა პარტიამ „სენური" საპრეზიდენტო არჩევნებზე გარდაცვლილი დიქტატორის ქალიშვილის კანდიდატურა წამოაყენა. საპრეზიდენტო არჩევნები ქვეყანაში 2012 წლის 19 დეკემბერს გაიმართება. სააგენტო „რენხაპის" ინფორმაციით, პრიმერში გამარკვება მოკლული დიქტატორის პაკ ჩონ ხის ქალიშვილმა პაკ კინ ხემ მოიპოვა. მან ხმათა 86%-ის მოპოვება შეძლო. საპრეზიდენტო კანდიდატის მამას მიწერება სამხრეთ კორეის „ეკონომიკური სასწაულის" ავტორობა.

2008 წელს პაკ კინ ხე 2008 წელსაც ცდილობდა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, თუმცა მაშინ მას თანაპარტიელმა და სამხრეთ კორეის მოქმედმა პრეზიდენტმა ლი მენ ბაკმა გადაუსწრო. პრეზიდენტს კი მეორე ვადით არჩევის უფლება არ აქვს, ამიტომაც იგი თანაპარტიელმა უნდა შეცვალოს.

სამხრეთ კორეის პრეზიდენტი სამხრეთ კორეის კონსტიტუციის თანახმად არის სახელმწიფოს მეთაური, მთავრობის მეთაური და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. კონსტიტუციითა და 1987 წელს შესწორებული საპრეზიდენტო არჩევნების აქტით, საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება პირდაპირი, ფარული კენჭის ყრით. პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით, ხელახალი არჩევის შესაძლებლობის გარეშე. თუ ქვეყანაში შეიქნება საპრეზიდენტო ვაკანსია, მომდევნო პრეზიდენტი აირჩევა 60 დღის ვადაში, რომლის დროსაც საპრეზიდენტო უფლებამოვალეობებს ასრულებს პრემიერ-მინისტრი ან კაბინეტის სხვა უპირატესი წევრი, რასაც არეგულირებს კანონი. ოფიციალური რეზიდენციაა ლურჯი სახლი.



2008 წლის 25 თებერვლიდან სამხრეთ კორეის პრეზიდენტია ლი მენ ბაკი.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## TV პროგრამა

**სამშაბათი 21 აგვისტო**

**07.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **08.00** დოკ. ფილმი "დედები და შვილები ჰოლივუდში". **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00** მოამბე **09.10 ანიმაცია "მახინჯი იხვის ჭუკის საოცარი ისტორია". 10.30** მხ.ფ. **"მერლინის შეგირდი" 12.45** მხ. ფ. **"სუპერმენი" 15.00** სერ. **"დეტექტივები" 17.00** მედ-ინფო **17.30** დოკ. ფ. "სამყარო" **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"მიმინო და მტრედი" 21.00** სერ. **"დეტექტივები" 22.00** დიალოგი დ.პაიჭაძესთან. **22.40** ჩემპიონთა ლიგა. პირდ. **00.00** მხ.ფ. **"მედგარი გული"** (12) **02.05** მხ. ფილმი **"ჩურჩული ღამით"** (18) (კ. ქროუ) **03.45** მხ. ფილმი **"წმინდანთა ცხოვრება"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 13.45, 19.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფ. "სამყარო" **17.00** სერ. **"მეორე შანსი" 20.00** მხ.ფ. **"დედამიწის დასალიერისკენ"3-4** სერ. **01.00** მხ.ფ. **"დედა"**

**08.00** ან. ფილმი "პიტერ პენი და მეგობრეები" **5**-სერ. **08.30** ან. ფილმი "პუმბა და ტიმონი" **5**-სერ. **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00, 05.00, 07.00** ქრონიკა **09.10** სერ. **"გმირები 3" 10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე" 11.30** სერ. **"უკვდავი ამბავი" 12.30** ქალები თუ კაცები. **14.40** სიმართლეს დრო. **15.40** სერ. **"მოჯადოებული" 17.40** სერ. **"მეწამული ცა" 18.40** სერ. **"შურისძიების სახელით" 21.00** სერ. **"მემკვიდრეები" 22.00** სერ. **"შუა ქალაქში" 23.00** ქართ. სერ. **"გოგნა გარეუბნიდან" 00.00** ყოფილი ცოლების კლუბი. **01.00** მხ.ფ. **"მატჩ პოინტი"** ს. იოჰანსონი. **03.25** მხ.ფ. **"ნიმფა"**სტეფანია სანდრელი **05.25** მხ.ფ. **"ცუდი სიზმრები"** პ. კრუსი **07.15** სერ. **"მოპარული ბედნიერება"**.

**07.30 ქემ სკჰით 08.00 ქემ კწნქ კფშვუკთ 08.30 ქემ ქნ თგზუკ თცუუე 09.00 ქემ ქფვუ 09.30 ქემ დფაგტფ იუფსრ 10.00** სერ. **"ქალის მსხვერპლი" 11.00** სერ. **"ეჭვი და სიყვარული" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** ქარ. მხ.ფ. **"შერეკილები". 14.00** შერეკილები. **15.30** სერ. **"თანამედროვე ოჯახი" 17.00** სერ. **"ტერეზა" 18.45** სერ. **"მგზნებარე გული" 19.50** სერ. **"ველური ყვავილი" 21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 22.40** ჩემპიონთა ლიგა. **00.30 ქემ ზგტლძვ 01.00 ქემ ი**წნდშტპ **ზ**წშტეთ **01.30** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა. **02.00 ქემ ე**კგუ **დ**შაუ **02.30** მხ.ფ. (ტიტ.)

**08.00** ან. ფ. "პრინცესა შეჰერაზადა". **08.55** სერ. **"ჩემი შეყვარებული" 09.45, 12.00, 15.00, 17.00** ტვ-მარკეტი **10.00** მხ. ფ. **12.20** სერ. **"პოლიციელთა ამბები" 13.00** მხ. ფ. **15.15** ან. ფ. **17.10** სერ. **"ელიზა და რივომბროზა-‖" 18.00** მხ. ფ. **20.00** სერ. **"ტყუპები" 21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე" 22.00** მხ. ფ. **00.00** მხ. ფ. **01.50** მხ. ფ.

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 03.00** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** დოკ. ფ. **10.30** დოკ. ფ. **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერიალი **"საგა" 12.50** სერიალი **"სენიორა პრეზიდენტი" 13.50** მუსიკა **15.15** დოკ. ფ. **16.00** დოკ. ფ. **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფ. **19.30** ანონსი. **19.35** სერიალი "წყნარი ოკეანის მარგალიტი" **23.00** დოკ. ფ."ისინი" **23.30** მხ. ფ. **"სამეფო სასახლე" 01.00** მხ. ფ. **"ანა ნიკოლი"**

**ერთსულოვნება 08.30** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი". **08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა. **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00** საეკლესიო კალენდარი. **09.05** განთიადი. **10.05, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი. **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი. **10.25** გუთნისდედა. **12.05** ამინდი. **12.10, 18.55, 21.55, 00.30** ისტორიის დღიური. **12.15** მხ. ფ. **"დათა თუთაშხია" 1**-სერ. **12.35** კონცერტი. **15.05, 18.55, 22.55** ერთი ნივთის ისტორია. **15.10** დები ტრევისის საოცარი სახლი. **15.35** დოკ. ფ. "ველური ბნუება". **16.00** მხ. ფ. **"ლესი". 18.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას. **18.20** დიდ ხარ შენ, უფალო. **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი. **19.20** ჩვენი ტრაპეზი. **19.30** დროის ჩანაწერები. **20.40** ძილი ნებისა. **21.05** პატრიარქის ქადაგება. **21.25** ლექსით ქებათა ქება. **21.30** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია. **22.25** მგზავრები წუთისოფლისა. **23.00** საღამოს ლოცვა. **23.15** დოკ. ფ. "ცამეტი ასურელი მამის ნამოღვაწარი". **00.35** ერთსულოვნების სალონი. **01.30** კარაბადინი. **02.00** თბილისის ტაძრები.

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

21 agvisto

აშშ დოლარი — 1,6421

ევრო —2,0162

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5779

რუსული რუბლი — 0,0512

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 27–31, ღამით — 13–15;

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 27–31, ღამით — 14–18;

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 22–23, ღამით — 10–13




## მსოფლიოს ყველაზე ჯანსაღ ქვეყნებს შორის საქართველო 71-ეა

ეკონომიკური საინფორმაციო სააგენტო ბლუმბერგის სპეციალისტებმა მსოფლიოს ყველაზე „ჯანსაღი ქვეყნების" რეიტინგი შეადგინეს. რეიტინგში მოხვდნენ ქვეყნები, რომელთა მოსახლეობა მილიონ ადამიანს აღემატება.

რეიტინგის შედგენის დროს გა-



ითვალისწინეს ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა სიცოცხლის ხანგრძლივობა, ბავშვთა სიკვდილიანობა, მწეველი მოსახლეობის წილი, ერთ სულ მოსახლეზე ალკოჰოლის მოხმარების მაჩვენებელი, შიდსით ინფიცირებულთა რიცხვი, ჭარბი წონის, სისხლის წნევის, ან შაქრის მომეტებული შემცველობის მქონე მოსახლეობის წილი.

ამ მაჩვენებლების მიხედვით, მსოფლიოში პირველ ადგილზე გავიდა სინგაპური, რომელმაც 89.45 ბალი და 3.07 საჯარიმო ქულა დააგროვა.

მეორე ადგილზე გავიდა იტალია 89.07 ჩასათვლელი და 5.54 საჯარიმო ქულით მესამეზეა ავსტრალია. მეოთხე და მეხუთე ადგილები ავსტრალიამ და იაპონიამ დაიკავეს.

პირველ ათეულში მოხვდნენ აგრეთვე ისრაელი, ესპანეთი, ჰოლანდია, შვედეთი და გერმანია.

საფრანგეთი მე-13 ადგილზე გავიდა, კანადა - მე-14-ზე, ნორვეგია მეთვრამეტეა, დიდი ბრიტანეთი - 32-ე, არაბთა გაერთიანებული საემიროები და კუვეიტი - 30-ე და - 31-ე. აშშ 33-ე პოზიციაზეა და ოდნავ უსწრებს ბოსნია-ჰერცეგოვინას.

საქართველო ამ რეიტინგში 71-ე ადგილზეა, ირანი - 76-ზე, რუსეთი 97-ეა, უკრაინა კი - 99-ზე.

რეიტინგს მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნები, მოზამბიკი, ჩადი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ლესოტო და სვაზილენდი ასრულებენ. რეიტინგში სულ 145 ქვეყანა შევიდა.

გ.თ.

## ·ღტაფვ უფბსღფჯაბცობყტს=




### წარმატებული დღეა

**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** — დღეს კარგ ამბებს გაიგებთ და გახარებულიც ხართ. **კირჩხიბი** — ფულს შოულობთ და პრობლემასაც იხსნით. **ლომი** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **ქალწული** — ახალი საქმე დაგაინტერესებთ, ფულიც გექნებათ. **სასწორი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — არავის აყვეთ, თავს მიხედეთ. **თხის რქა** — თქვენი საქმე კარგად მიდის, გახარებილი ხართ. **მერწყული** — ზედმეტი აქტიურობა არ არის საჭირო, საქმეს ისედაც გააკეთებთ. **თევზები** — ფულის პრობლემა არ გაქვთ, მაგრამ მაინც არ გაფლანგოთ.

უბცე3ღტ,ს ,ტღყბტ3 ღქტს=

## h3xცღx3ღბ ფ

**შვეულად:** 1. პროვინცია კანადაში; 2. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი; 3. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 4. გერმანული პარფიუმერული ფირმა; 5. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 7. თევზის ძვალი; 11. ცხენოსანი მწყემსი ამერიკაში; 15. მარგანეცის საბადო ჭიათურის მახლობლად; 16. ამერიკული, ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიული ჭურვის სასროლი ინდივიდუალური იარაღი; 17. მდინარის მონაკვეთი ორ მეზობელ კაშხალს შორის; 18. მიწის ფართობის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 20. ხმელთაშუა და წითელი ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 22. წარწერა საბანკო ჩეკზე სხვა პირისათვის გადაცემის შესახებ.

**თარაზულად:** 6. მე-12 საუკუნის აზერბაიჯანელი პოეტი, სახელმწიფო მოღვაწე; 8. ქერის პური; 9. ინგლისელი ქართველოლოგი, „ვეფხისტყაოსნის" პროზაულად მთარგმნელი; 10. მონღოლი ხარკის ამკრეფი დაპყრობილ ქვეყნებში; 12. ქართველი მწერალი, რომან „გმირთა ვარამის" ავტორი; 13. ქიმიური ელემენტი, აირი; 14. უძველესი უნივერსიტეტი აშშ-ში; 19. გუთნის ნაწილი; 21. მოქალაქეთა საგადასახადო თანრიგი ძველ რომში; 24. თაღლითური გზით წარმოებული საქმე; 25. ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 26. ლამაზად, მოხდენილად ჩაცმა-დახურვის მოყვარული მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა



## ქალმა გაიკეთა 53 ოპერაცია, რათა ნეფერტიტს დამსგავსებოდა

ბრაიტონის 50 წლის მცხოვრებმა ქალბატონმა, მხატვარმა და მწერალმა ნილენ ნამიტამ 300 ათას დოლარზე მეტი დახარჯა 53 პლასტიკური ოპერაციისათვის, რათა ნეფერტიტს დამსგავსებოდა.

ნილენი ბავშვობიდან საოცარ სიზმრებს ხედავდა ნეფერტიტის შესახებ. მას ძალიან ეშინოდა თავისი სიზმრების, რადგან ისინი ძალიან ხატოვანნი და გამომსახველობითნი იყვნენ. გოგონა 23 წლის ასაკში მივიდა ფსიქოანალიტიკოსთან, რომელმაც მას შთააგონა, რომ სიზმრები — ეს არის წარსული ცხოვრების შესახებ არსებული მეხსიერება.

როდესაც მან მუზეუმში იხილა ნეფერტიტის რეალური გამოსახულება, შეძრწუნდა, იმდენად ეცნო ეს სახე.

ამჟამად ნილენი 50 წლისაა და მას გადატანილი აქვს300 ათასი დოლარის მთლიანი ღირებულების 53 პლასტიკური ოპერაცია, .




მას გაკეთებული აქვს ცხვირის 8 ოპერაცია, ნიკაპში ჩადგმული აქვს 3 იმპლანტი, აწეული აქვს წარბები, ექვსჯერ აქვს გადაჭიმული სახის კანი, 2 ოპერაცია ჩაუტარდა ტუჩებზე, 5 — თვალებზე, ჩადგმული აქვს იმპლანტები ლოყებში და კიდევ სხვა არაერთი წვრილმანი.

მაგრამ შემდგომი კორექციებისათვის ნილენს ამჟამად აწუხებს თანხების უკმარისობა, იმდენად, რომ მოუხდა ქალიშვილის გამოყვანა პრესტიჟული კერძო სკოლიდან, სადაც ერთი სემესტრი 5 ათასი ფუნტი ჯდება.

ნეფერტიტი (ძვ. ეგვ. უმშვენიერესი ატონის ლამაზმანთა შორის, ლამაზმანი მოვიდა) დიდი ბანოვანი, ეგვიპტის დედოფალი, ამენჰოტეპ მეოთხის (მოგვიანებით ეხნატონი) მეუღლე, და ფარაონი ტუტანჰამონის სიდედრი. სავარაუდოდ ის თავადაც იყო მმართველი სახელით ნეფერნეფერუატენი მცირე ხნით მეუღლის გარდაცვალების შემდეგ და ტუტანჰამონის გამეფებამდე. მისი სახელი დაახლოებით ნიშნავს „ულამაზესი (უნაკლო) ქალბატონი მოვიდა". საქვეყნოდ ცნობილი გახდა მისი ბიუსტის აღმოჩენიდან (ამჟამად ბერლინის ალტეს მუზეუმში). ბიუსტი ეკუთვნის სკულპტორ ჯუტმოსს და ნაპოვნი იყო მის სახელოსნოში. ბიუსტი მნიშვნელოვანია იმით, რომ ის დოკუმენტური ფაქტია ძველ ეგვიპტელთა წარმოდგენებზე რეალისტურ სახის პროპორციებზე.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## იუმორი



❖ ❖ ❖

— თქვენი საყვარელი პოზა?

— სავარძელში ვზივარ, თვალები ოდნავ მოჭუტული მაქვს, სუნთქვა და გულისცემა — თანაბარი, მარჯვენა ხელი ოდნავ წინ მაქვს გაწვდილი და თაგვს ვაწკაპუნებ...

გ. თ.

## პრინციპული ქეცბაია — ვინ იქნება შემდეგი



სავარაუდოდ, საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს კიდევ ერთი ფეხბურთელი დაემშვიდობა — ზურაბ ხიზანიშვილი. ეროვნულ გუნდში თემურ ქეცბაიას მისვლის შემდეგ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ვეტერან ფეხბურთელს სანაკრებო კარი ჩაეკეტა. თუ ლევან კობიაშვილის, ალექსანდრე იაშვილისა და დავით სირაძის (კახა კალაძემ თავად მიიღო წასვლის გადაწყვეტილება) შემთხვევაში მთავარ მწვრთნელს ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია და მხოლოდ არგამოძახებით მიახვედრა ფეხბურთელები, რომ ისინი ნაკრებისთვის საჭირო აღარ იყვნენ, ხიზანიშვილის შემთხვევაში სხვაგვარ ფაქტთან გვაქვს საქმე.

ქეცბაიამ ერთ-ერთ ბოლო სატელევიზიო ინტერვიუში ღიად განაცხადა, რომ ფეხბურთელი, რომელიც ნაკრებში ვერჩამოსვლის გამო მიზეზად ტრავმას მოიგონებდა და ორ დღეში კლუბში ითამაშებდა, საერთოდ არ გამოიძახებდა ნაკრებში.

საზოგადოებაში მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ ეს ხიზანიშვილს ეხებოდა, რადგან ახლახან ლუქსემბურგის ნაკრებთან გამართული მატჩის წინ ხიზანიშვილმა თურქეთიდან შემოთვალა, ტრავმა მაქვს და ვერ ჩამოვალო. ვერ გეტყვით, რა იეჭვა ქეცბაიამ, მაგრამ განცხადება მაინც გააკეთა.

— ყველა ფეხბურთელისთვის ნაკრები უნდა იყოს პირველ რიგში. თუ ვინმეს კლუბში თამაში შეუძლია, ეს ნაკრებში, თუნდაც გამაყუჩებელი ნემსების ქვეშ უნდა გააკეთოს, — მკაცრი იყო ქეცბაია.

ლუქსემბურგთან მატჩიდან 3 დღეში ხიზანიშვილმა თურქეთის ჩემპიონატის პირველივე ტურში 90 წუთი ითამაშა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქეცბაია „სიტყვას შეასრულებს" და ნაკრები კიდევ ერთი კაპიტნის გარეშე დარჩება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## ოლივერ ტვისტი ბათუმში გათამაშდება




ეკა ირემაშვილი

23, 24 და 25 აგვისტოს რუსთაველის თეატრში განხორციელებული მიუზიკლი „ოლივერ!" ბათუმში ხელოვნებისა და მუსიკის ცენტრში იქნება წარმოდგენილი. მიუზიკლი რუსთაველის თეატრში რეჟისორმა დავით საყვარელიძემ დადგა, რომელიც ამ ეტაპზე ბათუმში მუშაობს და დონიცეტის ოპერას „ლუჩია ლამერმულიდან" დგამს. 42 წლიანი პაუზის შემდეგ დონიცეტის ოპერა ქართულ საოპერო სცენას უბრუნდება. ორკესტრს დავით მუქერია უდირიჟორებს, სამმოქმედებიანი ოპერა სრულიად ახლებური რეჟისურით, ახლებური დადგმით და ახლებური მოცულობით იქნება წარმოდგენილი. კოსტიუმების მხატვრობა შემოქმედებითმა ჯგუფმა იტალიელ დიზაინერს მიანდო, წამყვან პარტიებს კი ახალგაზრდა შემსრულებლები იმღერებენ. ამ ოპერის პრემიერა ბათუმის ხელოვნების ცენტრში 28 აგვისტოს მარიამობის დღესასწაულზე გაიმართება.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

კეპ]ბ ობსტკბ .დბსტკბ იფდბ